საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 ივლისი **სამშაბათი** 2010
№ 162(13 150) ფასი 60 თეთრი



## ტატიშვილი მერვედფინალშია

» გვერდი 11

# ტიმ ლეინი გაუშვეს?





რაგბის კავშირი ჯერ არ ადასტურებს... » გვერდი 13

# მუნდიალის შუქ-ჩრდილები







ჩემპიონის დახასიათება...
ჰოლანდიელთა პრეტენზიები...
ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის პორტრეტი... » გვერდი 6-9



## ავსტრიისკენ შარაგზით, შარაბიძით...

ხვალ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება » გვერდი 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ოლიმპი

# ოლიმპი დღეს ყაზახეთში მიემგზავრება

## ბათიაშვილს სიმაღლე არ აშინებს: ესპანელები მაღლები იყვნენ?!

ვაშა, როგორც იქნა, სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ საქართველოს ჩემპიონის თაობაზე. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ოლიმპი" ყაზახეთში არა 15, არამედ 16 ფეხბურთელის ამარა გაემგზავრება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ორი დაშავებული მარცხენა მცველიდან ერთი მაინც შეძლებს სათადარიგოთა სკამზე ჯდომას – გუშინ "ამერის" სტადიონზე გამართულ ვარჯიშზე, **გიორგი რეხვიაშვილი** სხვებთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ 21 წლის მცველის მზადყოფნაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

გუშინ საღამოს **თემურ მახარაძემ** გუნდს "ამერზე" გამგზავრებამდე ბოლო ვარჯიში ჩაუტარა. რუსთავში ახლახან დაგებულ ხელოვნურსაფარზე ვარჯიში კარგია, მაგრამ აქტობეში ყაზახეთის ჩემპიონი ნატურალურ საფარზე უმასპინძლებს და ერთიდან მეორე საფარზე გადასვლა რთულია - "ამერი" ამიტომაც შეარჩიეს.

ინდივიდუალურად ვარჯიშობდნენ **რეზო ქიჯია და ლაშა ჯაფარიძე.** ორივე კუნთი აწუხებს, რეზო მოედანს მალე დაუბრუნდება, ლაშა კი, სავარაუდოდ, მეორე შეხვედრაშიც ვერ ითამაშებს.

*"მირჩევნია, მეორე თამაში გამოვტოვო, ბოლომდე მოვმჯობინდე და ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას მაინც შევხვდე მომზადებული"*, - გვითხრა ჯაფარიძემ.

"ოლიმპში" დარჩა შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ხიდეშელი**, რომლის თქმითაც, ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

*"ფოთის "კოლხეთში" ძალიან ხელსაყრელ კონტრაქტს მთავაზობდნენ და წასვლაზე უარს არც ვამბობდი, მაგრამ ბოლოს "ოლიმპში" დარჩენა ვამჯობინე. განა იმიტომ, რომ "კოლხეთს" ჩემი დასაწუნი რაიმე სჭირს, უბრალოდ, ჩემპიონი გუნდიდან წასვლა იოლი არაა"*, - გვითხრა ხიდეშელმა.

**ირაკლი დოლიძის** გუნდთან ვარჯიშობს, "აქტობესთან" სათამაშოდ მიემგზავრება, მაგრამ ჯერჯერობით მისი საკითხი მაინც გაურკვეველია - ასეც ხდება. გუნდთან ერთად ვარჯიშობდნენ თბილისის "დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი **ზამირ ჯანაშია** და ბოლნისის "სიონის" 17 წლის ნიჭიერი ფორვარდი **ჯაბა უგულავა**, თუმცა, ისინი ყაზახეთში არ მიემგზავრებიან.

ფეხბურთელები ორ გუნდად დაჯგუფდნენ და ფლანგურ კომბინაციებსა და სტანდარტულებზე მეცადინეობდნენ. რადგან მოთამაშეთა სიმცირის გამო, "ბ" გუნდს ხალხი დააკლდა, მას მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **იური გაბისკირია** ეხმარებოდა.

**"ა" გუნდი: ბათიაშვილი, ლონლაძე, კვახაძე, რეხვიაშვილი, ჭედია, რაზმაძე, ჭელიძე, ბოლქვაძე, გეწაძე, მოდებაძე.**

**"ბ" გუნდი: ბედიაშვილი, გიგაური, ქემოკლიძე, დოლიძე, დობროვოლსკი, ხიდეშელი, ჯანაშია, უგულავა, გაბისკირია, ჯანაშია.**

ცოტა უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ ფეხბურთელები იმედიანად არიან და ფიქრობენ, რომ შემდეგ წრეში გასვლა რეალურია – მაგალითად, მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი.**

**- ზურა, ხომ არ ფიქრობ, რომ „აქტობესთან" გაგიჭირდებათ?**

- არა მგონია, ჩვენ კარგი გუნდი გვყავს და ბიჭების მჯერა.

**- ძალიან ცოტანი ხართ და ეს გავადარდებს.**

- ეს მესმის, მაგრამ მოედანზე ორივე თერთმეტი კაცით გავდივართ. გუნდში კარგი ვითარებაა, გულიანი ბიჭები შეიკრიბნენ და ძალიან მიხარია, "ოლიმპში" რომ მოვხვდი. გამარჯვებისთვის კი მთავარი ერთსულოვნებაა.

**- ყაზახებს მაღალი ფეხბურთელები ჰყავთ და შენი აზრით, რა თამაში უნდა დაუპირისპიროთ?**

- მაღლები რომ არიან, „მოვიდა სიგნალი ელიტოპოლიდან"... სერიოზული გუნდია, მაგრამ არასერიოზულები ჩვენც არ ვართ. თანაც, ისეთი სოლიდური გუნდიც არაა, როგორც მაგალითად, ბულგარეთის, ან რუმინეთის ჩემპიონები და ბრძოლაა საჭირო და მოუგებელი გუნდი მე არ მეგულება, მით უფრო, ყაზახური.

რა შეიძლ;ება დავუპირისპიროთ და ქართული ფეხბურთი. ხომ ნახეთ მსოფლიო ჩემპიონატზე, ესპანელებმა ბევრად მაღალი გერმანელები და ჰოლანდიელები რა დღეში ჩააგდეს. ანუ, მაღლებთან ბრძოლა როგორ არ შეიძლება, სიმაღლე ხომ კლასს არ ნიშნავს. მთავარია, საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს არ დავჯარიმდეთ და სტანდარტულები თავიდან ავიცილოთ. დანარჩენი კი თემურ მახარაძეს არ შეეშლება.

**- შენ თუ ხარ ფორმაში?**

- კი, ვფიქრობ, შეკრებამ ფერზე მომიყვანა.

**- ძირითადში შენ ითამაშებ თუ გია ბედიაშვილი?**

- შეკრებაზე ბოლო ორი მატჩი მე ჩავატარე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძირითადი გარანტირებული მაქვს. მწვრთნელი თავის გამოჩენის საშუალებას ორივეს მოგვცემს.

**- გუნდი ლიგის მატჩისთვის მზადაა?**

- საკმაოდ რთულია, ფაქტობრივად, ახალი გუნდით დიდი წარმატების მიღწევა. პირველ საკონტროლო მატჩში კარგად ვერ გამოვიყურებოდით, მაგრამ ბოლოს უკვე დავლაგდით და შევთამაშდით.



ზურაბ ბათიაშვილი

■ ■ ■

ამასობაში "აქტობემ" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სამი ფეხბურთელი გაუშვა (**დენის როდიონოვი, მაქსატ მაიჟანოვი და სერგეი სტუკოვი**), მათ ნაცვლად კი ასევე სამეული (კოკშეტაუს „ოკჟეტპესის" ახალგაზრდა მცველი **იური მოკროუსოვი**, ნიჟნენოვგოროდის "ვოლგას" ნახევარმცველი **მარატ ხაირულინი** და ტალდიკურგანსკის "ჟეტისუს" სერბი თავდამსხმელი **ივან პერიჩი**) დაიმატა.

რუსთავის "ოლიმპის" დასახვედრად ყაზახეთის ჩემპიონ "აქტობეს" გულშემატკივრები განსაკუთრებული ენთუზიაზმით ემზადებიან. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ფანკლუბ "მე 13-ე სექტორის" განცხადება გამოაქვეყნეს. ფანების ლიდერები გულშემატკივრებს მოუწოდებენ, მატჩის დროს კლუბის წითელ-თეთრ ფერებში გამოეწყონ და სექტორებზე წინასწარ შერჩეული ფერის სკამზე განთავსდნენ, რათა თავისიანებს ორგანიზებულად უქომაგონ.

"ოლიმპის" დელეგაცია ყაზახეთში დღეს დილით 08:30 საათზე გაემგზავრა.

ჩვენებურები

# როგორ შვილებს გვიზრდიან გერმანიაში ქართველი დედები

საქართველოს ნაკრები გაძლიერების რესურსს დიდი ხანია უცხოეთში ეძებს. წლების წინ „კიოლნის" მეკარე **ალექსანდერ ბადეს** ჩამოყვანა გვსურდა. ბოლო დროს, ბევრად უფრო მასშტაბური ჩანაფიქრი გახდა ცნობილი: ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** არა მხოლოდ ევროპელი მეკარის, არამედ, წლების თუ საუკუნეების წინ უცხოეთში გახიზნულ ქართველთა შთამომავლობის ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში ჩართვა სურს.

1-ელ ივლისს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **ნიკა ავალიანმა** და ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გააფორმეს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ფედერაციას „მამლუქების" მოძიებაში დაეხმარება.

„პირველი პარტია" იბისას საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** უკვე გასინჯა: „ბაიერნის" ნახევარმცველი **ლუკა ჰუფნაგელი**, „მიუნხენ 1860-ის" თავდამსხმელი **ლუკა ჩხაიძე, გიორგი პაპუჩელაშვილი** („ვიქტორია" ჟიჟკოვი, ჩეხეთი) და სალონიკის პაოკ-ის ახალგაზრდული გუნდის კაპიტანი **ფირცხალავა.**

მათ ქართული პასპორტის აღების პრობლემა არ შეექმნებათ, რადგან საქართველოს კანონმდებლობით ორმაგი მოქალაქეობა ნებადართულია და რაც მთავარია, სახელმწიფო სტრუქტურა ამ საკითხების ოპერატიულად მოგვარების გარანტი გახდა.

ჟორჟიკაშვილი „გერმანული საჩუქრით" კმაყოფილია და მიუხედავად იბისაზე წარუმატებლობისა, ორივე მიუნხენელი ფეხბურთელი მოეწონა და მათ მოწვევას სამომავლოდაც აპირებს.

ასე რომ, საქმე დაწყებულია, სელექცია ამოქმედდა და კარგი იქნება, სელექციის არეალს თუ გავზრდით და თვალს თურქეთსაც გადავავლებთ. ფედერაციის პიარმენეჯერ **თათია ბურდულის** ინფორმაციით, თურქეთში უკვე მოძებნეს წარმოშობით ქართველი ბიზნესმენი, რომლის ვაჟიც ფეხბურთელი იყო. იგი სხვა ლაზებთან დაკავშირებას დაჰპირდა. ეს პატარა საქმე არ იქნება, თურქეთში, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 2-დან 5 მილიონამდე ქართული წარმომავლობის ადამიანი ცხოვრობს და ნაკრებისთვის ერთს მაინც ვერ შევიგულებთ?

*„ზუდოიჩე ცაიტუნგი" გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზერეგიონული სააბონემენტო გაზეთია, რომელიც დაფუძნებულია 1945 წელს და ყოველდღე გამოდის"*, - ვკითხულობთ „ვიკიპედიაში".

ამ გაზეთმა საქართველოს ნაკრებში თამაშის მსურველ გერმანელებს სტატია მიუძღვნა

*„პატარა კავკასიურმა ქვეყანამ ქართული წარმოშობის მიუნხენელი იუნიორები სათავისოდ შეიგულა.*

*15 წლის ნახევარმცველ ლუკა ჰუფნაგელს, რომელიც "ფ 2-იუგენდიდან" მოყოლებული მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარდაცვაში თამაშობს, ძალიან გაუკვირდა, როცა 2010 წლის დასაწყისში ერთ-ერთ ქართულ სპორტულ გაზეთში წაიკითხა, რომ მისით საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები დაინტერესდა. პატარა კავკასიურ ქვეყანაში ფეხბურთი ძალიან პოპულარულია. ქართველმა ჟურნალისტებმა "ბაიერნში" ქართული წარმომავლობის მქონე უაღრესად იმედისმომცემი ტალანტი აღმოაჩინეს - ლუკა ჰუფნაგელი, რომლის დედა ფიქრია აფციაური ქართველი გახლავთ.*

*გასულ სამშაბათს ჰუფნაგელი და "მიუნხენ 1860-ის" თავდამსხმელი ლუკა ჩხაიძე, ბარსელონის გავლით, იბისაზე გაემგზავრნენ. ისინი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში, იბისას საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობისთვის მიიწვია.*

*ჩხაიძე "გრიუნვალდში" თამაშობდა და „მიუნხენ1860"-ში ამ კლუბის შემდეგ აღმოჩნდა. ის მცირე ხნის წინ ვერც წარმოიდგენდა, თუ საქართველოს ნაკრებში თამაშის შესაძლებლობა მიეცემოდა.*

*"ძალიან ვიამაყებ, თუკი ნაკრებში თავის გამოჩენას მოვახერხებ", - ამბობს ლუკა ჰუფნაგელი და თანხმობის ნიშნად, ჩხაიძეც თავს აქნევს. უფრო მეტად მათი ქართველი ნათესავები იამაყებენ.*

*"მიწვევით გახარებულმა, ბაბუაჩემმა იტირა კიდეც", - ჰყვება ჰუფნაგელი. ის ყოველწლიურად, ზაფხულის არდადეგებს, მშობლებთან ერთად, საქართველოში ატარებს.*

*"ბაბუას საგანგებოდ ვთხოვე, არავისთვის ეთქვა, "ბაიერნში" რომ ვთამაშობ. ამის მიუხედავად, რამდენიმე წუთში ეს ყველამ იცოდა. ბაბუა ძალიან ამაყობს ჩემით და სჯერა, რომ ეროვნული ნაკრების წევრიც გავხდები".*

*ლუკა ჩხაიძის ბაბუა ვახტანგი გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის მერე დარჩა.*

*"მას შვილები გერმანულ გარემოში აღზრდა სურდა, ვინაიდან რუსების საწინააღმდეგო განწყობა ჰქონდა", - ამბობს შვილიშვილი. ამის გამო თავად ლუკა ქართულად ვერ ლაპარაკობს. თუმცა ქართულ კულტურას ნაზიარებია და კარგად უწყის ნათესაური კავშირებისა და ქართული სუფრის შესახებ.*

*"ბაბუაჩემი თავისი სამშობლოთი ძალიან ამაყობს ", - ამბობს ლუკა, რომლის ოჯახსაც საქართველოდან ხშირად სტუმრობენ, თუმცა თავად ერთხელაც არ ყოფილა. თუკი იბისაზე ყველაფერი კარგად წავა, მაშინ ის ბაბუის სამშობლოსაც ეწვევა. აგვისტოში საქართველოში საწვრთნელი შეკრებაა დაგეგმილი, ხოლო ოქტომბერში ევროპის პირველობის შესარჩევი ეტაპი ჩატარდება.*

*შეძლებენ თუ არა ისინი "ფრაიბურგში" ადრე მოთამაშე კობიაშვილის, იაშვილისა და ცქიტიშვილის გზის გამეორებას, უცნობია. თავად ბავშვები კი, ნათესავებისაგან განსხვავებით, ეიფორიაში ნაკლებად არიან და საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილის მიუხედავად, გერმანიის მოქალაქეობაზე უარის თქმას არ ფიქრობენ.*

*ნაკრებში მათი გამოძახების პროცესიც კი საკმაოდ რთული გამოდგა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა საგაზეთო პუბლიკაციებამდე სცადეს ჰუფნაგელების ოჯახთან დაკავშირება, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.*

*გაზაფხულზე მიუნხენს ნაკრების მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი ეწვია, თუმცა "ბაიერნის" ფეხბურთელის თამაშის ნახვა ვერ შეძლო - ლუკა ჰუფნაგელმა თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა, რადგან პრობლემები ჰქონდა.*

*ჟორჟიკაშვილმა ჰუფნაგელებისგან გაიგო ლუკა ჩხაიძის არსებობა. ამის შესახებაც ლუკას მამა კრისტიანმა უამბო: ჩხაიძე „მიუნხენ 1860-ში"გრიუნვალდიდან" გადავიდა, ჩხაიძის ბაბუა ვახტანგი კი ადრე ჰუფნაგელების ოჯახის ექიმი გახლდათ.*

*უცნობი ფეხბურთელის აღმოჩენამ ქართველი მწვრთნელი აშკარად გაახარა. როგორც ჩანს, საქართველოში იუნიორთა ფეხბურთში ახალი სტრატეგია მკვიდრდება. ქართული წარმომავლობის ტალანტებს უცხოეთში სკაუტები გაძლიერებულად ეძებენ. ჩხაიძის ინფორმაციით, იბისაზე რამდენიმე ასეთი ფეხბურთელი იყო მიწვეული, საბერძნეთიდან, ჩეხეთიდან და გერმანიიდან („ჰამბურგიდან", "ზანკტ პაულიდან"?!).*

*თავიანთი წარმომავლობის შესახებ ნაკრებში მიწვევამდე დიდი ხნით ადრე იცოდნენ. "ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩვენს ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს", - ამბობს ლუკა ჰუფნაგელი.*

სხვათა შორის, ლუკას ჰუფნაგელის მამა **კრისტიან ჰუფნაგელი** გაზეთ "ზუდოიჩე ცაიტუნგის" ჟურნალისტია და ფეხბურთზე წერს. აღმოვაჩინეთ, რომ ლუკას დედა **ფიქრია აფციაური-ჰუფნაგელი** 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთი საქართველოში შემოიჭრა, საქართველოში შვილებთან ერთად ისვენებდა და ჩვენთან დატრიალებულ ტრაგედიაზე ინფორმაციებს გერმანულ მედიას აქტიურად აწვდიდა.

ერთი სიტყვით, საჭირო საქმე დაწყებულია და თუკი ძლიერ ფეხბურთელებს ვერ აღმოვაჩენთ, ქართველებს მაინც დავიბრუნებთ და ქვეყნის სამსახურში ჩავაყენებთ. ეს ხომ ყველაზე მთავარი ამოცანაა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სავარაუდო ტრანსფერები**

# ზამირი ოლიმპში ისინჯება

## ჯანაშია სიომინის ასისტენტად ინიშნება?!

"ოლიმპთან" ერთად ვარჯიშობს **ზაზა ჯანაშიას** ძმა, თბილისის "დინამოს" ყოფილი ფორვარდი **ზამირ ჯანაშია**, რომელიც ბოლოს ზუგდიდის "ბაიაში" თამაშობდა, შემდეგ კი „გაქრა".

"ჯერ მხოლოდ გასინჯვაზე ვარ და გადაწყვეტილი არაფერია. თბილისის "დინამოდან" წასვლის შემდეგ ზუგდიდში ვიყავი, მაგრამ ტრავმის გამო ხანგრძლივი მკურნალობა დამჭირდა. მერე მოსკოვში ჩემს ძმასთან წავედი, ვიმკურნალე და ბოლო თვენახევარია "ლოკომოტივის" დუბლებში ვვარჯიშობდი. ვფიქრობ, დატვირთვებით გარკვეულ კონდიციებამდე მივედი და რუსთაველებთან გასინჯვაზე მისვლა ამიტომ გადავწყვიტე", - ამბობს ჯანაშია.

ზამირის თქმით, ზაზა ჯანაშია მოსკოველი რკინიგზელების საფეხბურთო სკოლაში მუშაობს, მაგრამ დაწინაურება ელის:"რამდენიმე წელია, ზაზას ბავშვები აბარია, მაგრამ ახლა მთავარ გუნდში გადასვლა და იური სიომინის ასისტენტობა შესთავაზეს".

**მერაბ მამულაშვილი**

# ბერიაშვილი ოლიმპში?

როგორც ცნობილია, "ვიტ ჯორჯიამ" თავდამსხმელი **გიორგი ბერიაშვილი** ტრანსფერზე დააყენა. უკრაინულ შეკრებაზე მყოფი ექსჩემპიონი სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა: „კრიმტეპლიცასთან" საკონტროლო შეხვედრისას, ვეტერინარების თავდამსხმელი გიორგი ბერიაშვილი მთავარ მწვრთნელ **გელა გომელაურს** მიეჭრა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ბუნებრივია, მომხდარის მიზეზებზე კლუბში ღიად არ საუბრობენ – ჩვენში მიღებული შეხედულების მიხედვით, "ოჯახის ნაგავი გარეთ არ გააქვთ". კომენტარს არც ბერიაშვილი აკეთებს და არც „ვიტ ჯორჯია", მხოლოდ ის თქვეს, რომ ბერიაშვილი ტრანსფერზეა დაყენებული.

კი, ბატონო, იყოს "ნაგავი" იქ, სადაც არის, მაგრამ ჩხუბი ყველა გუნდში მომხდარა და არ შეიძლება, თუნდაც ძალიან ცუდი საქციელის გამო, ფეხბურთელი მოედანს არ გააკარო. 23 წლის გიორგი ბერიაშვილი კი ურიგო თავდამსხმელი ნამდვილად არაა – პირიქით, საქართველოში მისნაირი აგრესიული და დაუღალავი ფორვარდების მწვავე დეფიციტია.

ჩვენი ინფორმაციით, მომხდარის შემდეგ, გიორგის რუსთავის "ოლიმპის" ხელმძღვანელობა დაუკავშირდა და გადასვლა შესთავაზა. ახლა რუსთაველებს თავდასხმაში მწვავე პრობლემა შეექმნათ, ფაქტობრივად, მხოლოდ **ირაკლი მოდებაძის** იმედად არიან და როგორც შევიტყვეთ, საკმაოდ დიდი შანსია, ბერიაშვილმა კარიერა ექს-ჩემპიონიდან ჩემპიონში რომ გააგრძელოს.

სხვათა შორის, გუშინ სალამოს „ამერის" სტადიონზე „ვიტ ჯორჯია" ვარჯიშობდა და იქ ვეტერინართა მხრიდან ისმოდა, თითქოს, ბერიაშვილს „ოლიმპში" გადასვლა სურდა და რადგან არ უშვებდნენ და არც ათამაშებდნენ, უსიამოვნება ამიტომ მოუვიდა.

სამწუხარო ისაა, რომ გიორგი ევროთასებზე ვერც „ვიტ ჯორჯიას" დაეხმარება და ვერც რუსთავის „ოლიმპს".

**მერაბ მამულაშვილი**

**ინტერვიუ ლადო დვალიშვილთან**

# ნაკრებს ნაგებულის ფსიქოლოგია აღარ აქვს

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე თემურ ქეცბაიას გუნდი გენერალურ რეპეტიციას მოლდოვასთან გასვლით ამხანაგურ შეხვედრაში გაივლის. 11 აგვისტოს თამაშამდე თვეზე ნაკლები დარჩა. ეროვნულის მთავარი მწვრთნელი თვის ბოლოს ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობას დაასახელებს. მანამდე კი ნაკრების ახლო წარსულსა და მომავალზე ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ლიდერის მოსაზრებებს გავეცნოთ. ჰაიფას „მაქაბის" თავდამსხმელ ლადო დვალიშვილს სანაკრებოს გარდა, საკლუბო, სატრანსფერო თემებზე, მსოფლიოს ჩემპიონატსა და სხვა საინტერესო საკითხებზე გავესაუბრეთ.

**- თქვენი გუნდი ჰაიფას „მაქაბი" ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს და საუბარიც ამით დავიწყოთ. ავსტრიაში შეკრება უკვე დაასრულეთ, როგორ მოემზადეთ?**

- ავსტრიაში ალპებში ვიყავით, ჩინებული პირობები გვქონდა. ისრაელში ისე ცხელა, რომ ამ პერიოდში აქ ძნელია სათანადოდ მომზადება. ზალცბურგის ტურნირზე ვითამაშეთ და მეტოქეებიც ძლიერი გვყავდა - მოსკოვის „ლოკომოტივი", ვენის „აუსტრია", ბუქარესტის „დინამო"...

**- მალხაზ ასათიანის წინააღმდეგ მოგიწიათ თამაშმა და გოლითაც დაგვამახსოვრეთ თავი...**

- დიახ, დაძაბული მატჩი გვქონდა, 1:2 წავაგეთ, მაგრამ ის ერთადერთი გოლი მე გავიტანე. იმასაც გეტყვით, რომ ჩემ მიერ გატანილ გოლში ასათიანს ბრალი არ მიუძღვის. სხვათა შორის, ამ ტურნირზე მალხაზმაც გაიტანა ერთი გოლი. თამაშის შემდეგ მე და მალხაზმა ერთმანეთი თბილად მოვიკითხეთ და მერე კი ჩვენს გუნდებს დავუბრუნდით. მზადებას ვაგრძელებთ. კიდევ ერთი მოსამზადებელი შეკრება ბულგარეთში გვექნება, მერე კი ისრაელში გავაგრძელებთ ვარჯიშებს.

**- ავსტრიულ შეკრებაზე თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი გურამ კაშია შემოგიერთდათ, მაგრამ მისი ტრანსფერი არ შედგა. რატომ?**

- გურამ კაშია ეროვნულ ნაკრებშიც არაერთხელ იყო გამოძახებული და ვიცი, რომ კარგი მცველია. მასზე ჩვენი გუნდის მწვრთნელებსაც საკმაო ინფორმაცია ჰქონდათ. ძალიან გამიხარდა როცა გავიგე, რომ ჩვენს გუნდში მისი გადმოსვლის შესაძლებლობა გაჩნდა. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ტრანსფერი არ შედგა, მიზეზებზე ვერაფერს გეტყვით.

**- ახალი სეზონის პარალელურად ევროპის ლიგაზე იასპარეზებთ. შარშან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კი მოხვდით, მაგრამ მერე ხელი მოგეცარათ...**

- ჩემპიონთა ლიგა და მთლიანად ევროტურნირები, სხვა დონე და დიდი გამოცდილებაა. შარშან ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობამ ბევრი რამ შეგვძინა. წლეულს ევროპის ლიგაზე მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ვიასპარეზებთ. რა თქმა უნდა, ამბიციები ამჯერადაც არ გვაკლია. ჯგუფურ რაუნდში უნდა მოვხვდეთ და რაც შეიძლება დიდხანს უნდა ვიასპარეზოთ ამ ტურნირზე... მეორე რაუნდის მატჩები დასრულდება და ვნახოთ, წილისყრა რომელ გუნდს გვარგუნებს მეტოქედ.

**- შარშანდელი გავიხსენეთ და ბარემ აქვე გკითხავთ. შეგეძლოთ ზედიზედ მეორედ გამხდარიყავით ისრაელის ჩემპიონები, მაგრამ დასკვნით ეტაპზე ზურაბ მენთეშაშვილის თელ ავივის „ჰაპოელმა" წაგართვათ ოქროს მედლები...**

- დასანანია, მაგრამ ასე იყო. ტრავმებმაც შეგვიშალა ხელი და ორ ფრონტზე (ჩემპიონატსა და ლიგაზე) ასპარეზობამ თავისი ენერგია მოითხოვა. ჩემპიონები ვერ გავხდით, ეს უკვე წარსულია და ახლა ველარაფერს შევცვლით... ახალ სეზონში კი კვლავაც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

**- გასულ სეზონში ბევრი გოლით შეეწიეთ „მაქაბის", მაგრამ ერთი პერიოდი „მშრალი სერიაც" გქონდათ. რა მოხდა?**

- არც არაფერი, ფეხბურთში ასეც ხდება. თავდამსხმელი ვარ და ყოველთვის გოლის გატანაზე ვარ ორიენტირებული, მაგრამ ასეთი „მშრალი პერიოდები" ყველას აქვს და ამას ვერც მე ავცდი. გასულ სეზონში მთლიანად 25 გოლი გავიტანე. მათ შორის 16 ჩემპიონატსა და 4 თასის გათამაშებაში.

**- ჩემპიონ გუნდს ფეხბურთელები იშვიათად ტოვებენ. ზურაბ მენთეშაშვილის და თელ ავივის „ჰაპოელის" გზები რატომ გაიყარა?**




- ვერაფერს გეტყვით. თუმცა ფაქტია, რომ მენთეშაშვილი ისრაელის ჩემპიონატში გამორჩეული ფიგურაა და ებრაული გუნდები იყვნენ მისით დაინტერესებული. ერთი პერიოდი ზურა სამარის „კრილიაშიც" იყო, მაგრამ საბოლოოდ, ისევ ისრაელში დაბრუნება ამჯობინა.

**- ახლა თქვენს შესაძლო ტრანსფერზე გკითხავთ. თურქული „ტრაბზონი" მილიონ ევროს უხდიდა „მაქაბის" თქვენ სანაცვლოდ. უფრო მეტს სთავაზობდა „ქაისერისფორი". „ვესტ ჰემზეც" ითქვა, დვალიშვილით აბრამ გრანტია დაინტერესდაო. ფაქტია, ისევ „მაქაბიში" ხართ. რა მოხდა?**

- ტრანსფერის საკითხებში კომპეტენტური ნამდვილად არ ვარ. გარკვეული ინფორმაციას მეც ვიღებ, მაგრამ, რაც მკითხეთ, ამდენი ნამდვილად არ ვიცი. „მაქაბისთან" კიდევ 2 წლით მაკავშირებს კონტრაქტი. ტრანსფერები აგვისტოს ბოლოს იხურება და ვნახოთ, რა მოხდება. ჯერჯერობით ისევ „მაქაბიში" ვარ და ახალი სეზონისთვის, ევროტურნირებისთვის ვემზადები.

**- ისრაელში ვერცხლის მედალი მოიპოვეთ, შარშან ჩემპიონი გახდით, ბევრი გოლი გაქვთ გატანილი. „მაქაბიში" დარჩენამ რომ მოგიწიოთ, მოტივაციის ნაკლებობას ხომ არ იგრძნობთ?**

- არა, რატომ? პროფესიონალი ვარ და ყოველ წელს ახალი მიზნებისთვის ვიბრძვი. დიდი ხანი არ არის, რაც ისრაელში ვთამაშობ და ვთვლი, რომ ამ ლიგაში ჩემი შესაძლებლობები ჯერ არ ამომიწურავს. ასე რომ, თუ ახალ სეზონშიც ჰაიფას „მაქაბიში" ვიასპარეზებ, კვლავაც ჩვეულებრივ ვიქნები მოტივირებული და მაღალი მიზნებისთვის მაქსიმალურად ვიბრძოლებ.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზეც გკითხავთ. ვის გულშემატკივრობდით და მუნდიალზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- არგენტინას ვგულშემატკივრობდი. საინტერესო მატჩები იყო, სენსაციებიც არ გვაკლდა, კარგი ფინალი ვნახეთ... თუმცა გული დამწყდა ფინალში არგენტინა რომ ვერ გავიდა.

**- მუნდიალზე ჩვენმა მეტოქე საბერძნეთმაც იასპარეზა. ამ გუნდზე რა აზრის ხართ?**

- ბერძნები სუსტად წარმოჩნდნენ და საქართველოში მათგან მეტს ალბათ არავინ ელოდა. მუნდიალის შემდეგ საბერძნეთის ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა და ვფიქრობ, გუნდი შესარჩევ ციკლში უკეთ ითამაშებს.

**- ახლა ეროვნულ ნაკრებზეც ვისაუბროთ. ჯერ კამერუნთან ამხანაგური მატჩი გავიხსენოთ, მერე კი მომავალზეც დაგეკითხებით...**

- კამერუნთან დაძაბული თამაში იყო. საგოლე მომენტებიც გვქონდა, მაგრამ საბოლოოდ თამაში უგოლოდ დასრულდა. მეტოქედ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე კამერუნი გვყავდა და მათთან შეხვედრამ გამოცდილებაც გაგვიმდიდრა.

**- ამ მატჩში თუ იგრძენი ნაკრების პროგრესი და ეს რა მხრივ გამოჩნდა?**

- დადებითი მომენტები მართლაც იყო. უფრო გუნდურად, გააზრებულად ვთამაშობდით, მწვრთნელის დავალებები შევასრულეთ. ტაქტიკურ-სტრატეგიულ კომპონენტებზეც ვიმუშავეთ. ბოლო-ბოლო თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ნაკრებს ჯერ არ წაუგია. ეროვნულს ნაგებულის ფსიქოლოგია აღარ აქვს, ეს კი პატარა საქმე ნამდვილად არ არის.

**- დაბოლოს, 11 აგვისტოს მოლდოვასთან გასვლით ამხანაგურ მატჩში ჩვენს ნაკრებს გენერალური რეპეტიცია ელის...**

- მოლდოვასთან მატჩი მართლაც მნიშვნელოვანია. კიშინიოვშიც წარმატებით უნდა ვითამაშოთ, უფრო უკეთ შევასრულოთ მწვრთნელის დავალებები. სექტემბერში კი უკვე შესარჩევი ციკლი გველის და საკვალიფიკაციო ეტაპი რიხიანად უნდა დავიწყოთ.

**დავით ცაბაძე**

**ლეგიონერები**

## გიორგი ლომაია:

# გოლი არ უნდა გავუშვათ!

## ქართველებს პოლონური გამოცდა ელით

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება. აზერბაიჯანის ოქროსმედალოსანი ბაქოს „ინტერი", რომელსაც **კახა ცხადაძე** წვრთნის, დღეს პოლონურ „ლეხს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ცხადაძის გუნდში არაერთი ქართველი ფეხბურთელია. კერძოდ, მეკარე **გიორგი ლომაია**, მცველები **ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე** და **კახა მჟავანაძე**, ნახევარმცველი **დავით ოდიკაძე** და თავდამსხმელი **ბაჩანა ცხადაძე**. გაცნობებთ იმასაც, რომ ექვსივე ჩვენებური უეფასთვის წარდგენილ განაცხადშია შეყვანილი. აღსანიშნავია ის, რომ შესაძლოა სწორედ დღეს, „ლეხთან" თამაშში შედგეს გუნდის ახალწვეულების, კანდელაკის, აბრამიძისა და ცხადაძის დებიუტი ახალ გუნდში.

„ახლა უფრო უკეთესი გუნდი გვყავს, ვიდრე ბოლოს ჩატარებულ ჩემპიონატში გვყავდა. აზერბაიჯანულ-პოლონური დაპირისპირებათა ისტორიას თუ გადავხედავთ, უპირატესობა პოლონელებს აქვთ, მაგრამ ეს უკვე წარსულია, მე კი ყოველთვის წინ ვიხედები.

მეტოქე „ლეხზე" გარკვეულ ინფორმაციას ვფლობთ და ყველანაირად შევეცდებით „ლეხთან" სასურველი შედეგი ვაჩვენოთ", - გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა კახა ცხადაძემ.

პოლონელებთან მატჩის წინ, ჟურნალისტები ბაქოს „ინტერის" ქართველ მეკარე გიორგი ლომაიას პოზიციითაც დაინტერესდნენ.

„უდავოდ სერიოზული, ძლიერი მეტოქე გვყავს და ძალიან რთული მატჩი გველის. პირველ მატჩში მასპინძლები ვართ და უცილობლად დადებითი შედეგი უნდა ვაჩვენოთ. შინ გოლი არ უნდა გავუშვათ. მჯერა პოლონურ ბარიერს გადავლახავთ", - ოპტიმისტურად არის განწყობილი გიორგი ლომაია.

**დავით ცაბაძე**

**ევროპის ლიგა** — მეტოქე

# ალადაშვილს დუკლასთან თამაში შეუძლია

## კაროლის 25 ჯოკერი?

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონისა" და სლოვაკურ ბანსკა-ბისტრიცას „დუკლას" პირველ მატჩამდე ორიოდე დღე დარჩა. 15 ივლისამდე მეტოქეები მზადებას განაგრძობენ და ორივე ბანაკიდან გარკვეული სიახლეები უნდა გაცნობოთ.

ჯერ ჩვენს გუნდზე ვთქვათ. თვის დასაწყისში ზესტაფონელებმა ნახევარმცველი **კახა ალადაშვილი** დაიმატეს, მაგრამ ახალწვეულს იმერელთა გუნდში ოფიციალური დებიუტი ჯერ არ ჰქონია. სიახლეა ის, რომ ალადაშვილი უეფას განაცხადში უკვე შეიყვანეს და მას სლოვაკი მეტოქის წინააღმდეგ თამაში შეუძლია. ევროტურნირებსა და ეროვნული ჩემპიონატის ახალ სეზონში კახა ალადაშვილი 6 ნომრით იასპარეზებს. გაცნობებთ იმასაც, რომ ტრავმის შემდეგ ნახევარმცველი **თორნიკე აფციაური** უკვე კარგად გრძნობს თავს.

ახლა კი იმერელთა მეტოქეზე ვთქვათ. სლოვაკური ვებგვერდების ინფორმაციით, ევროტურნირებისთვის „დუკლამ" შემადგენლობა უკვე გაარკვია. სლოვაკური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ კაროლმა** საჯაროდ განაცხადა, რომ სელექციის პროცესი დაასრულა და გუნდის განაცხადში შესაყვანად 25 ფეხბურთელი შეარჩია.

მეკარეები: **პეტერ პოროში, იან დურკო, ბრანისლავ პინდროჩი;**

მცველები: **იოზეფ ადამიკი, ბარტოლომეი გონოსი, მარეკ ჰლინკა, ლუბოშ ჩმელიკი, მარტინ პოლიოვკა, საშა სავიჩი, მატუშ ტურნა, პატრიკ ვაიდა;**

ნახევარმცველები: **იაკუბ ბრაშენი, პეტერ დურიცა, ვრატისლავ გაიდოში, ტომაშ ჰუჩკო, მიხალ პანჩიკი-უმცროსი, ვიქტორ პეჩოვსკი, დალიბორ პლევა, იაკუბ პოვაჟანეცი, იოზეფ რეიდოვიანი;**

თავდამსხმელები: **მიხალ დურიში, მიხალ ფილო-უმცროსი, რობერტ პიჩი, მუჰამადუ სეიე, დუშან უშკოვიჩი.**

როგორც ხედავთ, ამ ჩამონათვალში 3 მეკარე, 8 მცველი, 9 ნახევარმცველი და 5 თავდამსხმელია. გაცნობებთ იმასაც, რომ გუნდის საშუალო ასაკი 23,7 წელია. „დუკლამ" მზადების ფარგლებში 9 საკონტროლო მატჩი გამართა, აქედან 7 მოიგო, 2 შეხვედრაში კი დამარცხდა. ამხანაგურ თამაშებში ყველაზე მეტი, 6 გოლი გუნდის სენეგალელმა თავდამსხმელმა **მუჰამადუ სეიემ** გაიტანა.

„ეს ის კონტინგენტია, რომელსაც ევროპის ლიგაზე ასპარეზობასა და ჩემპიონატის ახალ სეზონში დავეყრდნობით. ვფიქრობ, ყველა რგოლში გვყავს ლიდერი და საბოლოო ჯამში კარგი შემადგენლობა გვყავს. ახლა მთავარია მობილიზებით და სწორად ვითამაშოთ და მჯერა, კარგი შედეგები გვექნება", - აღნიშნა „დუკლას" თავკაცმა მარტინ კაროლმა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაია

# გაძლიერება გამოცდილებით

"ბაიას" შემადგენლობა თვალსა და ხელს შუა ძლიერდება. ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ზუგდიდური კლუბის ხელმძღვანელობამ და სამწვრთნელო შტაბმა აქტიურად იმუშავა და მომავალ სეზონს "ბაია" არაერთი ახალი ცნობილი ფეხბურთელით დაიწყებს. მართალია, ჯერ არც ერთ მათგანს "ბაიასთან" კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამას წინ ვერაფერი უნდა აღუდგეს.



გიორგი მეგრელაძე

გამოცდილ ახალწვეულთა სია კი მართლაც შთამბეჭდავია: **ალექსანდრე გოგობერიშვილი, დავით ჭიჭველიშვილი, კახა ჩხეტიანი** და **გიორგი მეგრელაძე**. შეგახსენებთ, გოგობერიშვილი ბოლოს ბოლნისის "სიონის" ღირსებას იცავდა, ჭიჭველიშვილი აზერბაიჯანულ "სტანდარდში" ასპარეზობდა, ჩხეტიანი ასევე აზერბაიჯანულ "სიმურგში", ხოლო მეგრელაძე – უზბეკურ "შურტანში" თამაშობდა. ოთხივე მათგანი "ბაიას" შემადგენლობაში უკვე ინტენსიურად ვარჯიშობს და მწვრთნელთა მოწონებასაც იმსახურებს. ზუგდიდელთა კიდევ ერთ ახალწვეულ **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეს** კი ვეტერანობამდე ჯერ ბევრი უკლია, მაგრამ თუ ფორმაში დროულად შევა, "ბაიას" ისიც დიდ სარგებლობას მოუტანს.

მათ გარდა, "ბაიას" შემადგენლობაში ვარჯიშობენ და იქ დარჩენის კარგი შანსი აქვთ ცხინვალის "სპარტაკის" ყოფილ ნევრ **ივანე კანდელაკსა** და ზუგდიდელ **დათა რიგვავას**, რომელიც ბოლოს კვიპროსულ "ანორთოსისში" ირიცხებოდა. "ბაიაში" ისინჯებოდა **დავით ხანიშვილიც**, მაგრამ მან გუნდი უკვე დატოვა.

რაც შეეხება გუნდიდან წასულებს: "ბაია" დატოვა **გოგი ფიფიამ**, რომელიც კარიერას "ზესტაფონში" აგრძელებს; უკვე ძველი ამბავია ზამბიელი **ჩისამბა ლუნგუს** რუსულ "ეკატერინბურგში" თვითნებურად წასვლა; **მამუკა ჭკადუა** ბელარუსში ცდილობს კლუბის მოძებნას, **პაატა ბაკარანძე** კი "სამტრედიას" დაუბრუნდა.

"ბაიას" დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულა და სეზონის დაწყებამდე საკადრო სიახლეები კიდევაა მოსალოდნელი.

შეგახსენებთ "ბაიას" სამწვრთნელო შტაბში მომხდარ ერთ მნიშვნელოვან სიახლესაც: გუნდის კონსულტანტად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **ოთარ გაბელია** დაინიშნა, "ბაიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას კი კვლავინდებურად **ელგუჯა ქომეთიანი** განაგრძობს.

ეს რაც შეეხებოდა საკადრო საკითხებს, მომავალი სეზონისთვის მზადებას კი "ბაია" უკვე კარგა ხანია, რაც შეუდგა და პირველი შეკრებაც მოილია. გუნდი 1-დან 8 ივლისამდე ბაკურიანში იმყოფებოდა, სადაც ფიზიკური კონდიციების აღდგენაზე იმუშავა, დღეისათვის კი "ბაია" ზუგდიდშია და საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს.

დღეს ზუგდიდშივე ქომეთიანისა და გაბელიას გუნდი ამხანაგურად ხობის "კოლხეთს" შეხვდება, 16 ივლისს კი "სამტრედიას" უმასპინძლებს. 18 ივლისს "ბაია" დასკვნით შეკრებაზე გაემგზავრება თურქეთში, სამთო კურორტ ბოლუში. იქ ზუგდიდელები ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ – "ანკარაგიუჯუსთან", "ადანასპორთან" და ორ ნიგერიულ კლუბთან.

მომავალი სეზონისთვის "ბაიას" კონკრეტული გეგმა დასახული არა აქვს. ბუნებრივია, პროგრამა მინიმუმი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ზუგდიდელებმა ამაზე გაცილებით მაღალი მიზნებისთვისაც შეძლონ ბრძოლა.

*"ჩვენ მომავლის გუნდს ვაშენებთ და მთავარი ისაა, რომ "ბაიას" განვითარება სწორი გზით მიმდინარეობს. გასულმა სეზონმა გვიჩვენა, რომ პერსპექტიულ ახალგაზრდებთან ერთად წარმატების მისაღწევად გამოცდილი ფეხბურთელებიცაა საჭირო. მათგან ჩვენი ჭაბუკები ძალიან ბევრს ისწავლიან. გუნდის ბირთვი შევინარჩუნეთ, არაერთი ძლიერი ფეხბურთელიც დავიმატეთ და სრული საფუძველი გვაქვს იმისთვის, რომ სერიოზული ამოცანები დავისახოთ. სეზონის მსვლელობა კი უფრო ზუსტად გვიჩვენებს, როგორი მიზნების დასახვა და განხორციელება შეეძლება ჩვენს გუნდს"*, - გვითხრა ქომეთიანმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტორპედო

# ვარჯიში გაგრასთან

ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე ქუთაისის „ტორპედო" გამარჯვებულის მენტალიტეტს იყალიბებს. გუშინ **რამაზ მუმლაძის** გუნდმა მეხუთე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და ერთი ფრის წილ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად რიონისპირელთა მეტოქე პირველ ლიგაში დაქვეითებული „გაგრა" გახლდათ. ქუთაისელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და საბოლოოდ მეტოქე 3:0 დაამარცხეს. რიონისპირელებმა განსაკუთრებით პირველ ტაიმში შეავიწროვეს **პისკოვეცის** შეგირდები. გაგრელები **გურულისა** და **ხაჭიპერაძის** სახიფათო დარტყმებს კი გადაურჩნენ, მაგრამ 26-ნუთზე **დათუნაიშვილის** პასის შემდეგ **მაჭავარიანმა** დასწრებაზე იყოჩაღა და მასპინძლები ახლო მანძილიდან დააწინაურა - 1:0 ამის შემდეგ კვლავ ხაჭიპერაძეს და გურულს შეექმნათ ხელსაყრელი მომენტები. ხაჭიპერაძემ მახვილი კუთხიდან ვერ გაიტანა, გურულის უძლიერესი დარტყმა კი მეკარე **ნადირაძემ** მოიგერია. ტაიმის ბოლოს **ნიკა კვასხვაძის** კუთხურის შემდეგ **ტყეშელაშვილმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი - 2:0

შესვენების შემდეგ რამაზ მუმლაძემ, ტრადიციისამებრ, მთელი გუნდი გამოცვალა და სხვა თერთმეტეულს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. შეცვლებს მიმართა ანატოლი პისკოვეცმაც და მეორე ტაიმის შუანელიდან „გაგრა" ოდნავ გააქტიურდა, მაგრამ მანამდე მათ კარში კიევ ერთი გოლი გავიდა- 50-ნუთზე თავი **ცნობილაძემ** გამოიჩინა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. მორიგ ამხანაგურ შეხვედრას „ტორპედო" 16 ივლისს გმართავს. ქუთათურები საკუთარ მოედანზე საჩხერის „ჩიხურას" გაეჯიბრებიან.

ტორპედო I ტაიმში: **მიგინეიშვილი, ფოფხაძე, მაჭავარიანი, თოდუა, გურული, გ. ჩხეტიანი, ჩიკვილაძე, დათუნაიშვილი, კვასხვაძე, ხაჭიპერაძე, საბანაძე**

II ტაიმში: **ქვილითაია, ფარულავა, კირკიტაძე, ბიბილაშვილი, თარხნიშვილი, გიგაური, კემუხტაშვილი, ლომაშვილი, კუხიანიძე, კვერნაძე, ცნობილაძე**

გაგრა: ნადირაძე (ხომერიკი), ზ. ჩხეტიანი, ტყეშელაშვილი (ბაქრაძე), გაბუნია (ყურულაშვილი), ცხადაძე (ხურციძე), ჯიშკარიანი (გედენიძე), სტეფანიშვილი (ოვონიკოკო), ნაკანეჩნი (ნათიძე), შარიქაძე (მოსიაშვილი), ორდინსკი (კუტალია), კვანტალიანი.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| **ოლიმპი**<br>თემურ მახარაძე | აკინო, ფრაგა (ორივე - ბრაზილია), გველესიანი (კოლხეთი), ა. გილაური (?), პ. დათუნაიშვილი (?), ჭანტურია (?), მერლანი (?), გ. კვარაცხელია (ბელარუსი), მაჭავარიანი (ტორპედო), ელოხი (?), ხუბუა (პოლონეთი), იმედაშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი), ს. იაშვილი (ყაზახეთი) | გენაძე (გაბალა, აზერბაიჯანი), ბოლქვაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), ბათიაშვილი (სპარტაკი), ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ვიტ ჯორჯია), დოლიძე (დინამო), გ. ნუგ. ჭელიძე (ლოკომოტივი), ქემოკლიძე (სიონი), მოდებაძე (მეტალურგი ზ, უკრაინა) | 4 ივნისიდან - რუსთავში<br>დინამო 0:3<br>ვიტ ჯორჯია 0:2<br>25 ივნისიდან - ურეკში<br>სამტრედია 4:1<br>კოლხეთი (ფ) 0:0<br>გაგრა 5:0<br>ტორპედო 0:0 |
| **დინამო**<br>კახა კაჭარავა | გ. კაშია (?), შ. კაშია (?), აკირემი (?), კრსტესკი (?), ჩიკვილაძე (ტორპედო), მომჩილოვიჩი (ფიზმომზადების მწვრთნელი), ნემსაძე (?), ქანთარია (სპარტაკი) | ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი) მეტრეველი (გაგრა), გავაშელიშვილი (35-ე სკოლა), ვარდოსანიძე (?) | 7 ივნისიდან - თბილისში<br>ოლიმპი 3:0<br>სპარტაკი 2:0<br>35-ე სკოლა 5:0<br>ევროპის ლიგა<br>ფლორა 2:1<br>ფლორა 0:0 |
| **ზესტაფონი**<br>გია გეგუჩაძე | კორღალიძე, გამეზარდაშვილი (ორივე დაჩია, მოლდოვა), კაჭკაჭიშვილი (?), მჭედლიშვილი (?) | ბაბუნაშვილი (სექტცია, ისრაელი), ფიფია (ბაია), კ. ალადაშვილი (ანჟი, რუსეთი) | 1-9 ივნისი - თბილისი<br>10 ივნისიდან - ავსტრიაში<br>პლზენი (ჩეხეთი) 1:2<br>ზენიტი (რუსეთი) 0:0<br>ზალცბურგი (ავსტრია) 3:2<br>დინამო (მოსკოვი) 3:1<br>ევროპის ლიგა<br>ფაეტანო 5:0<br>ფაეტანო 0:0 |
| **ვიტ ჯორჯია**<br>გელა გომელაური | ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ოლიმპი), გ. დათუნაიშვილი (ტორპედო), ბერიაშვილი (ტრანსფერზე) | ძაძამია (გურია), ი. ჭანკვეტაძე (ტორპედო 2008) | 10 ივნისიდან - თბილისში<br>ოლიმპი 2:0<br>სპარტაკი 1:0<br>23 ივნისიდან - უკრაინაში<br>ტავრია 1:2<br>ნაფტოვიკი 0:3<br>ჰელიოსი 1:0<br>კრიმტეპლიცა 1:3 |
| **სპარტაკი**<br>გოჩა ჩიქოვანი | უხურგუნაშვილი (ბანანცი, სომხეთი), ბათიაშვილი (ოლიმპი), ფოფხაძე (ტორპედო), დემეტრაძე (?), ბურდული (აზერბაიჯანი), მედ ნალო (?), ზონი (?), ნონოსი (?), ბაქრაძე (?), ჩირიკაშვილი (?), ჩივაძე (სიონი), გ. კვახაძე (?), თარხნიშვილი (ტორპედო?), მგალობლიშვილი (?) | ჩალაძე (სამტრედია), ზარქუა (ბაია), ბილიხოძე, თავბერიძე (ორივე IBSU), ქანთარია (დინამო), სარალიძე (ლოკომოტივი), გრიშიკაშვილი (მიკა, სომხეთი), აქუბარდია (ბაია) | 7 ივნისიდან - თბილისში<br>ვიტ ჯორჯია 0:1<br>დინამო 0:2 |
| **სიონი**<br>ხვიჩა ქასრაშვილი | ქემოკლიძე (ოლიმპი), ლ. მელქაძე (?), გ. მაისურაძე (?), ი. შენგელია (?), ლ. მერებაშვილი (?), გ. დეკანოსიძე (?), ჯ. უგულავა (?) | ჩივაძე (სპარტაკი), ორბელაძე (სტანდარტი, აზერბაიჯანი), რ. გოცირიძე (ისრაელი), ბობოხიძე (უგუნდოდ) | 20 ივნისიდან - თბილისში |
| **სამტრედია**<br>გელა სანაია | ჩალაძე (სპარტაკი), ზ. ხაჭიპერაძე (ტორპედო) | გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი), ბაკარანძე (ბაია), ჩხიკვაძე (მარტვილი), სოსელია, ხუმარაშვილი (ორივე - ლოკომოტივი), ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე გაგრა, იჯარით), კვერენჩხილაძე (გურია) | 10 ივნისიდან<br>ტორპედო 0:1<br>ოლიმპი 1:4 |
| **ბაია**<br>ელგუჯა ქომეთიანი | ს. თოდუა (ტორპედო), ფიფია (ზესტაფონი), ჩისამბა ლუნგუ (ურალი, რუსეთი), ზარქუა, აქუბარდია (ორივე - სპარტაკი) | ოთარ გაბელია (კონსულტანტი), რიგვავა (კვიპროსი), ახალკაცი (სიმურგი, აზერბაიჯანი), კ. ჩხეტიანი (სიმურგი, აზერბაიჯანი), გ. ნოდ. ჭელიძე (?), გოგობერიშვილი (სიონი), ჭიჭველიშვილი (სტანდარდი, აზერბაიჯანი), გიორგი მეგრელაძე (უზბეკეთი) | 15 ივნისიდან |
| **ტორპედო**<br>რამაზ მუმლაძე | ი. ჭანკვეტაძე (ვიტ ჯორჯია), ბ. ხაჭიპერაძე (?), ხარებავა (?), ცაგარეიშვილი (?), ჩიხლაძე (?) | რამაზ მუმლაძე (ავაზა/ვისოლი,მთავარი მწვრთნელი), ჩიკვილაძე (დინამო), გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ფოფხაძე (სპარტაკი), მაჭავარიანი (ოლიმპი), ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია), ქვილითაია (ლოკომოტივი), თარხნიშვილი (სპარტაკი), ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი), ს. თოდუა (ბაია), საბანაძე (ავაზა/ვისოლი), ბ. გიგაური | 11 ივნისიდან - ქუთაისში<br>სამტრედია 1:0<br>მარტვილი 3:0<br>ოლიმპი 0:0<br>კოლხეთი 2:1 |
| **კოლხეთი (ფ)**<br>ბესიკ შეროზია | გ. თოდუა (?), დ. ქირია (?) | სტურუა (გაგრა), გველესიანი (ოლიმპი), ზ. ექონია (ბაია), სილაგავა (?), | 10 ივნისიდან<br>ოლიმპი 0:0<br>ტორპედო 1:2<br>გაგრა 0:4 |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# ჰომოსექსუალები ბუნდესგუნდში?

## შპიგელის სტატიამ საფეხბურთო გერმანია ააფორიაქა

დასრულდა თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატი, ყველაზე ავტორიტეტულმა (ამას ხაზგასმით ვამბობთ, რათა ვინმეს არ ეგონოს, რომ ყვითელი პრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზეა საუბარი) გერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა“ დაწერა, რომ შესაძლოა, გერმანიის ნაკრებში „ჰომოსექსუალების კოალიცია ყალიბდებოდეს, რომელსაც სათავეში ბუნდესგუნდის ყოფილი ფეხბურთელი უდგას, რომელიც ამ „შეთქმულების“ მოთავეა.

ამ სპეკულაციის წყარო კი, არც მეტი, არც ნაკლები, გერმანიის ნაკრების კაპიტნის, **მიხაელ ბალაკის** მრჩეველი, დოქტორი **მიხაელ ბეკერია**. „შპიგელის“ ავტორი **ალექსანდერ ოზანგი** წერს: *„მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე, თავისუფალ დროს საუბრისას, ბალაკის აგენტმა ბეკერმა ჩამომითვალა იმ გერმანელი ფეხბურთელების გვარები, რომლებიც ჰომოსექსუალები არიან, მაგრამ ამის შესახებ, რა თქმა უნდა, არავინ არაფერი იცის. ბერნდ შნაიდერის გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ ბეკერმა ჟურნალისტების წრეში ისიც თქვა, რომ გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ყოფილი ფეხბურთელი ჰომოსექსუალ ფეხბურთელებს ლობირებს და ძალიან უნდა, რომ ბუნდესგუნდში ცისფერების კოალიციაც კი ჩამოაყალიბოს.“*



მიხაელ ბალაკის მრჩეველი მიხაელ ბეკერი

„შპიგელის“ მიმომხილველის ზემოთ ხსენებულ სტატიაში ისიც წერია, რომ „ჰომოსექსუალთა შეთქმულების“ შესახებ თითქმის ყველა წამყვანმა ჟურნალისტმა იცის, მაგრამ ისინი არაფერს წერენ. *„სპეკულაციები და ამ თემაზე საუბრები გერმანელ ჟურნალისტებში სამხრეთ აფრიკაშიც ხშირი იყო“*, - წერს ოზანგი. მეტიც: ბეკერს უთქვამს, რომ იმ მოთამაშეებიდან, რომლებიც ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავდა წაყვანილი, ერთი მათგანი ნახევრად ჰომოსექსუალია და ამის შესახებ ჟურნალისტების წრეში ყველამ ყველაფერი იცის.

გააკეთა თუ არა ბეკერმა ნამდვილად ასეთი განცხადებები? გუშინ, ბალაკის აგენტ მიხაელ ბეკერს „ბილდის“ კორესპონდენტი შეეხმიანა და „შპიგელში“ გავრცელებულ ინფორმაციებზე დაეკითხა. ალსანიშნავია, რომ ბეკერმა კატეგორიულად არ უარყო ყველაფერი ის, რაც „შპიგელში“ დაიწერა. ლუქსემბურგელმა აგენტმა თქვა: *„როგორც ჩანს, „შპიგელის“ ჟურნალისტმა ჩემგან ყველაფერი სწორად ვერ გაიგო.“* თუ რას გულისხმობს კონკრეტულად, ამაზე საუბარი ბეკერმა ალარ ისურვა.

როგორი რეაქცია აქვს გერმანიის საფეხბურთო კავშირს? ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გუშინ მხოლოდ ბუნდესგუნდის მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფის** მოხელთება შეძლეს, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, „შპიგელის“ სტატიას სისულელე უწოდა.

*„არანაირი კომენტარი. ვფიქრობ, ამაზე სათქმელი არაფერია. ამ დონეზე არ დავეშვები და ასეთ ამბებზე კომენტარს არ გავაკეთებ,“* - უთხრა ბირჰოფმა „ბილდს“.

გაგრძელება, ალბათ, იქნება...

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# მორატი შვაინიზე ოცნებობს!

## სოსა წავა, ვან დერ ვილი ბარსელონასაც სურს



ბასტიან შვაინშტაიგერმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზა

არგენტინელი **ხოსე ერნესტო სოსა** მიუნხენის „ბაიერნში“ 2007 წლიდან ირიცხება, მაგრამ ერთ დროს დიდი ზარზეიმით შეძენილმა ნახევარმცველმა, სამი წლის განმავლობაში ვერ შეძლო ის, რომ რეკორდმაისტერში ადგილი დაემკვიდრებინა. ან უკვე 25 წლის სოსა ბოლოს „ესტუდიანტესში“ იყო განათხოვრებული და სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ის არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **დიეგო მარადონას** გაფართოებულ სიაში გახლდათ შეყვანილი. „ბაიერნმა“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და სხვებთან ერთად, მიუნხენში სოსაც გამოცხადდა, რადგან იჯარას ვადა გაუვიდა, სოსას კი „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ერთ დროს უალრესად პერსპექტიულ მოთამაშედ შერაცხილი ნახევარმცველი მიუნხენური კლუბიდან წავა.

სოსას მრჩეველი **ფაბიო ბილარდო** ამბობს, რომ 25 წლის არგენტინელს „ბაიერნიდან“ წასვლა უნდა და რომ მისთ იტალიური „პარმა“ ძალიან სერიოზულადაა დაინტერესებული. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, მიუნხენური კლუბიც მზადაა, სოსა თუნდაც მცირე თანხის სანაცვლოდ დათმოს, რადგან რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** ამ ფეხბურთელში ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავს.

სამაგიეროდ, ბავარიელები ჰოლანდიის ნაკრების მარჯვენა მცველ **გრეგორი ვან დერ ვილისთვის** ბრძოლას აგრძელებენ. „ბაიერნის“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ვან დერ ვილის თავის გუნდში ხილვა უნდა. გერმანულ პრესაში გავრცელდა სპეკულაცია იმის შესახებაც, რომ „ბაიერნი“ უკვე მოურიგდა ამსტერდამის „აიაქსს“ ტრანსფერზე, რომელიც გერმანულ გრანდს 17 მილიონი ევრო დაუჯდება. მაგრამ „კიკერი“ გვამცნობს, რომ ტრანსფერი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. გაირკვა, რომ 22 წლის ვან დერ ვილით „ბარსელონაცაა“ დაინტერესებული.

ამასობაში, მიუნხენური კლუბისა და გერმანიის ნაკრების ლიდერ **ბასტიან შვაინშტაიგერს** მილანის „ინტერში“ ეპატიჟებიან. მილანური გრანდის შეფმა **მასიმო მორატიმ** „გაძეტა დელო სპორტს“ დაუდასტურა, „ბაიერნის“ შეფებს შვაინშტაიგერზე სიტყვა ჩამოვუგდე, ძალიან მინდა, რომ ამ ფეხბურთელმა „ნერაძურის“ ფორმა მოირგოსო.

*„ბასტიანი ძალიან მომწონს და ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ ის უნდა დაესახელებინათ,“* - უთხრა მორატიმ „გაძეტას“. თვითონ შვაინი მიუნხენურ კლუბში თავს კარგად გრძნობს, მაგრამ კლუბის გამოცვლას არ გამორიცხავს.

**გოტფრიდ ლენცი**



# ქებათა ქება ფურია როხას

## ერთი დარტყმით პირდაპირ სამოთხეში

რვაფეხა პაული გამჭრიახი წინასწარმეტყველი აღმოჩნდა, მან ფინალის გამარჯვებულიც გამოიცნო - „ფურია როხა“. თამაშის 116-ე წუთზე მოხდა ეპიზოდი, რომელმაც ოქროს ასოებით დაწერა ესპანური ფეხბურთის ისტორიის ბრწყინვალე თავი: დროული პასით, ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველმა **სესკ ფაბრეგასმა** ბურთი „ბარსელონელ“ **ანდრეს ინიესტას** შეუგდო. ამ უკანასკნელმაც, რაც ძალა ჰქონდა, ფეხის ერთ მოქნევაში ჩააქსოვა, მოქნევაში, რომელმაც ესპანეთს ისტორიაში პირველი გაბრწყინება მოუტანა მუნდიალებზე. *„დაუჯერებელია, რამხელა ენერგია წაიღო ყველაფერმა, სადაცაა დავეცემი“*, - ამბობდა მატჩის შემდეგ გამარჯვების გოლის ავტორი. მიუხედავად ამისა, „ფურია როხამ“ გათენებამდე იზეიმა. შესაძლოა, ესპანელებს დიდი საფეხბურთო ტურნირების მოგების მწირი გამოცდილება აქვთ, მაგრამ, ვის ვის და, ესპანელებს ვერავინ ასწავლის, როგორ უნდა მოლხენა. მოკლედ, მთელი ღამე და დილა, ნაკრების ბანაკში, მადრიდსა და ბარსელონაში, ესპანეთის ყველა ქალაქში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც ესპანურენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს ფიესტა გრძელდებოდა და გრძელდება. უფრო ზუსტად, ინიესტა ფიესტა...

იოჰანესბურგიდან გამარჯვებულთა თვითმფრინავი სამსაათიანი დაგვიანებით გაფრინდა სამშობლოში. წუხელ გუნდი მადრიდის სასახლე სარსუელაში ესპანეთის მეფე **ხუან კარლოსმა** მიიღო, შემდეგ ტრიუმფატორებს ქვეყნის პრემიერი **ხოსე ლუის საპატერო** შეხვდა. მუნდიალის გამარჯვებისთვის ფიფა ესპანეთის ნაკრებს 30 მილიონი დოლარით დააჯილდოებს.

ფინალი კი საოცარი სანახაობა გამოდგა, უხეშობამ, რითაც ეს ჩემპიონატი სულაც არ იყო გამორჩეული, ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. 14 ყვითელი ბარათი და ბოლოს გაძევებული **ჰეიტინგა** ამის მეტყველი დასტურია. ჰოლანდიელები არაფერს ერიდებოდნენ. **ნაიჯელ დე იონგმა** ისეთი ილეთი ჩაუტარა **ჩაბი ალონსოს**, რომ კუნგ ფუს კარგ ოსტატს შეშურდებოდა, ბასკი კარგა ხანს მოდიოდა გონს და 10-15 წუთი უაზროდ დარბოდა, შემდეგ კი მაინც შესაცვლელი გახდა. *„რა საშინელი შეცდომა იყო, ეს იყო სუფთა წითელი ბარათი*, - აღშფოთებულია **შტეფან ეფენბერგი** - *ვან ბომელიც აუცილებლად გასაძევებელი იყო, როცა ინიესტას ეუხეშა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ფეხბურთელი მაინც დაისაჯა სათანადოდ“*. „ნარინჯისფერთა“ მწვრთნელის, **ბერტ ვან მარვიიკის** საფინალო ტაქტიკა მარტივი იყო - ესპანელთა შუა ხაზის არტისტიზმის ყველა მეთოდით დანგრევა, მათ შორის, უკომპრომისო ორთაბრძოლებით. რამდენიმე დღით ადრე იგივე ამოცანა ჰქონდა გერმანიის ნაკრებს გადასაჭრელი, ეს ვერც ბუნდესგუნდმა შეძლო, მაგრამ გერმანელებს მსგავსი არაფერი უკადრებიათ, მათ ერთი ყვითელი ბარათიც არ მიუღიათ.

*„ეს დიდებული მომენტი იყო ესპანური ფეხბურთისთვის. ვფიქრობ, ყველაფერს, დრო რომ გავა, მერე გავიაზრებთ. ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ვხვდებით, რა გავაკეთეთ“* - ეს „ფურია როხას“ კაპიტნის, **იკერ კასილიასის** სიტყვებია. სამშობლოში გუნდის გამარჯვებას უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა, ესპანური მედია მხოლოდ ერთ ამბავს განიხილავს - მუნდიალს, რომელმაც სასიამოვნოდ შეძრა ეს პირენეის ქვეყანა. *„ოცნება რეალობა გახდა“* - წერს გაზეთი „ელ პაისი“, რომელიც მოუწოდებს 11 ივლისს ერთ-ერთ დღესასწაულად დანერგვას. *„ესპანეთი, ესპანეთი, ესპანეთი! მუნდიალმა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი აჩემპიონა“* - წერს „ელ მუნდო“. *„ინიესტამ გოლით პირდაპირ სამოთხეში მოგვახვედრა*, - წერს გაზეთი „მარკა“ - *ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ გამარჯვებამ ყველაფერი დაგვავიწყა“*. სხვა სპორტული გაზეთი AS წერს: *„ესპანეთის ნაკრები ღირსეული ჩემპიონია, ჩვენ მოვუგეთ ჰოლანდიას, რომელსაც მთელი თამაშის განმავლობაში ნადირობა ჰქონდა გამოცხადებული“*.

მაშ ასე, **ვისენტე დელ ბოსკეს** ოცდასამეულმა ერთთვიანი მარათონი ბრწყინვალედ გაიარა და დამსახურებულად მოიგო მუნდიალი. მოდი, ჩამოვწეროთ, ვის რა ღვაწლი მიუძღვის წარმატებაში.



ფიესტა მადრიდში

### მწვრთნელი

ვისენტე დელ ბოსკემ, რომელიც დეკემბერში 60 წლისა მოიყრება, არაჩვეულებრივი მემკვიდრეობა ირგუნა - **ლუის არაგონესმა** ესპანეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი მოიგო და სადავეები მას გადააბარა. ბუნებრივია, მისგან არანაკლებ წარმატებას ელოდნენ. თავიდან ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საუკეთესო ზღაპარში. ესპანეთის ნაკრებმა სულ რიხით გაიარა შესარჩევი მარათონი - მოიგო ათიდან ათი მატჩი! ამას დაერთო ბრწყინვალე გამარჯვება პარიზში (მარტში), რომელმაც „ფურია როხას“ ფეხბურთელებს თვითრწმენა საბოლოოდ ჩამოუყალიბა. პრობლემები კი მერე დაიწყო...

ერთმანეთის მიმდევრობით ტრავმები მიიღეს ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესმა ფეხბურთელებმა, **ინიესტამ, ჩავიმ, ტორესმა, ფაბრეგასმა.** მოკლედ, ესპანეთში ბევრი ინერვიულეს, საბოლოოდ ყველამ მოახერხა გამოჯანმრთელება, თუმცა კი ამის გამო მუნდიალზე ჩვენ ფერნანდო ტორესის ნაცვლად მისი ლანდი ვიხილეთ. დაიწყო მუნდიალი და... „ფურია როხამ“ 10 კაცით დაცვაში ჩასულ შვეიცარიასთან 0:1 წააგო. აი, აქ კი დელ ბოსკეს კრიტიკა უფრო ხმამაღალი და გაბედული გახდა, მისი გაკრიტიკება ყოფილმა თავკაცმა არაგონესმაც გადაწყვიტა, რომელიც უპირველესად ორი ჩამშლელი ნახევარმცველით თამაშს უწუნებდა კოლეგას. ფაქტია, დელ ბოსკეს ვერ აღმოაჩნდა სათანადო ტაქტიკურ-სტრატეგიული იარაღი და მისი გუნდიც შვეიცარიულ კედელს შეასკდა. მაგრამ დრომ აჩვენა, რომ „ულვაშამ“ მხოლოდ ბრძოლა წააგო, ომისთვის კი ბრწყინვალედ ყოფილა მომზადებული. საკუთარი შეცდომებიდანაც სწორი დასკვნები გამოიტანა. მუნდიალზე ამის შემდეგაც რამდენჯერმე იყო საკამათო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ტაქტიკური სქემა თუ შეცვლა, მაგრამ საბოლოოდ ყველა შემთხვევაში მართალი დელ ბოსკე გამოვიდა. ამიტომაც მისი კრიტიკა სახიფათო საქმე გახდა, დელ ბოსკე საქმით ამტკიცებდა, რომ ლავირების საშუალება და უნარი ჰქონდა. მართალია, მას ზურგს უზარმაზარი არჩევანი უმაგრებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში კიდევ უფრო დასაფასებელია ზუსტი გადაწყვეტილების მიღება. თუ არ ჩავთვლით პირველ თამაშს, დელ ბოსკეს გუნდმა 6 მატჩიდან 6 მოიგო, 8 გოლი გაიტანა და მხოლოდ 1 გაუშვა, გუნდმა ყველა მეტოქე დაჩაგრა ბურთის კონტროლში, ზოგი მეტისმეტადაც კი, თუმცა კი ბეწვის ხიდზეც გაიარა (გავიხსენოთ პარაგვაელთა აცილებული პენალტი და **რობენის** ორი მომენტი ფინალში), მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა. მოკლედ, მადრიდის „რეალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა და მერე მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ მუნდიალებზე პირველი დიდი გამარჯვება მოუტანა ქვეყანას.

### მეკარე

მხოლოდ იკერ კასილიასს მოუწია თამაშმა, **პეპე რეინა** და **ვიქტორ ვალდესი** სათადარიგოთა როლებით დაკმაყოფილდნენ. კასილიასმა ერთხელ აღნიშნა რეინას წვლილი, როცა „ლივერპულის“ დარაჯმა წინასწარ უკარნახა, თუ რომელ კუთხეში დაარტყამდა პენალტს პარაგვაელი **კარდოსო.** სხვა მხრივ კი ეს კასილიასის მუნდიალი იყო, გუნდის კაპიტანმა 660 წუთის განმავლობაში დაამტკიცა, რომ საუკეთესო იყო და ფიფასგან „ოქროს ხელთათმანიც“ მიიღო. იკერს თანაგუნდელები ბევრ საზრუნავს არ აძლევდნენ, 7 თამაშში მას სულ 17-ჯერ მოუწია გუნდის გადარჩენამ, მათ შორის ყველაზე მეტი დარტყმა (5) კასილიასმა ფინალში მოიგერია. სამაგიეროდ, იკერი თამაშში ერთხელაც არ ჩართულა ჰონდურასთან მატჩში, ცენტრალური ამერიკის შვილებს ერთხელაც არ დაურტყამთ კარში მისთვის. თავიდან კასილიასმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა, შვეიცარიელებთან მატჩში გოლისას ძალზე არადამაჯერებლად მოიქცა, ერთი-ორჯერ ანერვიულა გუნდი პორტუგალიასთანაც. მაგრამ ამ მეკარეს აქვს ის, რაც სხვებისთვის მიუღწეველია, ის ნამდვილი ლიდერია და მას შეუძლია გუნდი მარცხისგან იხსნას, რაც ამ მუნდიალზე კასილიასმა შემოგვთავაზა კიდეც. „კასტროლ ინდექსმა“ მუნდიალზე იკერ კასილიასის თამაში 9,21 ქულით შეაფასა, რაც გუნდში მე-8 შედეგია, მუნდიალზე კი - 23-ე (გოლკიპერთა შორის მე-2).

### დაცვა

ყველაზე სტაბილური და ნახევარდაცვაზე არანაკლებ ძლიერი რგოლი ესპანეთის ნაკრებში. მარჯვნიდან მარცხნივ ნაკრები მუდამ ასეთი დაცვით თამაშობდა: **სერხიო რამოსი, ჟერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, ხოან კაპდევილა.** „რეალი“ და „ვილიარეალი“ ფლანგებზე, წყვილი „ბარსელონა“ ცენტრში. ოთხივე ქების ღირსია, თუ არ ჩავთვლით სულ რამდენიმე ეპიზოდს (ცალი ხელის თითებზე ჩამოთვლა რომ შეიძლება) ესპანელთა დაცვა იყო, ყველაზე უსაფრთხო და ყველაზე შემტევი მუნდიალზე. სერხიო რამოსმა მთელ მსოფლიოს შეახსენა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველია. მუნდიალის განმავლობაში მიდიოდა დაუსწრებელი დუელი რამოსსა და **მაიკონს** შორის, რომელიც რამოსმა მოიგო. არადა „რეალის“ ახალი თავკაცი **ჟოზე მოურინიო** ცდილობს, მაიკონი „სამეფო გუნდში“ გადაიყვანოს, რად უნდა გუნდს პლანეტის ორი საუკეთესო მარჯვენა მცველი, გაუგებარია. სერხიო მთელ ფლანგს აკონტროლებდა, არ ყოფილა თამაში, რომ ფლანგზე ვიზავი არ დაეჯაბნოს და შეტევებში ხშირად არ ჩასულიყო. თავის ფუნქციებს ის კარგად უვლიდა და შეტევებშიც ყოჩაღობდა, მან მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი მიიღო (ფინალში). რამოსმა კარისკენ 11-ჯერ დაარტყა და 4-ჯერ მისი დარტყმა მეტოქის მეკარეებმა მოიგერიეს, მისი პასების 80% ზუსტი იყო, მუნდიალზე კი მან 24-ჯერ ჩააწოდა ბურთი საჯარიმოში. წინ მისი პასების ადრესატები ყველაზე ხშირად **ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო** და **ჩავი** იყვნენ. „კასტროლ ინდექსი“ მის თამაშს 9,79 ბალით აფასებს, ეს მუნდიალის საუკეთესო შედეგია! ბუნებრივია, ის საუკეთესოა, როგორც გუნდში, ასევე მუნდიალის მცველთა შორის.

თითქოსდა ხოან კაპდევილა ესპანეთის ნაკრების ყველაზე სუსტი რგოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ვილიარეალის“ მცველმა საპირისპირო დაამტკიცა. 32 წლის ფეხბურთელს სამხრეთ აფრიკაში „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა. მისი წყალობით, მარცხენა ფლანგიდანაც ისევე საშიში იყო ესპანეთი, როგორც მარჯვნიდან. კაპდევილამ ითამაშა მუნდიალის ყველა წუთი შეუცვლელად (660). კაპდევილა დაცვაში ძალზე აკურატულია (სულ 6 ჯარიმა!), თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის რამეს უთმობდა მეტოქეებს, თუმცა შეტევის ბოლო ფაზაში ისეთივე აქტიური ვერ იყო, როგორც რამოსი (2 დან 1 ზუსტი დარტყმა), მაგრამ შექმნაში გუნდისთვის არანაკლები სამუშაო გასწია (თუ მეტი არა), მისი პასების 81% იყო ზუსტი, საჯარიმოში კი მან 26-ჯერ ჩააწოდა. მისი პასების მომხმარებლები ყველაზე ხშირად ჩაბი ალონსო, **ინიესტა** და ჩავი იყვნენ. „კასტროლ ინდექსის“ შეფასება - 9,74, მეორე შედეგი მუნდიალზე სერხიო რამოსის შემდეგ!

დაცვის ცენტრში, ოდნავ მარცხნივ, ესპანურ ბასტიონს ქარიზმატული ლიდერი კარლეს პუიოლი ამაგრებდა, გერმანიასთან ნახევარფინალური მატჩის გმირი. სულ სამმა ესპანელმა ფეხბურთელმა გაიტანა გოლი მუნდიალზე, **ვილიას** და ინიესტას შემდეგ ეს პუიოლმა შეძლო. მისი პასების 88% იყო ზუსტი. „კასტროლ ინდექსი“ - 9,70, მესამე შედეგი მუნდიალზე! კვარტეტის ყველაზე ახალგაზრდა წევრი 23 წლის ჟერარდ პიკე არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვებს. როგორც კაპდევილამ, მანაც შეუცვლელად ითამაშა და 7 მატჩში სულ 4-ჯერ დაჯარიმდა! თუმცა ერთი დარღვევა მას ყვითელ ბარათად და ესპანელთა კარში დანიშნულ პენალტად დაუჯდა. თუ არ ჩავთვლით ამ ერთ ეპიზოდს, და ერთ „ჩავარდნას“ ფინალში, როცა რობენი გაეპარა, პიკე შეუდარებელი იყო, ხანდახან ისე ხშირად ჩადიოდა შეტევაში, ზოგიერთ ფორვარდს შეშურდებოდა. პასების სიზუსტე 85%, 5-დან 2 ზუსტი დარტყმა, პიკე მის წინ მყოფი სამეულის (ჩაბი ალონსო, ბუსკეტსი, ჩავი) მთავარი მომმარაგებელი იყო პასებით, რადგან როგორც წესი, კასილიასს თამაშში ბურთი პიკეს მისამართით შეჰყავდა. „კასტროლ ინდექსი“ - 9,62, ანუ მეხუთე შეფასება მუნდიალზე, მეოთხე მცველთა შორის. ამ კვარტეტის გარდა დელ ბოსკემ სამხრეთ აფრიკაში კიდევ სამი მცველი წაიყვანა, რომელთაც ეპიზოდური როლები ერგოთ: **ალვარო არბელოამ** 13 წუთი დაყო მოედანზე, **კარლოს მარჩენა** სამ თამაშში კი გამოჩნდა, მაგრამ ჯამში 8 წუთი ითამაშა, **რაულ ალბიოლი** კი საერთოდ დაიჩაგრა, ესპანეთი ისე გახდა მუნდიალის გამარჯვებული, რომ მას წუთითაც არ მოუწია თამაშმა, რაც ნაწილობრივ ვარჯიშზე მიღებული ტრავმის ბრალია.

### ნახევარდაცვა

ის, რომ „ფურია როხას“ საუცხოო ნახევარდაცვა ჰყავდა, ყველამ იცოდა, მაგრამ მუნდიალზე ნაკრების უძლიერესმა რგოლმა უფრო შთამბეჭდავად ითამაშა, ესპანეთის ნაკრების შუახაზმა „გამოხრა“ ყველა მეტოქის ნახევარდაცვა, ზოგს უკან დაახევინა (გერმანია, შვეიცარია, პორტუგალია, პარაგვაი), ზოგი აიძულა, უხეშობაზე გადასულიყო (ჰოლანდია), ზოგიც უბრალოდ „მოსპო“ (ჰონდურასი, ჩილე). შესაძლოა, ესპანეთის ნაკრები ისე ლაღად ვერ თამაშობდა, როგორც ორი წლის წინათ ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით, ამ ფორმაციის შუა ხაზი (**სენას** გარეშე, ორი საყრდენით) კიდევ უფრო საშიში გამოდგა მეტოქეთათვის. დელ ბოსკეს ხშირად უხდებოდა ცვლილების შეტანა ამ რგოლში, რაც... თავდასხმაში **ფერნანდო ტორესის** სუსტი თამაშით იყო გამოწვეული. დელ ბოსკემ 7 „სუფთა“ ნახევარმცველი იახლა მუნდიალზე, კიდევ ოთხმაც (**ნავასი**, ვილია, **მატა, პედრო**) ნახევარდაცვის ფუნქციები გაინაწილა.

მცირე ცვლილებები ყოველთვის [illegible] იყო, მაგრამ ღერძი მუდამ ერთი იყო - უკან ჩაბი ალონსოს და სერხიო ბუსკეტსის დუეტი, უკანასკნელი მეტოქეთა შეტევების ჩაშლაზე ორიენტირებული, ბასკი კი კომბინირებული (ჩაშლა, შეტევის დაწყება) ფუნქციებით, წინ ჩავი და ინიესტა (თუ ჯანზე იყო). ამასთან ჩავის ხშირად უფრო შემტევი ფუნქციები ევალებოდა, ვიდრე ის მიჩვეულია. დავიწყოთ ბუსკეტსით, ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე „უბრალო“ ფეხბურთელით. არადა მუნდიალზე „ფურია როხას“ წარმატებად დიდწილად ამ კაცის დამსახურებაა. სწორედ ბუსკეტსი უყრიდა საფუძველს ესპანელთა შემტევ პოტენციალს, ის უიოლებდა საქმეს ჩავის, ინიესტას, ჩაბი ალონსოს და სხვებს. მარტო ჩავიმ ბუსკეტსისგან 96 ზუსტი პასი მიიღო, სერხიოს პასები შეიძლება არ იყო ეფექტური, მაგრამ სიზუსტე და დროულობა მათ არ აკლდა - 88%. „კასტროლ ინდექსი“ ბუსკეტსს 9.46 ბალს ანიჭებს, რაც მუნდიალის მონაწილეთა შორის მე-11 შედეგია, ესპანეთის ნაკრებში - მე-6, ნახევარმცველებში - მე-3. აი, ასეთია ერთი შეხედვით უჩინარი ბუსკეტსი. ჩაბი ალონსოც უკნიდან თამაშობდა, თუმცა ბასკი უფრო ფართო დიაპაზონისა და გაქანების ფეხბურთელია. ბუსკეტსისგან განსხვავებით ალონსოს სტაბილურობა კი აკლდა, მაგრამ ის მაინც მეტ ხიფათს უქმნიდა მეტოქეს. „კასტროლ ინდექსი“ - 9,34. ეს შედეგი მე-16-ეა მუნდიალზე, მე-7 „ფურია როხაში“ და მე-6 ნახევარმცველთა შორის.

ჩავიზე დიდად იყო დამოკიდებული ესპანეთის ნაკრების თამაში, მან კი შვეიცარიასთან მატჩის პირველი ტაიმი უბრალოდ ჩააგდო, შემდეგ გვიან გამოფხიზლდა და ნაკრებს ველარაფერი უშველა. ამ მატჩის გარდა ჩავის მუნდიალზე არაფერი დაეწუნებოდა. პოზიციაზე უკვე ვთქვით, დელ ბოსკემ მას ოდნავ უცვალა ადგილი, რის გამოც მას ცოტა ხანს შეგუება დასჭირდა, მაგრამ, როგორც კი ათამაშდა, ისევ ძველი ჩავი ვიხილეთ. ერთი ეგაა, მთელი მუნდიალი ჩავიმ სამიზნე ვერაფრით გაისწორა - კარში 7-ჯერ დაარტყა და სულ არაზუსტად. „ბარსელონელი“ ისევ დარჩა პასების მეფედ, მუნდიალზე მან 669 პასი გააკეთა, აქედან 544 ზუსტი (81%). ის თითქოსდა უხილავი ძაფით იყო მიბმული ინიესტაზე (71 პასი ინიესტას, 62 პასი ინიესტასგან) და ბუსკეტსზე (70 პასი ბუსკეტსს, 96 პასი ბუსკეტსისგან). მოკლედ, „ბარსელონური“ სამკუთხედი ვიხილეთ, რომელმაც ბევრს გაუმწარა სიცოცხლე ამ მუნდიალზე. ჩავი ნაკრებში ყველაზე მეტს დარბოდა (80 კმ-ზე მეტი გაირბინა), მეტად იყო მოვლენების ეპიცენტრში. „კასტროლ ინდექსი“ - 8,77. 52-ე შედეგი მუნდიალზე, მე-10 გუნდში, მე-16 ნახევარმცველთა შორის.

>> მე-7 გვერდზე

« მე-6 გვერდიდან

ანდრეს ინიესტამ პირველ მატჩში ტრავმა გაიმიზეზა, რის გამოც მას ჰონდურასთან შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ ბოლოს ფანტასტიკურ ფორმაში შევიდა. ის 11-ჯერ დაემუქრა მეტოქეთა კარს, 5-ჯერ ბურთი კარში წავიდა და 2 გოლი გავიდა, მათ შორის უმნიშვნელოვანესი გოლი ფინალში. ერთადერთი, რაც ინიესტას დააკლდა ამ მუნდიალზე, პასების სიზუსტე და ინტენსივობაა, მან სულ 382 პასი გააკეთა (ლამის ნახევარი, ვიდრე ჩავიმ) და მხოლოდ 73%-იანი სიზუსტით დაგვამახსოვრა თავი. 9,15 - „კასტროლ ინდექსის" შეფასებაა ფინალის გმირის თამაშისა, ეს 26-ე შედეგია მუნდიალზე, მე-9 როგორც გუნდში, ასევე ნახევარდამცველთა შორის.

**სესკ ფაბრეგასი** გყავდეს და ის ხშირად სათადარიგოთა სკამზე იყოს, უდიდესი ფუფუნებაა, რისი უფლებაც დელ ბოსკემ საკუთარ თავს მისცა. გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ, ფაბრეგასი იმითაც უზომოდ ბედნიერი დარჩა, რომ ფინალში საგოლე პასი მისი იყო: *„ძალიან ვწუხდი, რომ ცოტახანს მინევდა თამაში, მაგრამ მოცდა ამად ღირდა, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ, გადამწყვეტი საგოლე პასი კი ჩემია"*, - განაცხადა „არსენალის" ვარსკვლავმა, რომელმაც სულ 126 წუთი გაატარა მოედანზე და 7-დან 4 მატჩი შეცვლაზე ითამაშა. **დავიდ სილვამ** სულ 66 წუთი დაყო მოედანზე, **ხესუს ნავასმა** - 178. თავის გამოჩენა კარგი თამაშით მათაც მოასწრეს (ეს უფრო ნავასზე ითქმის). გაცილებით ეპიზოდური როლები ერგოთ **ხუან მატას** (20 წუთი) და **ხავიერ მარტინესს** (17 წუთი).

## თავდასხმა

ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, დელ ბოსკე იძულებულიც კი გახდა სუფთა ორი ფორვარდის ნაცვლად 1 ცენტრფორვარდით ეთამაშა, მიზეზი კი „ელ ნინიოს" ცუდი თამაშია. დავი ვილია კი მისი მეწყვილისგან განსხვავებით საუკეთესოთაგანი იყო მოედანზე და მას სულ ცოტა დააკლდა „ოქროს ბურთსა" და „ოქროს ბუცამდე". ვილიამ 7 მატჩში 5 გოლი გაიტანა, მსოფლიოს ჩემპიონთა გოლების ნახევარზე მეტი. ერთი ეგაა, ნახევარფინალსა და ფინალში ვილია თითქოს დაცხრა, ველარ შეძლო თავის გამოჩენა. ჩვენ ამის მიზეზი პოზიციის შეცვლა გვგონია, როცა ვისენტე დელ ბოსკე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტორესის სასტარტოში დაყენება სარისკო იყო, მან ვილია წასწია წინ ეულ ცენტრფორვარდად. „ელ გუახე" 32-ჯერ დაემუქრა მეტოქის კარს, 17 დარტყმა ზუსტი გამოდგა, ხუთი კი გოლით დასრულდა. „კასტროლ ინდექსი" - 9,59. ეს მე-6 შედეგია მუნდიალზე, მე-5 ნაკრებში და პირველი ყველა თავდამსხმელს შორის.

„ელ გუახესგან" განსხვავებით „ელ ნინიო" მუნდიალის სრული იმედგაცრუება იყო. ტრავმამოშუშებული ტორესი პირველ შეხვედრაში შეცვლაზე შევიდა და შემდეგ ოთხჯერ ძირითადში დაიწყო, ბოლოს კი ისევ სათადარიგოთა სკამზე გადასვეს. ფორვარდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე შიშის ზარს სცემდა მეტოქეთა მცველებს, ახლა ძალიან უწყინარი ჩანდა, სულ ორჯერ დაარტყა ბურთი ზუსტად კარში, მისი პასების ნახევარზე მეტი არაზუსტი იყო. „კასტროლ ინდექსიც" შესაბამისი გამოდგა - 6,64. ეს 282-ე შედეგია მუნდიალზე! 11 ესპანელს მასზე უკეთესი შეფასება აქვს, ფორვარდებში ტორესი 47-ეა.

სულ ერთხელ გამოჩნდა ბასკი **ფერნანდო ლორენტე** გუნდში, 32 წუთი ითამაშა, მაგრამ ეს დრო სავსებით ეყო, რომ დაბადებულიყო „ლეგენდა ლორენტეზე". 194 სმ სიმაღლის 25 წლის ბასკს პორტუგალიასთან თამაში მართლაც ბრწყინვალედ გამოუვიდა, მისმა შემოსვლამ ამ შეხვედრის ბედის ჩარხი საესპანეთოდ შეატრიალა. სხვათა შორის, ბევრი მიიჩნევს, რომ დელ ბოსკეს უფრო ხშირად მართებდა ლორენტეს გამოყენება. დელ ბოსკე კი სულ სხვა აზრისა იყო - ბოლო ორ თამაშში მან სასტარტოში **პედრო** ათამაშა - ოღონდ პედრომ მარჯვენა შემტევი ნახევარმცველის ფუნქციები იკისრა. სხვათა შორის, ამ სიახლემ გაამართლა, განსაკუთრებით კი ნახევარფინალში, როცა პედრო ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი დიეგო ფორლანი

პორტრეტი

# ღირსეული საუკეთესო

ფინალის ნინადღეს, მესამე ადგილისთვის გამართული მატჩის შემდეგ, ვბჭობდით, რომელი ფეხბურთელი დასახელდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ და ყველანი ერთხმად შევთანხმდით, რომ ამ წოდებას ყველაზე მეტად ურუგვაის ნაკრების ლიდერი **დიეგო ფორლანი** იმსახურებდა, მაგრამ იქვე დავძენდით, რომ ფორლანს საუკეთესოდ ალბათ არ დაასახელებდნენ, რადგან მისი გუნდი ფინალში ვერ გა[ვი]და და სულაც მეოთხე ადგილი დაიკავა; [მუ]ნდიალის საუკეთესო ფეხბურთელებ[ს] კი, როგორც წესი, გამარჯვებული ან მეორე ადგილზე გასული გუნდიდან სახელდებიან ხოლმე. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ურუგვაის ნაკრების „ათიანის" აღიარება ასი პროცენტით დამსახურებულია. კარგი თავდამსხმელი რომ იყო, ვიცოდით, მაგრამ ფორლანმა ამ მუნდიალზე სხვა, კიდევ უფრო დასაფასებელი თვისებები გამოავლინა. ამ ყველაფრის შესაბამისად, ვფიქრობთ, ლოგიკურია ის, რომ, გადავწყვიტეთ, ფორლანი უფრო ახლოს გაგაცნოთ.

## ოჯახური ტრაგედია

როდესაც **დიეგო ფორლანი** პრესკონფერენციაზე უფროს დასთან ერთად წარდგება ხოლმე, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, იძულებულია, **ალეხანდრა ფორლანს** მიკროფონი თვითონ დაუკავოს. საქმე იმაშია, რომ ალეხანდრა ინვალიდის სკამზე ზის, რაც უმძიმესი ავტოავარიის შედეგია, რომელშიც ურუგვაის ნაკრების ლიდერის და მოყვა – მანქანით ხეს შეეჯახა. ალეხანდრა ექვსი თვის განმავლობაში ხელოვნურ სუნთქვაზე იყო შეერთებული და მისი მდგომარეობა უმძიმესი გახლდათ. დისთვის მიკროფონის დაკავება, დიეგოსთვის უმძიმეს წნეხს ნიშნავს, მაგრამ მაინც მოღიმარი სახით ამბობს ხოლმე, ჩემი უსაყვარლესი დით ძალიან ვამაყობო.

როცა ალეხანდრას ავადსახსენებელი ავარია მოუვიდა, დიეგო 10 წლის გახლდათ და მომხდარით, რა თქმა უნდა, შოკირებული იყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ფორლანმა, გამხდარიყო ფეხბურთელი და ბევრი ფული ეშოვა. 21 წლის შემდეგ, დიეგო მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ეს ტიტული მან თავის დას, ალეხანდრას მიუძღვნა.

2009 წელს ფორლანმა თავისი დის სახელობის ფონდი დააარსა. მიზანი: ხალხისთვის საგზაო უსაფრთხოების წესების მუდმივი გაცნობა და გაფრთხილება იმის შესახებ, რომ გზაზე დაუდევრობამ, შესაძლოა, ადამიანების სიცოცხლე შეიწიროს.

*„ჩვენ განსაკუთრებით ახალგაზრდებს მივმართავთ ხოლმე, რადგან პირველ რიგში სწორედ ახალგაზრდები არ იცავენ უსაფრთხოების წესებს,"* - ამბობს ფორლანი. მისი და, განათლებით ფსიქოლოგი ალეხანდრა კი ყოველთვის იმეორებს, რომ დიეგოს გვერდით ყოფნა მისთვის უდიდესი ბედნიერებაა.

## პასუხისმგებლობა

დიეგო თავისი ხელფასიდან გარკვეულ ნაწილს ზემოთ ხსენებულ ფონდსურიცხავს და თავის პოპულარობას იყენებს იმისათვის, რომ ურუგვაიში უსაფრთხო მოძრაობის პროპაგანდა გასწიოს, რათა, რაც შეიძლება, ნაკლებ ადამიანს დაემართოს ის, რაც მის დას.

*„ჩემი და საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გადაიტანოს ადამიანმა უდიდესი ტრაგედია. ალეხანდრას ტრაგედიამ ბავშვობაშივე მიმახვედრა, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს,"* - აცხადებს ფორლანი.

პასუხისმგებლობა სწორედ ის სიტყვაა, რომელიც ამ მუნდიალის შემდეგ, ფორლანზე საუბრისას, ყველაზე ხშირად უნდა ვახსენოთ ხოლმე. მოსალოდნელიც იყო, რომ ურუგვაის ნაკრებში მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე ფორლანი აიღებდა, მაგრამ თუ ამ დონის ლიდერად მოგვევლინებოდა, ნაღდად ვერავინ წარმოიდგენდა. ყველა ჯარიმა და ყველა კუთხური მისი საქმე იყო, ამასთან, დიეგო ახალ ამპლუაშიც მოგვევლინა – გამთამაშებლად, ტემპის კონტროლიორად, ურუგვაის ნაკრების შეტევების მთავარ და ფაქტობრივად, ერთადერთ ორგანიზატორად. შესაბამისად, მაისურებმა, რომლებიც „მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგებმა 2002 წელს დაბეჭდეს (დამცინავი წარწერით: *„მე მინახავს ფორლანის გოლი"*), უკვე დიდი ხანია, აქტუალურობა დაკარგეს.

დღეს ასეთი აზრი თავში აღარავის მოუვა, რადგან ფორლანს როგორც კლუბში, ისე ნაკრებში, ძალიან ბევრი გოლი გააქვს.

## მოკრძალებული დიეგო

ყველაზე კარგი და სასიამოვნო ის არის, რომ ფორლანს ფეხბურთის კარგად თამაშის გარდა, სხვაც ბევრი რამ შეუძლია. დიეგო ოთხ ენაზე ლაპარაკობს, ეკონომიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავია, მოკრძალებულ, თავმდაბალ პიროვნებად დარჩა. მადრიდის ერთ-ერთ საუკეთესო უბან „ლას როსასში" ფორლანი იშვიათად ჩნდება მასობრივ წვეულებებზე. „იაგუარების", „ფერარებისა" და „ბენტლების" კომპანიაში კი მისი მოკრძალებული ავტომობილი, „პეჟო 205" ბევრს თვალში უცნაურად ხვდება და როცა იგებენ, რომ ეს დიეგო ფორლანის მანქანაა, გამვლელები გაოცებისგან პირს დააღებენ ხოლმე.

*„პეჟო 205" არის ავტომობილი, რომელიც მე თვითონ ვიყიდე. ვფიქრობ, რომ ავტომობილი მხოლოდ გადაადგილების საშუალება იყოს, ცხადია, კომფორტული. მიმაჩნია, რომ ამაზე მეტად გამომწვევი და კომფორტული მანქანა არც ერთ ადამიანს არ სჭირდება,"* - ამბობს დიეგო და მას სპექტაკლების დადგმა საფეხბურთო მოედანზე ურჩევნია: 80 მატჩში 37 გოლი „ინდეპენდიენტეს" მაისურით, 128 მატჩში 59 გოლი „ვილიარეალის" ფორმით და 154 მატჩში 86 გოლი მადრიდის „ატლეტიკოში".

ერთადერთი კლუბი, სადაც მან გოლები ვერ გაიტანა, „მანჩესტერ იუნაიტედი" იყო – მხოლოდ 17 გოლი 98 შეხვედრაში. ამის გამო შეიქმნა ის მაისურები, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით - კერძოდ კი მას მერე, რაც მან 2002 წელს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „ლევერკუზენთან" ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ფორლანის მანჩესტერული კარიერა, „ლევერკუზენის" მცველ **დიეგო პლასენტეს** მაშინ დიეგოს დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან რომ არ გამოეტანა.

ფორლანი არ მალავს, რომ პრემიერლიგიდან წასვლა მის ცხოვრებაში ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო. ფაქტია, რომ მას მერე ურუგვაელი ფეხბურთელი მუდმივად კარგად თამაშობს და ისეთი პროგრესი განიცადა, რომ ახლა უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელია.

მუდმივი შრომა, ფილიგრანული ტექნიკა და ბრძოლისუნარიანობა – აი, დიეგო ფორლანის მთავარი პლუსები. ამ ყველაფერს ემატება ფეხბურთის ტრადიციული სიყვარული, რაც მან მამამისისგან მიიღო. **პაბლო ფორლანი** ურუგვაის ნაკრებში მაშინ თამაშობდა, როცა ეს გუნდი ნებისმიერ მეტოქეს შიშის ზარს სცემდა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უფროსი ფორლანი მაინცდამაინც ტექნიკური არ იყო (ცენტრალური მცველი გახლდათ).

ფაქტი ერთია: დიეგო ფორლანისთვის ყოველთვის იარსებებს ფეხბურთზე უფრო მნიშვნელოვანი ცნებები, რადგან მისი დის ტრაგედია ბავშვობიდან მოჰყვება. დიეგო ფორლანს ყოველთვის ახსოვს, რომ ფეხბურთი ყველაფერი არ არის. შესაძლოა, ამიტომაც თამაშობს ასე მსუბუქად და მოედანზე ყოფნისას არასდროს ეტყობა, რომ წნეხის ქვეშაა მოქცეული.

**გოტფრიდ ლენცი**

გამოხმაურება

# ჰოლანდიელები ვებს მისდგნენ

## სნეიდერი: ეს ფეხბურთის და ზოგადად სპორტის სირცხვილია!

წაგებული ფინალის შემდეგ, მთელმა ჰოლანდიამ ინგლისელი არბიტრის, **ჰოვარდ ვების** წინააღმდეგ გაილაშქრა. ფეხბურთელებიდან, მსაჯი ყველაზე მეტად **უესლი სნეიდერმა**, **არიენ რობენმა** და **მარკ ვან ბომელმა** ლანძღეს. *„ეს ფეხბურთის და ზოგადად სპორტის სირცხვილია,"* - ყვიროდა საფინალო სასტვენის შემდეგ სნეიდერი. *„ვებზე საუბარი არ მინდა. მან დღეს ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და თანაც, ყოველთვის ჩვენს საწინააღმდეგოდ ცდებოდა. ვფიქრობ, ეს ყველამ დაინახა,"* - ეს კი ვან ბომელის სიტყვებია. ჰოვარდ ვები მიუნხენის „ბაიერნის" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმაც** გააკრიტიკა, ინგლისელმა არბიტრმა მატჩის მიმდინარეობაზე და შედეგზე გავლენა მოახდინაო.

13 გაფრთხილება, ერთი გაძევება, უამრავი ჯარიმა, უდიდესი ემოციები – ბოდიბილდერის შესახედაობის მქონე ვებს მუნდიალის ფინალში იოლი სამუშაო ნამდვილად არ ჰქონია. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა ფინალის დაწყებიდან, ვები უფრო და უფრო ხშირად ექცეოდა ყურადღების ცენტრში.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ვებმა ჰოლანდიელებიც დაინდო. კერძოდ, **ნაიჯელ დე იონგი**, რომელმაც **ჩაბი ალონსოს** ფეხი პირდაპირ მკერდში ჩააზილა და წითელ ბარათს იმსახურებდა. სხვათა შორის, ვან გაალი ამ შემთხვევაში ამბობს, დე იონგი ნამდვილად გასაძევებელი იყოო. სამაგიეროდ, ინგლისელმა მსაჯმა გადამწყვეტი და ყველაზე მთავარი შეცდომა მატჩის მიწურულს, **ინიესტას** გოლამდე 40-50 წამით ადრე დაუშვა, როცა ესპანეთის ნაკრების კართან კუთხური არ დანიშნა, არადა, მომდევნო შეტევას ინიესტას მიერ გატანილი გამარჯვების გოლი მოჰვა და კუთხური რომ დაენიშნა, ის გოლი არ გავიდოდა.



იორის მატიისენი ჰოვარდ ვებს, რა თქმა უნდა, ამაოდ ეჩხუბებოდა

საერთო ჯამში კი, ვებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური მატჩების ისტორიაში რეკორდი მოხსნა: ფინალში ყველაზე მეტი ყვითელი აქამდე 1986 წელს, არგენტინისა და გერმანიის ნაკრების დაპირისპირებისას იყო აფრიალებული – 7. ვებმა კი გუშინ ფეხბურთელები 13-ჯერ გააფრთხილა.

როცა გადაწყდა, რომ ვებს მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ემსაჯა, მისმა მეუღლემ ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთს განუცხადა, ჰოვარდს თავისი შვილების გაკონტროლებაც კი არ შეუძლია და არ ვიცი, მსაჯობას საერთოდ როგორ ახერხებსო. ცოლის ასეთ განცხადებას ვებმა ბრიტანული იუმორით, აი, ასე უპასუხა: *„აბა, როცა სახლში ვიქნები, მაშინ გაიმეოროს ასეთი რამ! დარწმუნებული ვარ, რომ იხუმრა. ჩემი შვილები ძალიან კარგად არიან გაზრდილები და კონტროლი არ სჭირდებათ."*

*„ყველაფერი დამთავრდა და ველარაფერს შევცვლით, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ მსაჯმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი სუპერმოვლენაა და ვფიქრობ, ასეთ მატჩებზე სუპერარბიტრმა უნდა იმსაჯოს. ფაქტია, რომ მან რამდენიმე აუხსნელი გადაწყვეტილება მიიღო, რითაც ფინალი დაამახინჯა,"* - ეს რობენის სიტყვებია.

**გოტფრიდ ლენცი**

# მუნდიალის შუქ-ჩრდილები



## საფეხბურთო სამყაროს მბრძანებელი

მსოფლიო ფეხბურთს, სულ მცირე ოთხი წლით, ახალი „მბრძანებელი" ჰყავს - ესპანეთის ნაკრებმა მართლაც დამსახურებულად მოიპოვა პლანეტის უძლიერესი გუნდის წოდება!

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელთა მართლაც ზღაპრული თაობა უდავოდ იმსახურებდა მსოფლიო ჩემპიონობას, ისე როგორც ამ გუნდის მწვრთნელი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტი - **ვისენტე დელ ბოსკე!**

ესპანეთის ნაკრები ამ მუნდიალზე ევროპის ჩემპიონისა და წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის (ბრაზილიასთან ერთად) სტატუსით ჩავიდა. აქედან გამომდინარე, ჯგუფურ ეტაპზე პირველსავე მატჩში წაგება (შვეიცარიასთან) ბევრმა უდიდეს მოულოდნელობად აღიქვა. თუმცა, სხვა ფავორიტებისგან (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი) განსხვავებით, ესპანელები მატჩიდან მატჩამდე უმატებდნენ და უკვე, „ფლეი ოფიდან" ამ გუნდის რეალური ძალაც გამოჩნდა! ფაქტობრივად, ეს იყო ამ მუნდიალზე ყველაზე დაბალანსებული გუნდი: ოთხივე სათამაშო რგოლში ერთი მეორეზე უკეთესი შემსრულებლებით, ამოუწურავი ადამიანური რესურსით, მრავალფეროვანი ტაქტიკით, ლაღი და სანახაობრივი ბურთაობით; და, რაც მთავარია, მართლაც გენიალური მწვრთნელით - საკლუბო დონეზე ყველაფრის მომგები ვისენტე დელ ბოსკე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნამდვილად იმსახურებდა სანაკრებო ტრიუმფსაც!

...როცა გუნდში **იკერ კასილიასი** გყავს, სანერვიულო არც არაფერია - ესპანეთის ნაკრების მეკარე მუნდიალის სტარტზე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა, მაგრამ ბოლო მატჩები ჩვეულად, უაღრესად საიმედოდ და დამაჯერებლად ჩაატარა; დაცვის ხაზზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: **სერხიო რამოსი, ხერარდ პიკე, კარლეს პუიოლი** და **ხოან კაპდევილია** თავიანთ უშუალო მოვალეობებსაც ჩინებულად ასრულებდნენ და ამ მუნდიალის ყველა შეხვედრაში თავიანთი გუნდის შეტევებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ; ნახევარდაცვა? აი, ეს კი, მართლაც განსაკუთრებული რგოლია: თანამედროვე ფეხბურთის ორმა გენიოსმა, **ჩავიმ** და **ანდრეს ინიესტამ**, სწორედ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში (ნახევარფინალსა და ფინალში) გამოავლინეს თავიანთი უმაღლესი კლასი; საერთოდაც, ერთი სიამოვნება იყო იმის ცქერა, თუ როგორ აკონტროლებდნენ ბურთს ესპანელი ნახევარმცველები მოედნის შუაგულსა თუ მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან, თანაც, ჩავისა და ინიესტას ზურგს უკან ორი ჩინებული „ჩამშლელიც" (**ხაბი ალონსო, სერხიო ბუსკეტსი**) ჰყავდათ და ამ ორი ვირტუოზის შეჩერებას ველარავინ ახერხებდა; **დავიდ ვილიაზე** კი ახალი რა უნდა ვთქვათ: მნიშვნელობა არ ჰქონდა, მარცხენა გარემარბად ითამაშებდა თუ ცენტრფორვარდად, ყველა მატჩში მეტოქეთა მცველები მუდმივ „ტერორში" ჰყავდა; მაგრამ, ძალიან, ძალიან ცოტა დააკლდა, რომ მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირიც გამხდარიყო.

... ზემოთ, ესპანეთის ნაკრების ამოუწურავი ადამიანური რესურსი ვახსენეთ და, რაღა თქმა უნდა, ამ გუნდის დანარჩენ ფეხბურთელებზეც უნდა ვთქვათ. თუმცა, უპირველესად, მაინც დელ ბოსკეს სამწვრთნელო ნიჭზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: გამოცდილი სპეციალისტი შემადგენლობაში როტაციას კონკრეტული მეტოქიდან გამომდინარე მიმართავდა (ეგ კი არა, ყველა შეცვლა ეფექტიანი ჰქონდა). თანაც, ყველა ახალი ფეხბურთელის ძირითადში დაყენებას თუ შეცვლაზე შემოსვლას, კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა: პორტუგალიასთან მატჩში შეტევების ძირითადი ვექტორი თავდაპირველად მეტოქის მარჯვენა ფლანგზე იყო, ჰოდა, დავიდ ვილიამ და ანდრეს ინიესტამ მართლაც „შავ დღეში" ჩააგდეს იმ პოზიციაზე მოასპარეზე **ჟორჟე კოშტა;** გერმანიასთან, პირიქით: ესპანელთა ბრძენმა მწვრთნელმა სწორად გათვალა, რომ ძლიერი მეტოქის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი დაცვის მარცხენა ფლანგი იქნებოდა და ამიტომაც ძირითადში სწრაფი და ენერგიული **პედრო** დააყენა. ან, თუნდაც ამ მუნდიალზეც **ფერნანდო ლორენტეს** ერთადერთი გამოჩენა გავიხსენოთ: იმავე პორტუგალიასთან შეხვედრაში მეტოქის დაცვის ცენტრის „გასარღვევად" ძალისმიერი და ტანმაღალი ფორვარდი იყო საჭირო და ბასკმა თავდამსხმელმაც ეს დავალება ჩინებულად შეასრულა. იმავეს თქმა შეიძლება **ხესუს ნავასზეც** - დელ ბოსკემ როგორც კი შეატყო, რომ ჰოლანდიელთა ვეტერანი მარცხენა მცველი **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი** დაიღალა, შეეტყო, მოედანზე მაშინვე ტექნიკური გარემარბი გამოიყვანა, ეფექტური დრიბლინგისა და სისწრაფის ხარჯზე თამაში რომ რამდენჯერმე გაამწვავა. ასე შეგვიძლია დაუსრულებლად ვისაუბროთ: **დავიდ სილვა, ხუან მატა, ხავი მარტინესი, კარლოს მარჩენა,** - ყველა ამ სარეზერვო ფეხბურთელს (ისევე როგორც სათადარიგო მეკარეებს - **პეპე რეინასა** და **ვიქტორ ვალდესს**) უპრობლემოდ შეეძლოთ თანაგუნდელის შეცვლა. აღარაფერს ვამბობთ **სესკ ფაბრეგასზე** - ლონდონის „არსენალის" უპირველესმა ვარსკვლავმა და გუნდის კაპიტანმა არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა ესპანელთა ტრიუმფში; ბოლოს და ბოლოს, სწორედ ფაბრეგასის ზუსტი პასის შემდეგ გაიტანა ანდრეს ინიესტამ ის მართლაც „ოქროს გოლი", ესპანელთა ზღაპრულ თაობას დამსახურებული ჩემპიონობა რომ მოუტანა.

... აი, **ფერნანდო ტორესი** კი აშკარად არ იყო ფორმაში; ამის მიუხედავად, დელ ბოსკე მაინც ენდობოდა გუნდის უპირველეს ცენტრფორვარდს და თავდაპირველად მუდამ ძირითადში აყენებდა; ფაქტობრივად, ესპანელთა შემადგენლობაში ერთადერთი იმედგაცრუება სწორედ ტორესი იყო; თუმცა, ამ მუნდიალზე „ელ ნინიოს" გარდა სხვა ვარსკვლავებისგანაც არანაკლები იმედგაცრუება გველოდა; მაგრამ, მთავარი მაინც ის იყო, რომ მსოფლიოს XIX ჩემპიონატი დამსახურებულად მოიგო გუნდმა, რომელიც ამას ყველაზე მეტად იმსახურებდა. თანაც, ესპანელთა ამ გამარჯვებით, მუნდიალების ისტორიაში გარკვეულ „ტენდენციებსაც" ბოლო მოეღო...

## მითების მსხვრევა

მსოფლიოს XIX ჩემპიონატი ისტორიაში ძალიან ბევრი ფაქტორის გამოც შევა: პირველად მუნდიალს აფრიკის კონტინენტმა უმასპინძლა; ასევე პირველად მოხდა, როცა ჩემპიონატის მასპინძელმა გუნდმა... ჯგუფური ეტაპი ვერ დასძლია! ჰო, მსგავსი რამ წინა თვრამეტ გათამაშებაში არასდროს მომხდარა და ბევრი ფიქრობდა, რომ ტრადიცია არც ახლა დაირღვეოდა. რა თქმა უნდა, სამხრეთ აფრიკის ნაკრებს მუნდიალის ფავორიტთა შორის არავინ ასახელებდა, მაგრამ, ერთი შეხედვით, მეტ-ნაკლებად თანაბარ ჯგუფშიც მოხვდა და, რაც მთავარია, ყველაზე იოლი „სატურნირო ბადეც" სწორედ ამ გუნდს ელოდა. ამისათვის კი, საჭირო იყო, რომ **კარლოს ალბერტო პარეირას** გუნდს ჯგუფში პირველი ადგილი დაეკავებინა და შემდეგ უკვე თითქმის ყველა გრანდს ასცდებოდა. აბა, გავიხსენოთ, რომელ მეტოქეებს შეხვდა ამ ჯგუფის გამარჯვებული ურუგვაის ნაკრები მერვედფინალსა და მეოთხედფინალში: ჯერ - სამხრეთ კორეას, შემდეგ კი - განას; მაშინ, როცა იმავე მერვედფინალსა თუ მეოთხედფინალში ერთიმეორეზე „ბომბა-წყვილები" შედგა: გერმანია-ინგლისი, ესპანეთი-პორტუგალია, ჰოლანდია-ბრაზილია, არგენტინა-გერმანია...

...ამ მუნდიალამდე მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ევროპის ჩემპიონის სტატუსით მოასპარეზე გუნდმა მუნდიალის მოგებაც შეძლო; ასეთ წარმატებას მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა, **ჰელმუტ შიონის** განწრთნილმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მიაღწია: **ფრანც ბეკენბაუერმა, გერდ მიულერმა, ზეპ მაიერმა, ვოლფგანგ ოვერატმა** და **გიუნტერ ნეტცერმა** 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის მოგებას ორი წლის მერე სამშობლოში ჩატარებულ მუნდიალზე გამარჯვება მიამატეს. და აი, გერმანელთა მიღწევა ესპანელებმა გაიმეორეს, თანაც, ფაქტობრივად, იმავე შემადგენლობით: მსოფლიოს ჩემპიონატზე განაცხადში მყოფი 23 ფეხბურთელიდან მხოლოდ რვა იყო ისეთი, რომლებსაც ორი წლის წინ ევროპის პირველობაზე არ უთამაშიათ. სამაგიეროდ, მწვრთნელები იყვნენ სხვადასხვა: ვისენტე დელ ბოსკემ ამ პოსტზე **ლუის არაგონესი** შეცვალა.

...1962 წელს ბრაზილიის ნაკრები მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ამის მერე „თანამიმდევრობა" არ ირღვეოდა: სამხრეთამერიკული გუნდის ტრიუმფს ოთხი წლის შემდეგ... აუცილებლად ევროპელთა ზეიმი უნდა მოჰყოლოდა. ჰო, ასე გრძელდებოდა იმ შორეული 1962 წლიდან: ბრაზილია, ინგლისი, ბრაზილია, გფრ, არგენტინა, იტალია, არგენტინა, გფრ, ბრაზილია, საფრანგეთი, ბრაზილია და იტალია. მოკლედ, როგორ იტყვიან ხოლმე, ამ მუნდიალზე... სამხრეთამერიკელების „ჯერი" იყო; თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მერვედფინალში ამ კონტინენტის ხუთი, ხოლო მეოთხედფინალში კი ოთხი გუნდი გავიდა, ყველაფერი ასე „ლოგიკურადაც" უნდა დასრულებულიყო. თუმცა, ნახევარფინალში გასვლა მხოლოდ ურუგვაიმ (ამ მუნდიალის აღმოჩენამ და საერთოდაც, ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა) შეძლო, ფინალი კი - „წმინდა ევროპული" გამოდგა. მოკლედ, დღესდღეობით მსოფლიო ფეხბურთში ევროპული ჰეგემონიაა! საერთოდ კი, აქამდე მხოლოდ ერთადერთხელ იყო შემთხვევა, ევროპულმა გუნდებმა ზედიზედ ორ მუნდიალზე რომ გაიმარჯვეს: 1934 და 1938 წლებში იტალიის ნაკრებმა მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ორივე ის მუნდიალი ევროპაში ტარდებოდა (შესაბამისად - იტალიასა და საფრანგეთში) და მანამდეც და მერეც, კიდევ ერთ „კანონზომიერებასთან" გვქონდა საქმე. ანუ, ევროპული გუნდები მხოლოდ თავიანთ კონტინენტზე ჩატარებულ ჩემპიონატებზე იმარჯვებდნენ და მსგავს წარმატებებს სხვაგან ვერასდროს აღწევდნენ. თითქმის ანალოგიური სიტუაცია იყო სამხრეთამერიკული გუნდების შემთხვევაშიც - თუ მუნდიალი მათ კონტინენტზე, ან უფრო ჩრდილოეთით (მექსიკა, აშშ), ან კიდევ აზიაში ტარდებოდა, ევროპელებს ტიტულს არ უთმობდნენ. ამას გარდა, მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა, როცა ევროპაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი... არაევროპულმა გუნდმა მოიგო, თუმცა, 1958 წლის შვედეთის მუნდიალის გამარჯვებულ ბრაზილიის ნაკრებში ხომ **პელე** და **გარინჩა** თამაშობდნენ! და აი, ტრადიცია" კვლავ დაირღვა: ევროპულმა გუნდმა პირველად შეძლო სხვა კონტინენტზე ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება!..

## სამსაჯო შეცდომები

...საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე მატჩში ჩვენმა არბიტრებმა შეცდომები რომ დაუშვან (ერთმა, პენალტი არასწორად დანიშნა, მეორემ - თამაშგარე მდგომარეობა ვერ დაინახა, მესამემ, გასაძევებელი არ გააძევა, მეოთხე, პირიქით - ზედმეტად ლმობიერი იყო), გულშემატკივრების, კლუბების ხელმძღვანელების, მწვრთნელებისა თუ ფეხბურთელების რისხვის ობიექტად ხომ იქცევიან, კარგი დღე არც... ქართველი ჟურნალისტებისგან აქვთ. ჰო, ძალიან ხშირად, ჩვენი მსაჯების შეცდომებს მიზანმიმართული ქმედება კი არა, უბრალოდ, უფრო დაბალ კვალიფიკაციას მივაწერთ ხოლმე; ეგ კი არა, ხანდახან, „ბრძნულ რჩევასაც" არ დავამადლით: აი, შეხედეთ უცხოელ არბიტრებს, საერთაშორისო დონეზე როგორ მსაჯობენო. ამ მუნდიალის შემდეგ კი, უნდა ვაღიაროთ, რომ, თურმე... საკმაოდ მაღალი დონის არბიტრები გვყოლია! ბევრი ჩვენებური მსაჯი აღემატება კვალიფიკაციით ამ მუნდიალის მონაწილე რამდენიმე არბიტრს, ყოველ შემთხვევაში, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩის განსჯას... გვატემალელ, სეიშელისკუნძულელ, მალელ თუ მსგავსი „საფეხბურთო" ქვეყნის არბიტრს ანდობ, კურიოზული შეცდომებიც არ უნდა გვიკვირდეს. თანაც, ისიც ვაღიაროთ, რომ 2002 წლის მართლაც სკანდალური მუნდიალის შემდეგ არ გვეგონა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ამდენ სამსაჯო შეცდომას თუ ვნახავდით. ფიფა აქამდე „ტრადიციული" დუმილით ხვდებოდა სამსაჯო ლაფსუსებს, მაგრამ ამ მუნდიალზე მომხდარმა შეცდომებმა ყოველგვარ ზღვარს რომ გადააჭარბა, როგორც იქნა, თვითონაც მიხვდნენ და ამ ორგანიზაციაში სიახლეების დანერგვაზეც „ალაპარაკდნენ". ჰო, ჯერჯერობით არავინ იცის, რა ან როგორ იქნება: ჩოგბურთის თუ ჰოკეის მსგავსად ვიდეოტექნოლოგიებს გამოიყენებენ თუ ორივე კარს უკან... „დამატებით" მსაჯებს დააყენებენ; გასაგებია, არბიტრიც ადამიანია და შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ, ამ მუნდიალზე მომხდარმა სამსაჯო შეცდომებმა მართლაც ყველაზე „დასაშვებ თუ დაუშვებელ ნომრებს" გადაამეტა!

...ზემოთ, ფიფას „დუმილი" ვახსენეთ და ასეთი კონსერვატორული ორგანიზაციაც კი იძულებული გახდა და სამსაჯო შეცდომები აღიარა; თანაც, ზუსტად ფინალის დღეს (!) გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში მითითებულია, რომ არბიტრებს, თურმე, სამი გოლი შეცდომით ჩაუთვლიათ: ბრაზილია-კოტ დ'ივუარის მატჩში **ლუიშ ფაბიანოს** გოლის გატანამდე ბურთი ხელით გაუსწორებია, **კარლოს ტევესი** მექსიკელებს პირველ გოლს ვიდრე გაუტანდა, თამაშგარე მდგომარეობაში ყოფილა. ორივე ეს ეპიზოდი ყველასათვის ცხადზე ცხადი იყო, მაგრამ, თურმე დავიდ ვილიას მიერ პორტუგალიასთან გატანილი ერთადერთი გოლიც არ უნდა ჩათვლილიყო - ესპანელთა ფორვარდი თამაშგარე მდგომარეობაში ყოფილა.

ჰო, ეს სამი არასწორად ჩათვლილი გოლი ახსენეს და ამის გარდა, კიდევ რამდენი უხეში შეცდომა ვნახეთ? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გერმანელთა კარში **ფრენკ ლამპარდის** გატანილი გოლი მთელმა მსოფლიომ დაინახა გარდა იმ მატჩის... არბიტრის, **ხორხე ლარიონდასი**. ან სხვა შეცდომები ნაკლებად იყო? აი, თუნდაც, სლოვენია-აშშ-ის ნაკრებების მატჩში, მალელმა არბიტრმა **კომან კულიბალიმ** ამერიკელებს წესების სრული დაცვით გატანილი მესამე გოლი რომ არ ჩაუთვალა; ანდა, გერმანია-სერბეთის შეხ-

>> მე-9 გვერდზე


უზბეკი მსაჯი რავშან ირმატოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-8 გვერდიდან

ვედრა როგორ იმსაჯა ესპანელმა **უნდიანო მალენკომ;** ან სერბეთი-ავსტრალიის მატჩის ბოლო წუთზე, სერბებს ათასპროცენტიანი პენალტი რომ არ დაუნიშნეს. არადა, სერბებს რომ ის პენალტი გაეტანათ, მერვედფინალში გადიოდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჯგუფში განა ჩარჩებოდა; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აფრიკის კონტინენტის ყველა გუნდი ჯგუფურ ეტაპზე დაამთავრებდა ასპარეზობას! სხვათა შორის, ამ შეხვედრის არბიტრი... ხორხე ლარიონდა გახლდათ!

კიდევ ბევრი „უცნაური" მატჩის გახსენებაც შეიძლება, თუგინდ ბრაზილია-პორტუგალიის, ერთი შეხედვით, არაფრის მომცემი შეხვედრისა. მექსიკელმა არბიტრმა **ბენიტო არჩუნდიამ** პირველ ტაიმში შვიდი ყვითელი ბარათი უჩვენა ფეხბურთელებს, მეორეში კი - არც ერთი! თუმცა, ბარათების სიმრავლეში ინგლისელ **ჰოვარდ ვებს** ვერავინ აჯობებს: მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ მატჩებში ასეთი რაოდენობის ყვითელ-წითელი ბარათები არავის უჩვენებია. სხვათა შორის, ამ მუნდიალზე ჰოვარდ ვების ნამსაჯი ერთი შეხვედრაც გვახსენდება, ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ მატჩად რომ მოინათლა. იტალია-სლოვაკეთის შეხვედრას ვგულისხმობთ, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმის რამდენიმე საკამათო ეპიზოდს. ყოველ შემთხვევაში, იტალიელთა ქომაგები დღესაც მიიჩნევენ, რომ ინგლისელმა არბიტრმა მათ გუნდს ორი გოლი სულ ტყუილუბრალოდ არ ჩაუთვალა. ისე, ჰოვარდ ვების საფინალო გარჯასაც ვერ ვუწოდებთ იდეალურს, თუმცა, ამ კაცმა უნდა თქვას, იღბლიანი წელიწადი მაქვსო: ჯერ ჩემპიონთა ლიგის გაძლოლა მიანდეს, ახლა კი - მუნდიალის გადამწყვეტი შეხვედრის.

მსოფლიოს XIX ჩემპიონატის მსაჯობაზე ვსაუბრობთ და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, ორი ახალგაზრდა არბიტრი, **რავშან ირმატოვი** (უზბეკეთი) და **ვიქტორ კასაი** (უნგრეთი), რომლებსაც ამ მუნდიალზე ყველაზე მეტი მატჩის გაძღოლა დაევალათ. კასაიმ თითქმის ყველა შეხვედრა იდეალურად იმსაჯა, ერთადერთი, ესპანეთი-გერმანიის ნახევარფინალში მცირე სიმპათია ჰქონდა მომავალი ჩემპიონებისადმი. თუმცა, მთავარი მაინც ის იყო, რომ ამ უპრინციპულეს და უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებაში კასაის... არც ერთი ყვითელი ბარათი არ უჩვენებია! ირმატოვი ხომ, საერთოდ, ამ მუნდიალის ერთ-ერთ... აღმოჩენად მიიჩნიეს! ჯერ, გახსნის მატჩი იმსაჯა, რომელიც იდეალურად ჩაატარა და ამას კიდევ... ოთხი შეხვედრა მოაყოლა. აქედან ორი მეტად საპასუხისმგებლო გამოდგა და ბევრის აზრით, ახალგაზრდა არბიტრმა მეტნაკლებად საკამათო გადაწყვეტილებები მიიღო: გერმანია-არგენტინის მეოთხედფინალში დისკვალიფიკაციის ზღვარზე მყოფი თითქმის ყველა ფეხბურთელი დაინდო... **თომას მიულერის** გარდა, ხოლო ჰოლანდია-ურუგვაის ნახევარფინალურ მატჩს სამი წუთი რომ დაამატა, საფინალო სასტვენი, სულ მცირე, ექვსი-შვიდი წუთის მერე მისცა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, კასაის და ირმატოვს ჩინებული სამსაჯო კარიერა ელოდებათ. სხვათა შორის, ახალგაზრდა უზბეკი არბიტრის შთამბეჭდავი მსაჯობა მართლაც ბევრისთვის იყო მოულოდნელი, რასაც ვერ ვიტყვით... ცხინვალის „სპარტაკის" დირექტორატის წევრ ბატონ **ჯემალ ჭიპაშვილზე**. ყველაფერი კი 2007 წელს, დსთ-ის თასზე მომხდარა, როდესაც ბოლნისის „სიონი" (ბატონი ჭიპაშვილი მაშინ ქვემოქართლურ გუნდში მოღვაწეობდა) ლიტვურ „კაუნასს" ეთამაშებოდა და იმ შეხვედრის არბიტრი... ირმატოვი ყოფილა. ჰოდა, ჯემალ ჭიპაშვილსაც (ფეხბურთში ათასი რამის მნახველსა და ამ საქმეში მართლაც ჭიპმოჭრილ კაცს) სწორედ მაშინ უწინასწარმეტყველებია, რომ ყველასათვის უცნობი, ახალგაზრდა უზბეკი არბიტრი სულ მალე საერთაშორისო დონეს მიაღწევსო.

აუხდა კიდეც...

*(გაგრძელება მომდევნო ნომერში)*

**გია ტუხაშვილი**

იუვენტუსი

# ბუფონი: ჯეკო მაგარია!

**ჯანლუიჯი ბუფონმა** მძიმე ოპერაცია გადაიტანა, თუმცა უკვე კარგად გრძნობს თავს და ჟურნალისტებთან ურთიერთობის გუნებაზეც მოვიდა. მისი თქმით, **ლუიჯი დელ ნერის** ხელში „იუვე" აუცილებლად წარმატებული გუნდი იქნება და მომავალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. იტალიის ნაკრების კიპერს „ბიანკონერის" ახალ თავკაცში პრაგმატულობა მოსწონს და კიდევ ის, რომ მისი გუნდები ყოველთვის შედეგზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობენ. თუმცა, განსაკუთრებულად თბილი სიტყვები ბუფონმა „ვოლფსბურგის" თავდამსხმელ **ედინ ჯეკოს** მისამართით გაიმეტა, რომელიც „იუვეს" თვალთახედვის არეშია მოქცეული. მოვუსმინოთ ჯიჯის:


ჯიჯი ბუფონმა ედინ ჯეკო შეაქო

*„ჯეკოზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. ჩემი აზრით, ის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია ევროპაში. მეტიც, ვფიქრობ, რომ ბოლო ორი წელიწადია, ფორვარდთა საუკეთესო ხუთეულში შედის. ძალიან კარგად თამაშობს ორივე ფეხით, სახიფათოა საჰაერო ორთაბრძოლებისას, აგვირგვინებს შეტევებს, ამასთან, სიღრმიდან თამაშიც შეუძლია. ყველა სიკეთესთან ერთად, საკმაოდ სწრაფია და პასებსაც ჩინებულს აკეთებს. ასე რომ, თუ ტრანსფერი შედგა, მე მხოლოდ გამიხარდება - ეს დიდი შენაძენი იქნება„.*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## ადრიანო ბოლომდე იხარჯება

იტალიელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ **ადრიანო** ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება. „რომას" ახალწვეული თურმე სამაგალითოდ იქცევა, პირველი მიდის წვრთნაზე და იმაზე უფრო დიდხანს რჩება, ვიდრე ეკუთვნის. მოკლედ, ბრაზილიელს სურს, რომ ახალ სეზონს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდეს. აი, რას ამბობს „იმპერატორი" ჟურნალისტებთან საუბარში:

*„ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები - იმდენად ვიღლები, რომ ხანდახან მგონია, ველარ ამოვისუნთქავ. ამასთან, ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი, რომ ასეთი დატვირთვა ჩემთვის აუცილებელია. თუ მინდა, რომ ევროპულ ფეხბურთში ღირსეულად დავბრუნდე, მაქსიმალურად უნდა მოვინდომო. რაც მთავარია, შესანიშნავ გუნდში მოვხვდი, სადაც ყველა გვერდში მიდგას და მამხნევებს. სწორედ ეს მაკლდა „ინტერში" და ამიტომაც მივაშურე სამშობლოს. მომავალი სეზონისგან ძალიან ბევრს ველოდები - მსურს, ყველას დავანახვო, რომ ჩემი დრო არ წასულა და დიდი ფეხბურთის თამაში კვლავაც შემიძლია. თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვანი გუნდური ინტერესები და „რომას" წარმატებაა. სწორედ ეს არის ჩემი ამოსავალი წერტილი".*

**ლაშა ნიკლაური**

## ზელანდიური მიღწევა

ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელსაც განვლილ მუნდიალზე თამაში არ წაუგია. შეგახსენებთ, **რიკი ჰერბერტის** გუნდი სამხრეთაფრიკულ მსოფლიოს ჩემპიონატს ჯგუფური ეტაპიდანვე გამოეთიშა, მაგრამ იქ სამივე მატჩი ფრედ ითამაშა. მსოფლიოს ჩემპიონმა ესპანეთმა კი, როგორც იცით, მუნდიალზე ასპარეზობა შვეიცარიასთან განცდილი მარცხით დაიწყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სამხრეთი აფრიკა მესამეა

განვლილმა მუნდიალმა სტადიონებზე მაყურებლების დასწრების მხრივ მესამე ადგილი დაიკავა. სამხრეთაფრიკული მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებზე საერთო ჯამში 3,18 მილიონი მაყურებელი მივიდა, რაც ერთ შეხვედრაზე საშუალოდ 49670 გულშემატკივარს ნიშნავს.

პირველ ადგილზე 1994 წელს აშშ-ში გამართული მუნდიალია ჯამური 3.54 მილიონი მაყურებლით, მეორეზე კი გერმანიაში ოთხი წლის წინ ჩატარებული ტურნირია 3.36 მაყურებლით.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტრო



მარცხნიდან: დავით ნამგალაური, გიორგი ასანიძე, ვლადიმერ ვარძელაშვილი, მამუკა ქაცარავა
ფოტო: www.sport.gov.ge

# ქართული სპორტი ახალ უღელტეხილზე

ქართული სპორტი იმსახურებდა მაღალ სტატუსს და მიიღო კიდეც. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ჯერ ორი კვირაა, რაც შეიქმნა, მაგრამ ახალბედობა სამუშაო რიტმს სულაც არ ეტყობა. არც შეიძლება, დასტყობოდა - იგივე კადრები, იგივე შენობა და სამუშაო გარემო, ურთიერთობების მემკვიდრეობა... არც მინისტრია ახალი კადრი. ამ სისტემაში კარგა ხანს იმუშავა და სპორტისა და ახალგაზრდობის ინტერესების სახელმწიფოებრივ შერწყმაში დიდი წვლილიც შეიტანა. მოკლედ, ქართული სპორტული სამყაროს საქმიანობის ტემპი არანაირად არ შენელებულა, სამინისტროს სტატუსში დეპარტამენტის ამაღლება კი შემდგომი წინსვლის გარანტად იქცევა. ასეც განაცხადა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** სპორტული ფედერაციების ხელმღვანელებთან გუშინდელ შეხვედრაზე. ფედერაციები ქართული სპორტის საყრდენია და სამინისტრო, როგორც მინისტრმა ბრძანა, ყველანაირად გააღრმავებს და დახვეწს საქმიან ურთიერთობებს, მაგრამ არა მათი გადარჩენის, არამედ შედეგზე ორიენტირებით. მინისტრს გადაუწყვეტია, სამუშაო რეჟიმში ცალ-ცალკე შეხვდეს ფედერაციის თავკაცებს, მათთან ერთად განიხილოს პრობლემები და დასკვნებიც ერთად გამოიტანონ. მხოლოდ ამის შემდეგ შემუშავდება სტრატეგიული გეგმა სპორტის თითოეული სახეობისთვის და საერთოდ ქართული სპორტისთვის. ამოცანა გარკვეულია - სამინისტრო ერთ-ერთი წარმატებული უნდა გახდეს ქვეყანაში. აქ შეიქმნება და იმუშავებს მრჩეველთა საბჭო, ეს უწყება აქტიურად ჩაერთვება სპორტის შესახებ კანონის სრულყოფის სამუშაო პროცესში.

მინისტრმა შეკრებილთ აცნობა, რომ დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** მინისტრის მოადგილედ იმუშავებს. შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე** და თბილისის მერიის სოციალური დაცვისა და კულტურის სამსახურის უფროსი, მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **მამუკა ქაცარავა**.

**თენგიზ თომაშვილი**

**P.S. მინისტრმა თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული მუშაობის გაძლიერებას და ფედერაციებს თანადგომისკენ მოუწოდა. ქვეყანაში კვლავაც გაგრძელდება სპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ტენდენცია. ყველაფერი გაკეთდება სპორტის ცალკეული სახეობების ფედერაციების მუშაობის შედეგიანობის ასამაღლებლად და მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ღირსეულად მოსამზადებლად.**

**როგორც სამინისტროს პრესცენტრი იუწყება, დღეს მინისტრი ძიუდოს, სამბოს, ჩოგბურთის, მშვილდოსნობისა და ტანვარჯიშის ფედერაციების წარმომადგენლებს შეხვდება.**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

მადრიდის ტურნირი

# კვირკველია მადრიდში დაბრუნდა

ჩაბლილ უქმეებზე ორმა ქართველმა ბერძენ-რომაელმა - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მანუჩარ კვირკველიამ** (84), ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონმა, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა **რამაზ ნოზაძემ** (96) მადრიდის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავეს. ეს შეჯიბრება ჩვენებურთა კალენდარში არც იყო, მაგრამ იქ წასვლა ბოლო მომენტში გადაწყდა და თანაც საგანგებოდ ამ დუეტისთვის. მოგეხსენებათ, ტრავმების გამო მათ ძალზე ბევრი გაუცდათ და საშეჯიბრო პრაქტიკა აკლდათ, დეფიციტის შევსება კი მადრიდში გადაწყვიტეს. ამასთან, კვირის ბოლოს ორივე იჭიდავებს ბაქოში, „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალურ ტურნირში.

ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიასთვის** ესპანეთში შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, ბიჭებს რაც შეიძლება მეტი შეხვედრა მოეგოთ, ანუ სტარტი მიეღოთ. ამ მხრივ კვირკველიამ სრულად გაუმართლა - ჩემპიონი გახდა, ნოზაძემ კი პირველივე შეხვედრაში ადრე ნატკენი ფეხი გაიმიზეზა და ახალგაზრდებში რუმინელ ევროპის ჩემპიონ **რობერტ ალექსანდრ პაპთან** დამარცხდა.

კვირკველიას ამ ჯერზე წონა არ დააკლებინეს - 4 კილოგრამამდე აქვს დასაკლები და ზედა წონაში აჭიდავეს. საბედნიეროდ, ჩვენი ნაკრების ლიდერმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. სამივე ტურნირში (ქალები, ბერძენ-რომაელები და "თავისუფლები") 35 ქვეყანა მონაწილეობდა და მთლად სუსტიც არ იყო, მაგრამ ბევრი ძლიერი ფალავანი მაინც აკლდა. ამის მიუხედავად, კვირკველიას გამოსვლა ყოველმხრივ დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ხარისხიანად, დამაჯერებლად იჭიდავა. დარჩიას სიტყვით, მას ძალიან წაადგა სომხურ ნახკაძორში გავლილი ფიზმომზადების შეკრება და მთელი შეჯიბრება შემტევი სტილით ჩაატარა. მის აგრესიას ჯერ იტალიელი **ტომაზო ზენერე** ემსხვერპლა, მერე - ფინელი **პეკა რაინტამაკი**, ფინალში კი შვედ **კრისტოფერ ლიურიგბაკს** პირველი პერიოდი ქულებით სუფთად მოუგო - 6:0, მეორეში კი 5:0 აჯობა. მან წინა ორი მეტოქეც ასევე ძირითად დროში დაამარცხა, თუმცა, იტალიელისგან განსხვავებით, ფინელთან ორივე პერიოდში თითო ქულა დაკარგა - 2:1; 3:1. მთავარია, რომ მან სტარტი მიიღო, კვირას კი ბაქოშიც იჭიდავებს.

ალბათ, ბაქოში ნოზაძეც იასპარეზებს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ნაკრებში იმედოვნებენ, რომ ტრავმა არაა საშიში და იქ ხელს არ შეუშლის. ბარემ აქვე ბაქოში წამსვლელთა სრულ სიასაც შემოგთავაზებთ. „თავისუფალთაგან“ იქ გამოვლენ **ბესარიონ გოჩაშვილი, ლაშა ლომთაძე, ამირან ელბაქიძე** (55), **მალხაზ ქურდიანი, მალხაზ ზარქუა, გიორგი ბალიაშვილი** (60), **შალვა მუზიაშვილი, პაატა ნოზაძე, გოგა ხუჭუა** (66), **გელა სალირაშვილი, ოთარ ურატაძე, მარადი ზოიძე** (74), **დავით მარსაგიშვილი, არჩილ ქიტიაშვილი, თორნიკე სვანიძე** (84), **გიორგი გოგშელიძე, ბელდუხ გავაშელიშვილი, დაჩი ქერაშვილი** (96), **ლევან ბერიანიძე, დავით მოძმანაშვილი, კობა კერესელიძე** (120), ბერძენ-რომაელთა ტურნირში კი **ლაშა გოგიტაძე, ზურაბ კეკელიძე, მინდია წულუკიძე** (55), **რევაზ ლაშხი, გოგა გოგიბერაშვილი** (60), **ანტონ მამაგეიშვილი, მუხრან მაჭუტაძე, საჩინო დავითაია** (66), **გიორგი ცირეკიძე, გენადი გოგიშვილი, შმაგი გულიაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე, აკაკი ჯოხაძე** (84), **ვასილ იმერლიშვილი, იოსებ ჯაბიძე, სერგო ნინუა** (96), **ოთარ ბოლქვაძე, გურამ ფერსელიძე, სერგო გოგისვანიძე** (120) იჭიდავებენ. ოღონდ „თავისუფლებში“ მარსაგიშვილს, სავარაუდოდ, **ბექა ჭელიძე** შეცვლის, რაკილა დავითს სულ მალე ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობა ელის. ამავე მიზეზით ბერძენ-რომაელთაგან ვერც იმერლიშვილი და გოგიბერაშვილი იჭიდავებენ - პირველს ნოზაძე შეცვლის, მეორეს - **ირაკლი ჭოჭუა**. ჯერაც პაციენტ გულიაშვილის ნაცვლად კვირკველია იასპარეზებს, თუმცა მანუჩარი, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი, პერსონალურადაა მიწვეული, დავითაიას ნაცვლად კი მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** გამოვა.

**ირაკლი თავაძე**



მანუჩარ კვირკველია

სუმო

# შავმა ზღვამ ძველი დრო გაიხსენა



ტოჩინოშინი ჰარუმაფუჯის წინააღმდეგ

ნაგოიას ბაშოზე მეორე დღის ორთაბრძოლები გაიმართა, იაპონიაში ჩვენებურთაგან კვლავ მხოლოდ **ლევან ცაგურია** (კოკაი) ყოჩაღობს. სამშობლოში ყოფნისას „შავი ზღვა“ საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებო ორდენით დააჯილდოვა, იაპონიაში დაბრუნებული ყველაზე გამოცდილი ქართველი სუმოისტი კი ჯერჯერობით დაუმარცხებლად ასპარეზობს. 29 წლის კოკაიმ შეძლო მისთვის ხელსაყრელი ჰიდარი იუცოს დგომის მიღება მონღოლ **ტამავაშისთან** რკენაში, შემდეგ მარჯვენათი ხელთ იგდო მეტოქის მავაში და ძლიერი მიწოლით ძირს დაანარცხა მონღოლი „არნივი“. კოკაის ბალანსი ნაგოიას ბაშოზე 2-0-ია. დასავლეთის მე-12 მაეგაშირა დღეს მე-10 მაეგაშირა **ტოსაიუტაკას** შეხვდება, რომელმაც გუშინ ერთი ქართველი უკვე დაამარცხა. კოკაის ტოსაიუტაკასთან მკვეთრად უარყოფითი ბალანსი აქვს - 1:4.

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** ჯერ ვერ შეძლო კომუსუბის ტიტულით გამარჯვება. 22 წლის ქართველი 26 წლის ოძეკი **ჰარუმაფუჯის** ხვდებოდა, მონღოლი მთელი ძალით ეტაკა ქართველს, მავაშიც ხელთ იგდო და იორიკი განახორციელა. გასაკვირია ტოჩინოშინის დაგვიანებული რეაქცია. ჩვენებურს 0-2 ბალანსი აქვს და ახლა სეკივაკე **კისენოსატოს** ხვდება. 24 წლის კისენოსატოს ტოჩინოშინი აქამდე სამჯერ დაუპირისპირდა და მხოლოდ ერთხელ მოუგო.

0-2 ბალანსი აქვს ელიტის დებიუტანტ **გაგამარუსაც (თეიმურაზ ჯუღელი)**, ელიტის ყველაზე მძიმე სუმოისტმა (ქართველი 202 კილოგრამს იწონის) ტანმორჩილ ტოსაიუტაკასთან წააგო. აღმოსავლეთის მაეგაშირამ ზედიზედ მეორე შეხვედრაში ვერ შეძლო გვერდიდან შეტევის მოგერიება, პირველ დღეს ამ ილეთით თანამემამულე კოკიამ დაამარცხა, ახლა კი იმავე ფანდით ტოსაიუტაკამ ისარგებლა. გაგამარუ ელიტის მწარე რეალობის წინაშე აღმოჩნდა, სადაც ყველა მეტოქე უმაღლესი დონის რიკიშია. ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს ქართველი პირველ სირთულეებს. დღეს მისი მეტოქე მე-10 მაეგაშირა **მოკონამია**, რომელმაც 2-0 ბალანსით დაიწყო ბაშო. ქართველი დებიუტანტი მონღოლს პირველად გაეჯიბრება. ტოჩინოშინი და გაგამარუ ფრთხილად უნდა იყვნენ, თუ არ მოუმატეს, პირველი კომუსუბის ტიტულს დაკარგავს, ხოლო მეორე ელიტიდან გავარდება.

ბაშოს მეორე დღეს დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** ძალზე იოლად, ისე, რომ ერთი ზედმეტი ნაბიჯი არ გადაუდგამს, დაამარცხა **ტოჩიოძანი**. ეს დიდი მონღოლის ზედიზედ 34-ე გამარჯვებაა. მართალია, გოლიათი **კოტოოშუ** ვერ მიწვდა მონღოლ **ჰაკუბას** მავაშის, მაგრამ ბულგარელმა სუკუინაგეს ილეთით დააგდო „თეთრი ცხენი“. დღის მოულოდნელობა ოსი **არანის** გამარჯვებაა ევროპულ დერბიში, არანმა ჭკუით აჯობა ესტონელ **ბარუტოს** და დაამარცხა.

**ივლისის ბაშო. 11-25 ივლისი. ნაგოია.**

**II დღე:** ჰაკუჰო-ტოჩიოძანი (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), კოტოოშუ-ჰაკუბა (სუკუინაგე), კაიო-ასასეკირიუ (იორიკირი), არანი-ბარუტო (ოკურიდაში), ამინიშიკი-კოტოშოგიკუ (იორიკირი), კისენოსატო-კიოკუტენჰო (იორიკირი), კაკურიუ-ტოკიტენკუ (იორიკირი), ვაკანოსატო-კიტატაიკი (სუკუინაგე), შიმოტორიტოკუსეგავა (იორიკირი), მოკონამი-იოშიკაძე (ჰიკიოტოში), ტაკეკაძე-კაკიძოე (ოშიდაში), ტოსაიუტაკა-**გაგამარუ** (ცუკიოტოში), ჰომაშო-ტაკამისაკარი (იორიკირი), **კოკაი**-ტამავაში (იორიტაოში), ბუშუიამა-კიმურაიამა (იორიკირი), ჰოკუტორიკიშოტენრო (ოშიდაში), ტამაასუკა-საგაცუკასა (ოკურიდაში).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# მშვიდობით, ბაბამო!
## ტმენოვიც წავიდა


ანზორ მარტყოფლიშვილი (მარცხნივ) და ტამერლან ტმენოვი

შაბათს კიდევ ერთი დიდი სპორტსმენი გააცილეს სპორტიდან - ევროპის შვიდგზის ჩემპიონი, ოლიმპიადისა და მსოფლიოს პირველობის ვერცხლ-ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში, რუსეთის ნაკრების მძიმეწონოსანი **ტამერლან ტმენოვი**. გამოსათხოვარი საღამო მისი მშობლიური ვლადიკავკაზის სახელმწიფო თეატრში გაიმართა, ღონისძიებას კი ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურები, ცნობილი მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენები, მოსკოველი სტუმრები და ადგილობრივი ქომაგები ესწრებოდნენ. საღამოზე ტმენოვს მოპოვებული წარმატებებისთვის თუ წლების განმავლობაში გაწეული უდიდესი შრომისთვის არაერთხელ გადაუხადეს მადლობა. იგი ღირსების ორდენით ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტმა **ედუარდ კოკოითმაც** დააჯილდოვა. თავად სპორტსმენმა გამოთქვა იმედი, რომ ოსეთში მალე გამოჩნდება სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე გააკეთებს იმას, რაც მან ვერ შეძლო.

იმის მიუხედავად, რომ ტმენოვმა მსოფლიოს ძიუდოს უმთავრესი მწვერვალები ვერ დაიპყრო, ის მაინც დიდი იყო და ასეთივე სახელით დარჩება ძიუდოს ისტორიას. ის ყოველი ტურნირის ფავორიტად მიიჩნეოდა და სპეციალისტები მძიმე წონის ლიდერებზე საუბრისას არასოდეს უვლიდნენ გვერდს. რუსებს ამ წონაში მეორე ძლიერი ფალავანიც ჰყავთ - მოსკოველი **ალექსანდრ მიხაილინი**, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი. მან ის მწვერვალები დაიპყრო, რაც ტმენოვს მიუწვდომელი დარჩა, მაგრამ ოსმა ფალავანმა ყოველთვის გადაუკეტა ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა და მიხაილინის კარიერას შავი ლაქა დაეტყო.

თუმცა ტიტულოვანი ტმენოვი რალაცნაირად უიღბლოცაა - ოლიმპიადისა და მსოფლიოს პირველობის სამი ფინალი წააგო. ოლიმპიადაზე მისი დებიუტი 2000 წელს სიდნეიში შედგა და ბრინჯაოთიც დააგვირგვინა. ოთხი წლის შემდეგ - ათენში, როცა **ზურაბ ზვიადაური** (90) დამოუკიდებელ საქართველოს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონად მოევლინა, ტმენოვმა ავსტრალიური მონაგარი გააუმჯობესა, მაგრამ ოქროს კვლავაც ვერ შეწვდა - ფინალში კი გავიდა, თუმცა იმხანად წონიდან წონაში მოგზაურ გიუმაუ იაპონელ **კეიჯი სუძუკისთან** (ორგზის მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამივე ტიტული სხვადასხვა წონაში მოიპოვა) დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვების შანსი 2008 წელს პეკინში მესამედაც მიეცა, მაგრამ მისთვის „ღმერთი სამობით" არ ალმოჩნდა - ჯერ მეოთხედფინალში დამარცხდა მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთან, იაპონელ **სატოში იშისთან**, მერე კი სანუგეშოში წააგო ირანელ **მოჰამად რეზა როდაკთან** და მეშვიდეზე დარჩა.

ტმენოვმა ბრინჯაოთივე მოიწყო დებიუტი მსოფლიოს პირველობებზე - 1997 წელს პარიზში. მაშინ 20 წლის იყო და 95 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა. ის პლანეტის მომდევნო პირველობაზეც გამოვიდა - 1999 წელს, მაგრამ ბირმინგემში წარუმატებლად იჭიდავა, მერე კი, 2003 წლამდე ამ ტურნირზე არც გამოსულა. 2003-ში, იაპონურ ოსაკაში კვლავაც მესამეზე გავიდა, მომდევნო ორი პირველობა კი შედარებით წარმატებული გამოდგა - ფინალებში გავიდა, მაგრამ ორივე წააგო. 2005 წელს ქაიროში მან აბსოლუტურში იჭიდავა და ფინალი ჰოლანდიელ **დენის ფან დერ ხესტთან** წააგო, ვისაც სიდნეის ოლიმპიადაზეც მოუგო და ათენშიც. 2007 წელს რიო დე ჟანეიროში კი ფრანგ **ტედი რინერთან** დაამარცხა.

ამბობენ, რომ მას გადამწყვეტი შეხვედრების სინდრომი სჭირდა და არამყარი ხასიათი ჰქონდა. ამდენი წაგებული ფინალის შემდეგ ძნელია, ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო. ხასიათს კი რაც შეეხება, ამის მხილველი პირადადაც გავხდი რიო დე ჟანეიროს მსოფლიოს პირველობაზე. მაშინ არა პრესლოჟაში, არამედ ტრიბუნაზე ვიჯექი სპორტსმენთა გასასვლელის სიახლოვეს. შემთხვევით შერჩეული ის ადგილი ფრიად მოხერხებული ალმოჩნდა და ძალზე ბევრი საგულისხმო ვიხილე. ერთი ტმენოვსაც უკავშირდება, რომელმაც ის-ის იყო, ნახევარფინალში მასპინძელი, მომავალი ბრინჯაოს პრიზიორი **ჟაოა გაბრიელ შლიტლერი** დაამარცხა, მაგრამ გასასვლელში არ გასულა, ჩემგან სულ რაღაც ორიოდ მეტრში ტრიბუნის მოაჯირს ჩამოეყრდნო და რინერისა და ჩინელი **ხიანგჯუნ ვეის** შეხვედრას მიაჩერდა, სადაც მისი საფინალო მეტოქე ირკვეოდა. კარგად ვხედავდი, ამ გოლიათს რამდენჯერმე როგორ ნერვიულად შეუტოკდა მხრები და დაემანჭა სახე... ყველაფრიდან ჩანდა, როგორ განიცდიდა იმათ ჭიდაობას და ისე ეტყობოდა, უფრო ჩინელს ქომაგობდა, გაურბოდა რინერთან შეხვედრას. დაღლილი კი იყო, მაგრამ სახეზე ისე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი, ვეჭვობ, მხოლოდ ამის ბრალი ყოფილიყო - დარბაზში არც ისე ცხელოდა და რამდენიმე წუთის დასვენებაც მოესწრო უკვე. ვფიქრობ, ესეც მისი შინაგანი მღელვარების შედეგი იყო. მაშინ რინერს გაუჭირდა იმ ჩინელის დამარცხება, რომელსაც მერე **ლაშა გუჯეჯიანმა** ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ძალიან იოლად აჯობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოიგო, ფინალში კი ტმენოვი ჩვეულად უმწეო ჩანდა და ისევ წააგო...

ბრაზილიაში ტმენოვის ხასიათის კარგი მხარეც დავინახე - ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა. ინტერნეტში მისი ფოტოები რომ მოიძიოთ, ყველგან წვერგაუპარსავია და, ცოტა არ იყოს, გულღრძო ადამიანი მეგონა. ეტყობა, მისთვის წვერმოშვებული ჭიდაობა ერთგვარი რიტუალი იყო - სპორტსმენთა ცრურწმენა ხომ საყოველთაოდაა ცნობილი და ჩანს, ამის გამო ტურნირის დასრულებამდე წვერს არ იპარსავდა. ყოველ შემთხვევაში, რიო დე ჟანეიროში როგორც კი თავისი გამოსვლა დაამთავრა, დარბაზში მეორე დღესვე წვერგაპარსული გამოცხადდა. რიო დე ჟანეიროში რუსთა დელეგაცია ჩვენების ახლოს ცხოვრობდა, ოღონდ, ჩვენებისგან განსხვავებით, ისინი ბრაზილიაში ტურნირის დაწყების წინ ჩავიდნენ. სწორედ წინა დღეს ტმენოვი ჩვენების სანახავად სასტუმროში მოვიდა და ისე გულღიად, ალალად მონატრებული ნაცნობ-მეგობარივით გადაეხვია ყველას, ვიფიქრე, აი, კავკასიური ხასიათიმეთქი. სხვებისგან არც გუჯეჯიანი გამოურჩევია, რომელიც მეორე დღეს, შესაძლოა, მისი მეტოქეც ყოფილიყო - მძიმე წონები სწორედ მეორე დღეს ჭიდაობდნენ, წილისყრა კი რამდენიმე საათში გაიმართებოდა. ტმენოვმა ისინიც კი მოიკითხა, ვინც იმ წუთას სასტუმროს ჰოლში არ იყო - როგორ არიან, ხომ ჩამოვიდნენ ბრაზილიაში, ხომ კარგად არიანო... მერე ცოტა ხანი გაჩერდა, რამდენიმეს პერსონალურად ელაპარაკა, ბოლოს ყველას ისევ ისე გულითადად დაემშვიდობა და წავიდა, მეორე დღისთვის ემზადებოდა...

იმის შემდეგ მან ორი სეზონი კიდევ იჭიდავა. ბოლოს საკუთარი ძალები გერმანულ სინდელფინგენში მოსინჯა და მეხუთეზე გავიდა. ეტყობა, იქ საბოლოოდ აწონ-დაწონა საკუთარი შესაძლებლობები და საერთოდ წავიდა სპორტიდან. მსოფლიოს ძიუდოს კიდევ ერთი კოლორიტული ფიგურა დაემშვიდობა...

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი მერვედფინალშია

გუშინ WTA-ს ახალ რეიტინგში ისევ გაიყო **ანა ტატიშვილისა** და **ოქსანა კალაშნიკოვას** გზები, წინა კვირაში ისინი, შესაბამისად, 155-ე და 156-ე პოზიციებზე იყვნენ, დღეიდან ტატიშვილი 368 ქულით მსოფლიოს 156-ე (-1) ჩოგანია, ხოლო ოქსანა კალაშნიკოვა მნიშვნელოვნად დაქვეითდა - 326 ქულით მსოფლიოს 170-ე (-14) ჩოგანია. ორასეულში ადგილი დაკარგა **მაკა ჩახნაშვილმა** - 258 ქულა, 202-ე ადგილი (-4). სხვები: 290 (+3) **სოფიო შაფათავა** - 158 ქულა; 359 (+12) **თათია მიქაძე** - 107; 402 (+14) **სოფიო ქვაცაბაია** - 88; 404 (-4) **მანანა შაფაქიძე** - 86; 550 (+2) **ეკა გორგოძე** - 49; 1022 (+10) **ანა ჯიქია** - 4. მიქაძეს კარიერაში საუკეთესო პოზიცია უკავია, ხოლო ქვაცაბაიამ კლასიფიკაციაში შაფაქიძეს გადაუსწრო.

ვაჟთა შორის რეიტინგში 6 ქართველია, **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 33 ქულით მსოფლიოს 631-ე (-5) ჩოგანია. დანარჩენები მოწინავე ათასეულში არ ირიცხებიან და მათზე ყურადღების გამახვილება არ ღირს.

ანა ტატიშვილმა წარმატებით დაიწყო პრაღის ღია პირველობაზე ასპარეზობა.



220-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში მან მსოფლიოს მე-60 ჩოგანი, სლოვაკი **მაგდალენა რიბარიკოვა** დაამარცხა, არადა, პირველი სეტი „მშრალად", 0:6 დათმო. ანამ შემდეგ ორი დაძაბული სეტი მოიგო და მერვედფინალში გავიდა - 0:6, 7:5, 7:5. რიბარიკოვა ძლიერი მოწოდებითაა ცნობილი, ამიტომ საკვირველი არაა, რომ მან ანას 8 ეისი ჩაუგდო (2-ის საპირისპიროდ), მაგრამ სხვა კომპონენტებში ქართველმა იყოჩაღა. ანამ 30 სარეიტინგო ქულა დაიბევა, რის ხარჯზეც კიდევ უფრო განიმტკიცებს საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსს. მეორე წრეში ტატიშვილი არგენტინელი **ხისელა დულკოსა** (48) და რუსი **ანა ლაპუშჩენკოვას** შორის გამარჯვებულს შეხვდება, დულკო მე-6 ნომრად არის განთესილი ჩეხეთის დედაქალაქში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ოთხივე ასაკში სამ-სამი ტური გათამაშდა




ფოთში ნანა ალექსანდრიას სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე გუშინ მორიგი ტურის პარტიები გათამაშდა. უფროსები საჭადრაკო დაფებს მეორედ მიუსხდნენ. შეხვედრები უშელავათო გამოდგა. 28 პარტიიდან მხოლოდ 8 დამთავრდა ყაიმით.

დაწინაურებულთაგან დაზავდნენ: ტიგრან კოტანჯიანი (სომხეთი)-გიორგი ნიკოლაშვილი, ზაურ მამადოვი (აზერბაიჯანი)-დავით ბენიძე, სოფიკო გურამიშვილი-დავით მალალაშვილი, მერი არაბიძე-ჯამბულ მაკარაძე, დავით ლომსაძე-მადონა ბოკუჩავა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ლევან ფანცულაია-პარმენ გელაზონია 1:0, აკაკი შალამბერიძე-კონსტანტინე შანავა 0:1, გაიოზ ნიგალიძე-აჰმედ ალი ლაუდი (ერაყი) 1:0, შოთა აზალაძე-გიორგი გამზარდია 1:0, ჰუსეინ ალ-ალი (ერაყი)-თამარ ხმიადაშვილი 1:0, ნოდარ ლორთქიფანიძე-მაია ლომინეიშვილი 1:0, ლასან ალი (ერაყი)-მირანდა მიქაძე 1:0, ზურაბ ჯავახაძე-მარიამ ვასილცევა 1:0, ვახტანგ კაშია-დავით ზარქუა 0:1.

ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობენ: **ფანცულაია, შანავა, ზარქუა, ლორთქიფანიძე, ჯავახაძე, ნიგალიძე, აზალაძე, ლასან ალი.** მესამე ტურში მათი დაპირისპირების შემდეგ დაწინაურებულთა წრე უფრო შემჭიდროვდება.

ნანა ალექსანდრიას თასზე მთავარი პრიზისთვის უფროსებთან ერთად 8-14 წლის მოჭადრაკეებიც იბრძვიან. გუშინ ისინი მეოთხე ტურში შეხვდნენ ერთმანეთს.

**8-წლიან** გოგონებში 3 ტურის შემდეგ სამ-სამი ქულით **ანასტასია სიდამონიძე, მაია ბეჭვაია** და **თიკა ცაგურია** ლიდერობენ. ნახევარ-ნახევარი ქულით მათ **ანი მიქაძე** და **ნუცა ცირეკიძე** ჩამორჩებიან. ამავე ასაკის ვაჟებში უდანაკარგოდ მხოლოდ ოთხი მოჭადრაკე დარჩა — **ალექსანდრე გორგაძე, ანტონ ნადირაძე, ედგარ ვარდანიანი** (სომხეთი) და **დავით კამკია.**

**10-წლიან** გოგონებში ერთპიროვნულად მხოლოდ **გვანცა მარგველაშვილი** ლიდერობს, რომელმაც სამივე პარტია მოიგო. 2,5-2,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს **ნინო ჯალალონია** და **ელენე კოსტავა** იყოფენ. ვაჟებში გათამაშების ცხრილის სათავეში ერთადერთი მონაწილეა — სამი მეტოქის მძლეველი **ლევან ბაბუხადია.** შვიდი მოჭადრაკე მას ნახევარ-ნახევარით ქულით ჩამორჩება.

**12-წლიან** გოგონებში **ნინო ხომერიკმა** გუშინ შავი ფიგურებით **მაია მუმლაძე** დაამარცხა და 3 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეს მარტოდმარტო შემორჩა. 2,5-2,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს **მარიამ ჯავახიშვილი, მარიამ მჟავია** და **ნარმინ მამადოვა** (აზერბაიჯანი) იყოფენ. ვაჟებში ორხელისუფლებიანობაა: **გიორგი სიბაშვილსა** და **ნიკა ღვამბერიას** 3-3 ქულა აქვთ, **ნოე თუთისანმა, ალექსანდრე პანასენკომ** და **ავთანდილ ფანჩულიძემ** 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს.

უკვე გაუწყეთ, რომ 14-წლიან გოგონებში მხოლოდ 9 მონაწილეა, ამიტომ ისინი წრიული სისტემით ხვდებიან ერთმანეთს. გუშინდელი მესამე ტურის პარტიები ასე დამთავრდა: **ნინო გერგეშელიძე-ანა ხორგუაშვილი 0:1, ანა შამათავა-ადა კაკუტია 1:0, ნატო იმნაძე-თათია კოხრეიძე 1:0, მარიამ წულაია-მარიამ ჭოლაძე 0:1, თეკლა მაჭარაშვილი ისვენებდა.**




სამი ტურის შემდეგ: **შამათავა-3, მაჭარაშვილი, ჭოლაძე, იმნაძე — 2-2, გერგეშელიძე, ხორგუაშვილი, კაკუტია, კოხრეიძე — 1-1, წულაია — 0 ქულა.**

ვაჟებში თანატოლთა შორის საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა **ირაკლი ბერაძემ** და **ალექსანდრე ებრალიძემ** 3-3 ქულას მოუყარეს თავის. **გიგლა ბენიძე** მათ კვალში 2,5 ქულით მიჰყვება.

**ვაჟა დანელია**

# მეორე ბარიერიც დაძლია

ტორონტოში გრძელდება მოჭადრაკეთა კანადის ღია ჩემპიონატი, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილიც** მონაწილეობს. გუშინ მან შავი ფიგურებით **ზი იი ქინი** დაამარცხა და 2 ქულით სხვა 16 მოჭადრაკესთან ერთად ლიდერთა ჯგუფშია. ფავორიტთაგან, ასევე, წარმატებას მიაღწიეს **ედუარდას როზენტალისმა, ლუკ მაკშეინმა, ჯოშუა ფრიდელმა, არტიომ სამსონკინმა** და **ვლადიმირ პეჩენკინმა.** მესამე ტურში გაგუნაშვილი თეთრებით **ერვინ კასარენოს** დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

# დრეზდენში ოროსანთა სიმრავლეა

შვეიცარული სისტემით 9 ტური გათამაშდება დრეზდენის საჭადრაკო ფესტივალზე, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 154 წარმომადგენელი მონაწილეობს. მათ შორისაა ქართველი დიდოსტატი **დავით ჯოჯუა.** ჩვენებურმა მეორე ტურშიც წარმატებით ითამაშა — მასპინძელ **მარტინ ვირეკს** აჯობა. გუშინდელი ბარიერიც ასევე შედეგიანად კიდევ 51-მა მონაწილემ გადალახა. ჯოჯუა მესამე ტურში გერმანელ **ჰანს მიონეს** შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

# თურქეთი ევროპის წინააღმდეგ

გრძელდება ანგორის საინტერესო საჭადრაკო ტურნირი: თურქეთი - ევროპის წინააღმდეგ. ბებერი კონტინენტის დიდოსტატთა გუნდის შემადგენლობაში შედიან **თამაზ გელაშვილი,** უკრაინელები - **იური დროზდოვსკი** და **ნატალია ზდებსკაია,** პოლონელი **პაველ იარაში** და რუმინელი **ლუკიან-კოსტინ მირონი,** რომლებიც ორ-ორჯერ ხვდებიან მასპინძლებს - **ოგულქან კანმაზაპს, მუსტაფა ილმაზს, მერთ ერდოგდუს, ბარის ესენსა და ბურაკ ფირათს.**

ექვსი ტურის შემდეგ შესანიშნავი შედეგი აქვს გელაშვილს. მან ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა ილმაზთან, კანმაზაპთან და ფირატთან ორთაბრძოლებში. დანარჩენთა მონაგარი ასეთია: დროზდოვსკი, მირონი, ესენი-4-4, იარაში-3,5, ერდოგდუ-2,5, ილმაზი-2, ზდებსკაია, ფირათი-1,5-1,5, კანმაზაპი-1 ქულა.

საერთაშორისო ოსტატთა ტურნირში ორი წარმომადგენელი გვყავს - **სოფიო გვეტაძე** და **ქეთი ნანალაშვილი,** რომლებმაც 6-6 შესაძლებლიდან, შესაბამისად, 5 და 3,5 ქულა მოაგროვეს. აზერბაიჯანელმა **აზერ მირზოევმა** და ბულგარელმა **სპას კოჟუხაროვმა** 4,5-4,5 ქულას მოუყარეს თავი, ხოლო **ადრიანა ნიკოლოვას** (ბულგარეთი) ანგარიშზეა 4 ქულა. თურქთა შედეგები: **მერთ ილმაზირლი-3,5, ვაჰაფ სანალი, ქემილ ქენ ალი, ენგინ თოპაკი-1,5-1,5, ქენქუთ ემიროგლუ-1** ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

# ავსტრიისკენ შარაგზით, შარაბიძით...

A ჯგუფი: საქართველო, ისრაელი, შვედეთი, უნგრეთი.
B ჯგუფი: ბულგარეთი, პორტუგალია, შვეიცარია, ფინეთი.
C ჯგუფი: ბელგია, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, დანია.
D ჯგუფი: ბელარუსი, ნორვეგია, სლოვაკეთი, რუმინეთი.

**A ჯგუფი. კალენდარი**

| | |
|---|---|
| **14 ივლისი** | |
| 15:30 | ისრაელი-შვედეთი |
| 17:45 | უნგრეთი-საქართველო |
| **16 ივლისი** | |
| 15:30 | საქართველო-ისრაელი |
| 17:45 | შვედეთი-უნგრეთი |
| **18 ივლისი** | |
| 20:00 | ისრაელი-უნგრეთი |
| 22:15 | საქართველო-შვედეთი |

**B დივიზიონი**

ხვალ, 14 ივლისს, თბილისის დროით 17:45 საათზე საქართველოსა და უნგრეთის 20-წლამდელთა ნაკრებები ავსტრიის ქალაქ გესინგის საკალათბურთო მოედანზე გავლენ. ამ მატჩით დაიწყება ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელიც საზოგადოებისთვის B დივიზიონის სახელითაა ცნობილი.

კალენდარშიც წაიკითხავდით, რომ ქართველთა მეტოქეები იქნებიან უნგრელები, შვედები და ებრაელები. ოთხგუნდიანი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულები მოხვდებიან. შემდეგ ეტაპზე შეიქმნება ორი ექვსგუნდიანი ჯგუფი. აქვე დავაკონკრეტებთ: ექვსიდან სამ ნაკრებს წინა ჯგუფურ ეტაპზე ერთმანეთში ნათამაშები ექნება. ამიტომ ურთიერთშეხვედრათა შედეგები მეორე ეტაპზეც გადაჰყვებათ და მხოლოდ სამი მატჩის ჩატარება მოუწევთ. თითო ქვეჯგუფიდან საუკეთესო ორი ნაკრები ნახევარფინალში ითამაშებს, ხოლო ფინალისტები ევროპის მომავალი წლის ჩემპიონატის საგზურს მიიღებენ.

სისტემა რთულია; 10 დღეში დღეგამოშვებით თამაში დიდ ენერგიას მოითხოვს, არც ის უნდა დავივიწყდეს, რომ B დივიზიონში არაერთი მაღალი დონის გუნდია; ქართველ 20-წლამდელებში (1990-იანები) კალათბურთელთა ნახევარი 1991 წელსაა დაბადებული. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური რომ ვერ მოიპოვოს, გასაოცარი სულაც არ იქნება, თუმცა გუნდში ნიჭიერი მოთამაშეები არიან შეკრებილი, შემადგენლობა თანაბრადაა დაბალანსებული და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ნამდვილად შეუძლიათ.

1990-91-წლიანებს ოთხი წლის წინანდელი მაგალითიც წინ აქვთ: **ვიქტორ სანიკიძისა** და **გიორგი ცინცაძის** წინამძღოლობით 1986-წლიანთა ნაკრებმა B დივიზიონი მოიგო და მომდევნო სეზონში 1987-იანებმა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს.

## მზადება

ზემოთ კალათბურთელების დასახასიათებლად სიტყვა „ნიჭიერი" გამოვიყენეთ. თუმცა მხოლოდ ტალანტი წარმატებისთვის საკმარისი არ არის. აუცილებელია მონოლითური გუნდის აწყობა, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მწვრთნელსა და მოსამზადებელ პირობებზე. **მიხეილ ბერუაშვილმა** გაზაფხულზე მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დავით უსტიაშვილი** შეცვალა. ბერუაშვილმა რუსთავის „ენერჯიში" მუშაობითაც დაამტკიცა, რომ კარგი მწვრთნელია - ქვემოქართლელებს ჩემპიონობა მოუტანა. ახლა საინტერესოა, ახალგაზრდულ გუნდთან ერთად რა შედეგს მიაღწევს.

20-წლამდელები ავსტრიაში გამგზავრებამდე თბილისში ემზადებოდნენ, რამდენიმე დღით თურქეთში ჩავიდნენ და იქაურ 18-წლამდელთა ნაკრებთან ორი საკონტროლო შეხვედრა გამართეს (პირველი 53:78 დათმეს, მეორე - 53:80).

ახალგაზრდების თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, დუშეთიდან დაბრუნებულ 18-წლამდელთა ნაკრებთან ორი ამხანაგური მატჩი დაიგეგმა. ერთი გუშინ გაიმართა, მეორე - გუშინწინ.

პირველ შეხვედრაში **მიხეილ კობეშავიძის** განვრთნილმა ჭაბუკებმა 20-წლამდელებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს, პირველი მეოთხედი 21:9 მოიგეს, თუმცა მომდევნო 30 წუთში ახალგაზრდულმა ნაკრებმა სისწრაფე აკრიფა და საბოლოოდ 72:60 გაიმარჯვა.

მეორე მატჩში ქულების ავტორების ჩანიშვნა მოვახერხეთ და მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ოქმი გამოგვივიდა:

**ახალგაზრდ.-ჭაბუკები 74:51**

17:19, 25:3, 9:14, 23:15

ახალგაზრდები: **ბაქრაძე (5), ჩიკვილაძე (16), მაჭავარიანი (10), დვალიშვილი (5), გ. შარაბიძე (16); კვეტენაძე (6), ნანიტაშვილი (4), ხმელიძე (2), ლომოური (2), ბექაური (3), გ. რევაზაშვილი (2), ჩაჩანიძე (3).**

ჭაბუკები: **ტეტელაშვილი, ბოქოლიშვილი (12), სანაძე (17), მუმლაძე (3), ჯავახიშვილი (2); თენიეშვილი (2), ელიაძე (7), ლ. რევაზაშვილი (4), კოლუაშვილი (4), ნ. შარაბიძე.**

მსაჯი: **ზ. მაჩალაძე**

რადგან 18-წლამდელებთან თამაში ახალგაზრდებისთვის გენერალური რეპეტიცია იყო, ამიტომ უფრო მეტს 20-წლამდელებზე ვილაპარაკებთ. ჭაბუკებზე უფრო მეტს ორი დღის შემდეგ დავწერთ, როცა უკრაინელ თანატოლებს უმასპინძლებენ.

20-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე კალათბურთელის თამაში ქართველ გულშემატკივარს გასული სეზონის სუპერლიგიდან ემახსოვრება. მართალია, **გივი ბაქრაძემ** და **ბექა ჩიკვილაძემ**, 2009-10 წლების სეზონი უცხოეთში გაატარეს, მაგრამ მანამდე საქართველოს პირველობაზე ითამაშეს და გარკვეული წარმოდგენა მათზე უკვე გვქონდა. გიორგი შარაბიძემ კი სასიამოვნოდ გაგვაკვირვა. მრავალმხრივ სრულყოფილი ცენტრის შთაბეჭდილება დატოვა (ასაკის კვალობაზე). ცენტრს ფიზიკური სიძლიერე და სროლის სიზუსტე ღირებულებას მატებს. ამ მხრივ შარაბიძეს დიდი პლუსი აქვს: გაბარიტებისა და ღონის ხარჯზე ფარქვეშეთს არავის აკარებდა, იოლადაც ხსნიდა და სროლაც არ უჭირდა. თუ პროგრესი განაგრძო, მას მალე ეროვნულ გუნდში ვიხილავთ, მით უმეტეს, რომ ნაკრების 20-კაციან განაცხადში უკვე შეიყვანეს.



შეიძლება, ვინმემ იფიქროს: რადგან ორი წლით უმცროსებთან თამაშობდა, იმიტომ გავიდა ფონს ფიზიკური მონაცემებითო. ვფიქრობთ, ავსტრიაშიც არ იქნება იოლი მისი შეჩერება. ...თუმცა, შარაბიძემ გუშინდელი თამაშის მსვლელობისას არ იცოდა, მიიღებდა თუ არა ავსტრიის ვიზას. ეს მთავარ მწვრთნელ მიხეილ ბერუაშვილსაც აფიქრებდა, თუმცა მატჩის დასრულების შემდეგ გიორგი საელჩოში შევიდა და იქიდან ვიზით გამოვიდა. რადგან შარაბიძის ავსტრიაში წასვლა გადაწყდა, გუნდს ვერ გაჰყვა **გიორგი რევაზაშვილი.** სხვათა შორის, ახალგაზრდებისა და ჭაბუკების შეხვედრაში ორი საინტერესო დუელი ვიხილეთ: გიორგი შარაბიძე და გიორგი რევაზაშვილი ჭაბუკთა ნაკრებში გამოძახებულ უმცროს ძმებს (შესაბამისად, ნოდარსა და ლევანს) ეპაექრნენ.

გუშინ არ უთამაშიათ **ტატო თავართქილაძეს, სოსო ლეჟავასა** და **თორნიკე შენგელიას**. ტრავმის გამო ტატო გუნდს თავიდანვე გამოაკლდა. ლეჟავამ ტვინის შერყევა თურქეთში მიიღო და მას მერე აღარ უვარჯიშია. ხოლო თორნიკე შენგელია უკვე ავსტრიაშია და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ემზადება. იგი 20-წლამდელებს გესინგში შეუერთდება, პირველი ჯგუფური ეტაპის სამ შეხვედრას ჩაატარებს და შემდეგ ისევ ეროვნულს დაუბრუნდება. 20 ივლისს თორნიკე **იგორ კოკოშკოვის** კრებულთან ერთად თბილისში გამოემგზავრება.

## მწვრთნელის აზრი

18-წლამდელებთან მატჩის შემდეგ ახალგაზრდული გუნდის თავკაც მიხეილ ბერუაშვილს გავესაუბრეთ. მასთან გიორგი შარაბიძის საკითხსაც შევეხეთ, თუმცა ეს ამბავი ინტერვიუდან „ამოვჭერით", რადგან მოგვიანებით გიორგიმ ვიზა მიიღო და გუნდს ავსტრიაში გაჰყვა.

- პირველ რიგში, მადლობას მოვახსენებ 18-წლამდელებს, რომლებმაც ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწიეს. თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ შეცდომების გამოსასწორებლად 5 დღე გვქონდა. ამ მიმართულებით ბევრი ვიმუშავეთ და გენერალური რეპეტიცია სწორედ ჭაბუკებთან მატჩებში გავიარეთ.

**- სულ ოთხი შეხვედრა ჩაატარეთ...**

- თურქეთში გამართული მატჩები ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იყო. იქ ერთ ეპიზოდში 1:15-ს ვაგებდით, თუმცა მდგომარეობის გამოსწორება მალევე მოვახერხეთ - სხვაობა 5 ქულამდე შევამცირეთ. მაშინ გამოჩნდა, რომ ბიჭებს ბრძოლა შეუძლიათ. სწორედ ამის მეიმედება.

**- მიზნად რას ისახავთ?**

- ტურნირში მონაწილე ყველა ნაკრების მიზანი ფინალში გასვლაა, თუმცა ამისთვის არაერთი ბარიერია დასაძლევი. საწყის ეტაპზე ჩვენი მიზანი მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა იქნება, შემდეგ ვნახოთ...

**- მეტოქეებზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ყველაზე რთული პირველი შეხვედრა იქნება - უნგრეთს ვეთამაშებით და ამ გუნდის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. მომდევნო მეტოქეების თამაშებს უშუალო დაპირისპირებამდე ვნახავთ და მათი გაშიფვრა უფრო იოლი იქნება. თუმცა არანაკლებ რთული უნდა იყოს შვედეთთან და ისრაელთან მატჩები.

**- შეკრებისას რამდენიმე კალათბურთელი გამოგაკლდათ...**

- გამთამაშებელ ტატო თავართქილაძეს ტრავმა ჰქონდა. მან ჩვენთან ორი ვარჯიში ჩაატარა, მაგრამ წვრთნის გაგრძელება ველარ შეძლო. მეორე გამთამაშებელი სოსო ლეჟავა თურქეთში დაშავდა, ერთ-ერთ მატჩში ტვინის შერყევა მიიღო.

**- თორნიკე შენგელია თავიდან ახალგაზრდებთან ვარჯიშობდა, 1-ელი ივლისიდან კი ეროვნულ გუნდს შეუერთდა.**

- ჩვენი მთავარი მიზანი კალათბურთელების ეროვნული ნაკრებისთვის მომზადებაა. სასიხარულოა, რომ შენგელია იგორ კოკოშკოვს სჭირდება. თუმცა, საერთო შეთანხმებით, თორნიკე ავსტრიაში ჩასვლისთანავე შემოგვიერთდება და ჯგუფური ეტაპის სამ მატჩს ჩაატარებს.

ვაჟა სიმონიშვილი

თბილისის მერიის თასი

23 ივლისი
ბელარუსი-უკრაინა 15:30
საქართველო-რუმინეთი 18:00

24 ივლისი
უკრაინა-რუმინეთი 15:30
საქართველო-ბელარუსი 18:00

25 ივლისი
რუმინეთი-ბელარუსი 15:30
საქართველო-უკრაინა 18:00

adjarabet

**გამთამაშებელი** — გივი ბაქრაძე



დაიბადა: 26.05.1991
სიმაღლე: 185 სმ
გუნდი: კორიკობრატი (ფინეთი)

**ფორვ./ცენტრი** — ბექა ბექაური



დაიბადა: 18.01.1991
სიმაღლე: 207 სმ
გუნდი: სამედიცინო/აკადემია

**მსროლელი** — რევაზ ჩაჩანიძე



დაიბადა: 31.07.1990
სიმაღლე: 185 სმ
გუნდი: რუსთავი

**მსროლელი/ფორ.** — ბექა ჩიკვილაძე



დაიბადა: 12.02.1991
სიმაღლე: 195 სმ
გუნდი: ალბასეტე (ესპანეთი)

**ფორვ./ცენტრი** — აკაკი დვალიშვილი



დაიბადა: 14.02.1991
სიმაღლე: 206 სმ
გუნდი: რუსთავი

**ფორვარდი** — ლევან ხმელიძე



დაიბადა: 12.07.1990
სიმაღლე: 195 სმ
გუნდი: რუსთავი

**ფორვარდი** — გიორგი კვეტენაძე



დაიბადა: 16.01.1990
სიმაღლე: 202 სმ
გუნდი: სოხუმი

**ფორვარდი** — აკაკი ლომოური



დაიბადა: 17.01.1991
სიმაღლე: 196 სმ
გუნდი: სამედიცინო/აკადემია

**მსროლელი/ფორ.** — ზურაბ მაჭავარიანი



დაიბადა: 22.05.1990
სიმაღლე: 192 სმ
გუნდი: რუსთავი

**გამთამაშებელი** — გიორგი ნანიტაშვილი



დაიბადა: 12.04.1990
სიმაღლე: 186 სმ
გუნდი: დინამო

**ცენტრი** — გიორგი შარაბიძე



დაიბადა: 27.04.1990
სიმაღლე: 210 სმ
გუნდი: ვალენსია (ესპანეთი)

**ფორვარდი** — თორნიკე შენგელია



დაიბადა: 05.10.1991
სიმაღლე: 207 სმ
გუნდი: ვალენსია (ესპანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები



# ტიმ ლეინი ნაკრებს აღარ გაწვრთნის

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს ავსტრალიელი ტიმ ლეინი აღარ გაწვრთნის. ამ ინფორმაციას საქართველოს რაგბის კავშირი ჯერჯერობით ოფიციალურად არ ადასტურებს. როგორც რაგბის კავშირში გვითხრეს, დასაზუსტებელია რამდენიმე დეტალი, რომელთა დადგენის შემდეგ „ბორჯღალოსანთა" ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილების შესახებ დაწვრილებით გვაცნობებენ. შეგახსენებთ, რომ მანამდე საქართველოს რაგბის კავშირმა თანამდებობიდან ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი ჯონი ნამუ და შერკინების დამრიგებელი დამიენ კამინსი გაათავისუფლა.

განკიცხულნი

# პერსონა ნონ გრატა

სამი ერის გათამაშება ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების მატჩით გაიხსნა. „ბოკეს" შემადგენლობაში ცხრა ნომრის პოზიციაზე ითამაშა **რიკი იანუარიმ**, რომელიც წლეულს საკმაოდ ცუდ სეზონს ატარებს. სამხრეთაფრიკელთა თავკაცმა **პიტერ დე ფილიერსმა** მას შანსი მისცა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, რიკიმ ის ვერ გამოიყენა. ეს მოსალოდნელიც იყო, მის პირად ცხოვრებაში პრობლემათა მთელი გორგალია, თანაგუნდელებსაც ვერაფრით ეწყობა. ამდენად, მისი დაყენებით, ვფიქრობთ, დე ფილიერსმა დიდი შეცდომა დაუშვა.

მოკლედ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ განვითარდება ამ ძნელად აღსაზრდელი ბიჭის კარიერა. ჩვენ კი, მოდი, კიდევ რამდენიმე ასეთი „თავზე ხელაღებულის" ისტორია გავიხსენოთ.

## სონი ბილ ვილიამსი
### (ახალი ზელანდია)

„ქენთერბერი ბულდოგზის" აღზრდილი ერთ-ერთი უნიჭიერესი ახალზელანდიელი მორაგბეა. სონის მრავალმილიონიან კონტრაქტებს სთავაზობდნენ რაგბი ლიგის კლუბების შეფები. თუმცა მან, როგორც რატომღაც სამხრეთ ნახევარსფეროში მიაჩნიათ, ფულის შოვნის უფრო იოლი გზა არჩია. ვილიამსი ფრანგულ „ტულონში" გადაბარგდა, ახლა ისევ დაბრუნდა და სულაც არ ცდილობს ძველ მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენას.

2008 წელს ერთ-ერთმა ავსტრალიურმა ჟურნალმა გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც სონი ბილ ვილიამსი ავსტრალიაში ყველაზე საძულველი ადამიანია. „ისე, როგორც ვილიამსი მოიქცა, ავსტრალიელები არ უნდა მოიქცნენ, მან თავისი საქციელით თანაგუნდელები დაალალატა. ამას გარდა, მის ანგარიშზე რამდენიმე კრიმინალური სკანდალიცაა. ეს მის კეთილშობილებაზე სულაც არ მეტყველებს" - მიაჩნიათ ავსტრალიელებს.

ამ უდავოდ ნიჭიერ „არამზადას" ფული ისე უყვარს, რომ ფეხი რინგზეც შედგა და პროფესიულ კრივში ორი ბრძოლა გამართა. ორივე მოიგო.

## ლუკ ვოტსონი
### (სამხრეთი აფრიკა)

კეიპთაუნის უნივერსიტეტში სარაგბო ფესტივალზე სტუმრად მიწვეულმა ლუკ ვოტსონმა სიტყვით გამოსვლისას დაახლოებით ასეთი რამ თქვა: „სამხრეთაფრიკული რაგბის პრობლემა იმაშია, რომ მას ჰოლანდიელები მართავენ. რაგბი ამ ქვეყანაში ლპება და ძალიან მინდა, ნაკრების მაისურადან ქურციკი (ემბლემა) მოვაგლიჯოო".



ლუკ ვოტსონს ობსტრუქცია მოუწყვეს

აი, ასეთი „ანტისაზოგადოებრივი მოვლენა" გახლდათ „სთორმერზის" მესამეხაზელი ლუკ ვოტსონი, რომელმაც სამხრეთ აფრიკის ეროვნულ ნაკრებში 2007 წელს რამდენიმე კეპი მოიპოვა. მამამისი აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერი იყო და გასაკვირი არ არის, შვილი მამის ნაკვალევს რომ მიჰყვება. მისი გამონათქვამებით აღშფოთებულმა პრეტორიელმა რაგბის ქომაგებმა „ლოფტუს ვერსფილდზე" მას ობსტრუქცია მოუწყვეს. ვოტსონი არ დამფრთხალა, მაყურებელს იქით შეუტია ტრიბუნებზე.

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ბოკეს" ლეგენდარული კაპიტანი **ჯონ სმიტი** წერს: „ის (ლუკ ვოტსონი) არასდროს ცდილობდა, ერთ-ერთი ჩვენგანი გამხდარიყო. ვფიქრობ, მას გულით უნდოდა სამხრეთ აფრიკის ნაკრებში თამაში, მაგრამ გარშემომყოფთ ვერაფრით ეწყობოდა. მას აღიზიანებდა თეთრ ბიჭებთან ერთად ყოფნა, ცხოვრება. ის აუტანელი იყო და ყველა გუნდის სიმსივნედ მოიხსენიებდა".

არადა, ლუკ ვოტსონი თავადაც თეთრი ბიჭია.

## კირან ფიცჯერალდი
### (ირლანდია)

მისი ისტორია საკმაოდ უცნაურია. ირლანდიის ნაკრებთან ერთად შერკინების კვაჭმა კირან ფიცჯერალდმა ხუთი ერის გათამაშებაში 1983 წელს დიდი სლემი შეასრულა. იმავე წელს ბრიტანელი ლომების სამხრეთულ ტურნეში ის კაპიტნად დანიშნეს, თუმცა ყველას მიაჩნდა, რომ მან ინგლისელი **პიტერ ვილერის** ადგილი დაიკავა. ამ ფაქტს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. რაც ბოლოს იმით დასრულდა, რომ ახალი ზელანდიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში შერკინებაში ორი ნომრის პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში შოტლანდიელი **კოლინ დინსი** იდგა.

„1983 წელს კირან ფიცჯერალდი კარგი ირლანდიური გუნდის კაპიტანი იყო, მის გვერდით ბევრი დიდი მორაგბე თამაშობდა, მაგრამ, როგორც კი „ბრიტანელი ლომების" კაპიტნობა ჩააბარეს, ის უეცრად „გაქრა", რეალობის შეგრძნება დაკარგა. ასეთ მდგომარეობაში კი წარუმატებლობისთვის განწირული იყო.

## დაგ ჰოპვუდი
### (სამხრეთი აფრიკა)

ის ამ ჩამონათვალში იმიტომ კი არ მოხვდა, რომ სამხრეთ აფრიკის რაგბის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია, არამედ იმიტომ, რომ მართლაც ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მორაგბემ თავისი პოლიტიკანობითა და რასისტული გამოხდომებით ბრწყინვალე კარიერას დაუსვა წერტილი.

დაგ ჰოპვუდი შესანიშნავი რვა ნომერი იყო. 1965 წელს მან სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უკაპიტნა ევროპაში გამართულ წარმატებულ ტურნეში. თუმცა მისთვის, რაგბი მალე დასრულდა. დაგი იყო საიდუმლო საზოგადობის, სამხრეთაფრიკული რაგბის საბჭო „აფრიკანერის" აქტიური წევრი, რომელიც ვეტოს ადებდა ეროვნულ ნაკრებში ამა თუ იმ მორაგბის მიწვევაზე. ცხადია, ვეტოს საფუძვლად რასისტული მოსაზრებები ედო.

*„40 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დაგის ტრაგიკული ცხოვრების საგა დღესაც ბევრს ახსოვს სამხრეთ აფრიკაში. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ზიზღით აღსავსე თვალები, რაც, ვფიქრობ, იმ დროს გავრცელებული დისკრიმინაციის გამოვლინება იყო"* - იხსენებს ცნობილი სამხრეთაფრიკელი ჟურნალისტი და პუბლიცისტი **ედვარდ გრიფიტსი.**

ამბები

# დე ფილიერსი ჩინოვნიკებს თითს უქნევს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პიტერ დე ფილიერსი** აღშფოთებულია იმ გადაწყვეტილებით, რომელიც SANZAR-ის სადისციპლინო კომიტეტმა „ბოკეს" ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბის **ბაკის ბოთას** დასასჯელად მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ბოთამ ახალი ზელანდიის ნაკრებთან მატჩში მეტოქის ცხრა ნომერ **ჯიმი ქოუანს** თავი ჩაარტყა, რის გამოც ცხრაკვირიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

დე ფილიერსმა ეს გადაწყვეტილება უსამართლოდ მიიჩნია. „ქოუანი ბოთას მუდმივად პროვოცირებას ახდენდა. იმ ეპიზოდშიც, რომლის მხოლოდ ბოლო ნაწილი აჩვენეს ტელევიზიით, ქოუანი მას მაისურზე ქაჩავდა და გადაადგილების საშუალებას არ აძლევდა. მსაჯს ეს რომ შეენიშნა, საჯარიმოს დანიშნავდა და არაფერი მოხდებოდა." - თქვა მან

დე ფილიერსს მიაჩნია, რომ მისი გუნდი უდიდესი გამოცდის წინაშე დგას. „ახლა ყველა ჩვენ წინააღმდეგაა, ყველა ჩვენ გვებრძვის. მაგრამ მთავარი ის კი არაა, როგორ წააგე, არამედ ის, მარცხის შემდეგ როგორ შეძლებ ფეხზე წამოდგომას.

ბიჭებმა იციან, რომ გასულ უქმეებზე ცუდად ითამაშეს. ისინი შეუდრეკელნი არიან და კარგად ესმით, რომ მომავალ უქმეებზე გაცილებით მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

ჩვენი მორაგბეები პროფესიონალები არიან, მაგრამ ხშირად დიდ როლს ადამიანური ფაქტორი თამაშობს. კარგად გვესმის, რომ ყოველთვის გამარჯვებული ვერ იქნები. თუმცა მსგავსი წარუმატებლობის შემდეგ ისევ მყარად უნდა შეძლო ფეხზე დადგომა.

ახალზელანდიელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. გასაქანი არ მოგვცეს, ჩვენც ბევრი დავაკელით. ჩვენი ნაკლოვანებები ვიცით და ვეცდებით, მომავალ შეხვედრაში სრულად აღმოვფხვრათ" - დაჰპირდა სამხრეთ აფრიკის ნაკრების ქომაგებს დე ფილიერსი.

# სამის თამაში საეჭვოა

სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან გამართული პირველი შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ „ოლ ბლექსს" მომავალ შეხვედრაში ტრავმის გამო **რიჩარდ კაჰუი** დააკლდებოდა. ახალზელანდიელ ქომაგთა სამწუხაროდ, დაშავებული „კივების" რაოდენობა სამამდე გაიზარდა.

სავარაუდოდ, მომავალ უქმეებზე ველინგთონში სამხრეთ აფრიკასთან ვერ ითამაშებენ ცხრა ნომერი **ჯიმი ქოუანი** და გარემარბი **ჯო როკოთოკო.** თუ მათ მატჩამდე გამოჯანმრთელება ვერ მოასწრეს, ახალზელანდიელთა მწვრთნელს ნაკრებში „ბლუზის" ცხრა ნომრის **ელბი მეთიუსონისა** და „ჰარიკეინზის" გარემარბ **ჰოსე გეარის** გამოძახება მოუწევს.

ქარის თასი



შარშანდელი გამარჯვებული ბლუ ბულზი

# ტურნირი სენსაციით დაიწყო

სამხრეთ აფრიკაში დაიწყო „ქარის თასის" გათამაშება. რომელშიც რვა გუნდი ასპარეზობს. პირველივე ტურში სენსაციური ანგარიში დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ვილდეკლევერ გრიკასმა" შინ პირველ ტაიმში „ნატალ შარქსთან" - 8:22 წააგო, მატჩში გარდატეხის შეტანა შეძლო და ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი 40:34 დაამარცხა. გუნდებმა ხუთ-ხუთი ლელო გაიტანეს, გამარჯვებას კი მასპინძლებმა მგეზავ **პეტრუს იგნატიუს ულიფიეს** ფეხჩუბინობის წყალობით მიაღწიეს. მან ვიზავიზე, „ნატალ შარქსის" ცხრა ნომერ **რორი კოქოთზე** ორით მეტი საჯარიმო გაიტანა.

დაგეგმილი გამარჯვება მიითვალა „ქარის თასის" ამჟამინდელმა მფლობელმა „ბლუ ბულზმა". პრეტორიელებმა შინ მოუგეს „ბარლოვორლდ ტოიოტა პუმასს" - 38:15. მასპინძლებმა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს აქედან ორი გარემარბ **ჯონ მამეცას** ანგარიშზეა.

ყველაზე დიდი ანგარიშით, თანაც სტუმრად „იმპალა ლეოპარდსთან", მოიგო „ლაიონზმა" - 43:16. ამ მატჩშიც გამარჯვებულის ანგარიშზე ხუთი ლელოა. აქედან ორი ცხრა ნომერმა **იანო ვერმააკმა** გაიტანა.

მეოთხე წყვილში ზე 14-ის საბაზო გუნდმა „ჩიტაზმა" შინ წააგო „ვესტერნ პროვანსთან" - 11:25.

**ქარის თასი. I ტური**

**ბლუ ბულზი-პუმასი 38:15, ლეოპარდსი-ლაიონზი 16:43, გრიკასი-ნატალ შარქსი 40:34, ჩიტაზი-ვესტერნ პროვანსი 11:25**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლაიონზი - 5 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 5, 3. გრიკასი - 5, 4. ვესტერნ პროვანსი - 4, 5. ნატალ შარქსი - 2, 6. ჩიტაზი - 0, 7. პუმასი - 0. 8. ლეოპარდსი - 0**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა



# ბალახის სეზონი დაიხურა

უიმბლდონის შემდეგ ლიდერებმა პაუზის აღება გადაწყვიტეს. გოგონები თიხნარს დაუბრუნდნენ და ტიტულები გაითამაშეს ბუდაპეშტსა და ბაშტადში, მამაკაცებმა ნიუპორტში დაასრულეს ბალახის სეზონი.

ქალების ორივე ტურნირის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარი იყო. ბუდაპეშტში განთესვის პირველი ნომერი რუს **ალისა კლეიბანოვას** ჰქონდა, მაგრამ მეორე რაუნდში შარშანდელ ფინალისტ **პატი შნიდერთან** წააგო - 4:6, 3:6.

განთესვის მეშვიდე ნომრის მიუხედავად, ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მასპინძელი **აგნეს შავაი** მიიჩნეოდა - ის ტურნირის მოქმედი ჩემპიონის რანგში თამაშობდა. პირველ სამ წრეში შავაიმ სეტის წაუგებლად ითამაშა, სამაგიეროდ ნახევარფინალში სამი საათი ებრძოლა რუმინელ **დულგერუს** და სამ სეტში გაიმარჯვა - 6:1, 5:7, 7:5.

ბადის ზედა მხარეს შნიდერს ორი სამსეტიანი მატჩის ჩატარება მოუხდა ფინალში გასასვლელად. ნახევარფინალში მას მოულოდნელად ჩეხი **ზუზანა ონდრაშკოვა** შეხვდა. 30 წლის ჩოგბურთელს ბოლო ხუთი წელია შედეგი არ ჰქონია, მაგრამ უნგრეთში საუკეთესო ოთხეულში შეღწევა შეძლო, თუმცა უფრო შორს ვერ წავიდა.

საბოლოოდ, განმეორდა შარშანდელი ფინალი - ერთი წლის წინ შავაიმ შნიდერს სამ სეტში მოუგო, ამჯერად კი უფრო იოლად მიაღწია წარმატებას. აგნესმა თანაბარ მეორე სეტში მაინც გატეხა შვეიცარიელის წინააღმდეგობა და ტიტული დაიცვა - 6:2, 6:4.

შვედეთის ბაშტადში მთავარ ფავორიტად იტალიელ **ფლავია პენეტას** ასახელებდნენ, რომელმაც შარშან აქ ნახევარფინალს მიაღწია. წელს პენეტამ ნახევარფინალამდე ჯამში მხოლოდ 12 გეიმი წააგო, მაგრამ ფინალში გასასვლელი მატჩი პირწმინდად დათმო არგენტინელ **ხისელა დულკოსთან** - 3:6, 1:6.

ბადის ქვედა ნაწილიდან დამაჯერებლად მიიწევდა წინ **არავან რეზაი**. ფრანგმა გადამწყვეტ მატჩამდე ერთი სეტიც კი არ დათმო, თანაც ერთ პარტიაში ოთხზე მეტი გეიმი წაუგია. ნახევარფინალში მან 6:3, 6:3 დაამარცხა **ლუსი საფაროვა**.

ფინალმა გაამართლა მოლოდინი: თამაში სანახაობრივი და დაძაბული გამოვიდა. ორივე ჩოგბურთელი არასტაბილურად თამაშობდა. გადამწყვეტ პარტიაში არავანი 4:0 დაწინაურდა, მაგრამ დულკოს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. თუმცა ფრანგმა მეათე გეიმში კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და წელს მეორე, კარიერაში კი მეოთხე ტურნირი მოიგო - 6:3, 4:6, 6:4.

■ ■ ■

მამაკაცებში მთელი ყურადღება დევისის თასისკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ ერთი ტურნირი მაინც გაიმართა - ამერიკის ქალაქ ნიუპორტში ტრადიციულად დაიხურა ბალახის სეზონი.

165 სანტიმეტრი სიმაღლის **ოლივიე როხუსს** ბალახზე კარგად გამოსდის თამაში. შარშან მან ჰალესა და ნიუპორტში ნახევარფინალს მიაღწია, წელს კი უიმბლდონზე კინაღამ სენსაცია მოახდინა, როცა პირველ წრეში **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** სეტებში 2:1 დაწინაურდა. ნიუპორტში ბელგიელმა მთელი დისტანცია დამაჯერებლად გაიარა და მხოლოდ ერთხელ მოუწია ტაი-ბრეიკის თამაშმა. ნახევარფინალში მან არგენტინელი **ბრიან დაბული** დაამარცხა - 6:3, 6:2.

ასევე იოლად დაიწყო ტურნირი ამერიკელმა **მარდი ფიშმა**, მაგრამ შემდეგ კანადელ **ფრანკო დანჩევივს** მხოლოდ სამ სეტში აჯობა. ნახევარფინალში მისი მეტოქე **რიჩარდ ბლუმფილდი** იყო, რომელიც თითქმის არ თამაშობს ATP-ის ტურნირებში, ასე რომ, მისი ნახევარფინალში გასვლა სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. მისი წარმატებული სვლა ფიშის შემტევმა ჩოგბურთმა დაასრულა - 7:6(5), 6:4.

ფინალური მატჩი კარგი სანახავი გამოდგა. ფიში თითქმის ყოველი მოწოდების შემდეგ ბადესთან გადიოდა, ამიტომაც ყველა გათამაშება მოკლე, თუმცა ეფექტური იყო. პირველი პარტიის ბოლოს მარდიმ საკუთარი მოწოდება მსაჯის შეცდომის გამო დათმო. ამერიკელმა ბევრი იკამათა, მაგრამ ვერას გახდა. სამაგიეროდ, მომდევნო ორ პარტიაში ფიშმა აღარ დათმო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე, თავად კი თითო სეტში თითო ბრეიკი მოიპოვა და ამან კარიერაში მეოთხე ტიტული მოუტანა - 5:7, 6:3, 6:4. „აქამდე რამდენიმე ფინალი წავაგე, ასე რომ, განსაკუთრებით სასიამოვნოა ბალახზე პირველი გამარჯვების მოპოვება", - განაცხადა ფიშმა.

| ATP |
| --- |
| Hall of Fame Championships |
| ნიუპორტი (აშშ). ბალახი |
| **საპრიზო ფონდი: 442 000 დოლარი** |
| **ფინალი** |
| **მარდი ფიში (აშშ, 5)-ოლივიე როხუსი (ბელ, 4)** 5:7, 6:3, 6:4. |

| WTA |
| --- |
| Swedish Open |
| ბაშტადი (შვედეთი). თიხნარი |
| **საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი** |
| **ფინალი** |
| **არავან რეზაი (საფ, 2)-ხისელა დულკო (არგ, 4)** 6:3, 4:6, 6:4. |
| SUEZ Grand Prix |
| ბუდაპეშტი (უნგრეთი). თიხნარი |
| **საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი** |
| **ფინალი** |
| **აგნეშ შავაი (უნგ, 7)-პატი შნიდერი (შვეიც)** 6:2, 6:4. |

დევისის თასი. 1/4 ფინალი

# ესპანეთმა თავი შეირცხვინა

გასულ კვირას დევისის თასზე მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ბოლო ორი წლის ჩემპიონის - ესპანეთის ნაკრების „მშრალი" ანგარიშით მარცხი საფრანგეთთან. გარდა ამისა, ნახევარფინალში გავიდნენ - ჩეხეთი, არგენტინა და სერბეთი.

პრაქტიკულად ყველა გუნდს აკლდა თავისი ლიდერი - გამონაკლისი იყო რუსეთისა და სერბეთის ნაკრები. თუმცა რუსეთს საკუთარ არენაზე ოპტიმალურმა შემადგენლობამაც ვერ უშველა. **ხუან მარტინ დელ პოტროს** გარეშე მოთამაშე არგენტინას ორი ქულა **დავიდ ნალბანდიანმა** მოუტანა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდური მოთამაშეა. კიდევ ერთი მატჩი რუსებმა წყვილებში წააგეს და 1995 წლის შემდეგ დევისის თასზე პირველად დამარცხდნენ საკუთარ მოედანზე. ეს შთამბეჭდავი სერია 17 საშინაო გამარჯვებას ითვლიდა.

სერბეთმა **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მეთაურობით სტუმრად იოლად დაამარცხა ხორვატია, რომელსაც **ივო კარლოვიჩი** და **მარიო ანჩიჩი** აკლდა. პირველი დღე იმით აღინიშნა, რომ ხორვატმა გულშემატკივრებმა სერბეთის ჰიმნს უსტვინეს, ჯოკოვიჩმა კი სამ სეტში დაამარცხა **ივან ლუბიჩიჩი** - 7:6(3), 6:4, 6:1. მომდევნო მატჩში სტატუსკვო **მარინ ჩილიჩმა** აღადგინა - არც მან დათმო სეტი **ვიქტორ ტროიცკის** წინააღმდეგ, თუმცა მეორე სეტში 3:5-ს აგებდა - 6:4, 7:5, 6:2. ასე რომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წყვილთა შეხვედრას. რამდენიმე წლის წინ ხორვატებს დევისის თასზე კარგი დუეტი ჰყავდათ - ლუბიჩიჩი-ანჩიჩი, მაგრამ ამ უკანასკნელის არყოფნაში მასპინძლებმა არჩევანი ჩილიჩისა და **ივან დოდიგის** დუეტზე შეაჩერეს. სერბებმა კი ისევე როგორც ამერიკასთან მატჩში, **ნენად ზიმონიჩს იანკო ტიპსარევიჩი** შეუწყვილეს. ხორვატებს შანსი არ ჰქონიათ - 3:6, 3:6, 4:6. კვირას პირველები კორტზე ჩილიჩი და ჯოკოვიჩი გავიდნენ და ნოვაკმა საკმაოდ იოლად მოიპოვა გადამწყვეტი მესამე ქულა. მართალია, ჩილიჩი ბოლო დროს არც ისე კარგ ფორმაშია, მაგრამ საკუთარ მოწოდებაზე წაგებული რვა გეიმი მეტისმეტი იყო. სერბეთი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოხვდა ნახევარფინალში.

თავისი ორი ლიდერის გარეშე ჩავიდა ჩილეში ჩეხეთის ნაკრები - **რადეკ შტეპანეკმა** და უიმბლდონის ფინალისტმა **ტომაშ ბერდიხმა** არ ისურვეს მეოთხედფინალში თამაში. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, სწორედ ჩეხეთმა მოიპოვა ყველაზე იოლი გამარჯვება. ჩილელთა ლიდერმა **ნიკოლას მასუმ**, რომელსაც ბევრჯერ გაუწევია თავისი ქვეყნისთვის დახმარება, ამჯერად ვერ აჩვენა ღირსეული თამაში. ჩოგბურთელმა მატჩის შემდეგ თავად აღნიშნა, რომ ცუდ ფორმაში შეხვდა ჩეხეთთან თამაშს. შედეგად მასუმ პირველ დღეს მხოლოდ ხუთი გეიმი აუღო **ივო მინარს**. მასუს პარტნიორმა **პოლ კაპდევილემ** კიდევ უფრო უარესად ითამაშა **იან ჰაიეკის** წინააღმდეგ - მის ანგარიშზე სამი მოგებული გეიმი მოდიოდა. წყვილთა მატჩში მასპინძლებმა (**მასუ-აგილარი**) ასე თუ ისე ბრძოლა მოახვიეს თავს ჩეხების დუეტს - ჰაიეკსა და **ლუკაშ დლუჰის**, მაგრამ ოთხ სეტში მაინც დამარცხდნენ და მატჩის ბედი პირველი ორი დღის შემდეგ გადაწყვეტილი იყო.

ყველაზე დიდ ბრძოლას საფრანგეთისა და ესპანეთის მატჩში ელოდნენ. რა თქმა უნდა, **რაფაელ ნადალის** უარმა დაამძიმა ესპანელთა მდგომარეობა, მაგრამ ფრანგებმაც დაკარგეს თავიანთი ლიდერი - **ჟო-ვილფრიდ ცონგა**. მის გარდა ტრავმირებული იყო **რიშარ გასკე**, **ჟილ სიმონი** კი ახლახან დაბრუნდა ტურში და ჯერ შორს არის ოპტიმალური ფორმისგან. ფრანგების რიგებში ლიდერობა **გაელ მონფილს** უნდა ეტვირთა, მეორე ნომერი კი **მიკაელ ლოდრა** გახდა. ესპანელებმა **დავიდ ფერერი** და **ფერნანდო ვერდასკო** აირჩიეს.

მონფილსისა და ფერერის მატჩი ბევრს წყვეტდა. ფრანგმა ენერგიულად დაიწყო და ორი სეტი მოიგო, რის შემდეგაც მისი ბრძოლის ჟინი სადღაც გაქრა და ესპანელს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა. თუმცა მასპინძლების კაპიტანმა **გი ფორჟემ** შეძლო მონფილსის გამოფხიზლება და გაელი თავიდანვე ბრეიკით დაწინაურდა. როცა საქმე მატჩზე ჩაწოდებაზე მიდიდა, მასპინძელმა ფერერს ბრეიკის გაკეთების საშუალება მისცა, მაგრამ იქვე საპასუხო ბრეიკი აიღო და მეხუთე სეტში 6:4 გაიმარჯვა.

უიმბლდონის ჩაგდების შემდეგ ვერდასკომ ვერ მოასწრო ფორმის აღდგენა და ლოდრასთან მატჩში ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქის ბადესთან გასვლებს. ესპანელმა როგორც შეეძლო, იბრძოლა და პირველი პარტიაც მოიგო, მაგრამ ძალები გამოელია. მეორე და მესამე სეტები ფრანგმა იოლად აიღო, მეოთხეში კი ისევ ტაიბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო და ამჯერად უფრო ძლიერი ფრანგი აღმოჩნდა.

ლოდრასა და ვერდასკოს დაპირისპირება წყვილთა მატჩში გაგრძელდა. ფერნანდოს პარტნიორი, როგორც ყოველთვის, **ფელისიანო ლოპესი** იყო, ლოდრას კი **ჟულიან ბენეტო** შეუწყვილეს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ფრანგები პირველ ორ სეტში მხოლოდ სამ გეიმს გაიმეტებდნენ მეტოქისთვის - 6:1, 6:2. ესპანელთა ამ დუეტს მოგებული ჰქონდა 2008 და 2009 წლების ფინალში და მისგან ასეთ უნიათო თამაშს არ ელოდნენ. მესამე სეტში ფრანგები ბრეიკით იგებდნენ, მაგრამ საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანეს და იქ 6:8 წააგეს. თუმცა ეს სტუმრების ბოლო წარმატება იყო - მეორე ტაი-ბრეიკი საფრანგეთს დარჩა, რომელმაც 2004 წლის შემდეგ პირველად გააღწია ნახევარფინალში. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი წყვილი მეოთხედფინალში, რომელშიც „მშრალი" ანგარიში დაფიქსირდა - კვირას ფრანგებმა არაფრისმომცემი ორი შეხვედრაც მოიგეს.

ნახევარფინალები სექტემბერში, ამერიკის ღია პირველობის დასრულების შემდეგ ჩატარდება. 17-19 სექტემბერს საფრანგეთი არგენტინას მიიღებს, სერბეთი - ჩეხეთს.



ჭადრაკი

# კარპოვი პრეზიდენტს უჩივის

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (FIDE) პრეზიდენტობის კანდიდატი **ანატოლი კარპოვი** სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივის თავის ერთადერთ კონკურენტს - FIDE-ს ამჟამინდელ პრეზიდენტ **კირსან ილუმჟინოვს**. ჯერჯერობით არც კარპოვსა და არც მის ადვოკატს არ გაუმჟღავნებიათ... 

ჯერჯერობით არც კარპოვსა და არც მის ადვოკატს არ განუმარტავთ პრეზიდენტისადმი პრეტენზიების შინაარსი, თუმცა თითქმის ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ კარპოვის სარჩელი ილუმჟინოვის კანდიდატურის წამოყენების პროცედურას შეეხება.

ამერიკულმა საადვოკატო კანტორა White & Case-მა, რომელიც მსოფლიოს მე-12 ჩემპიონის ინტერესებს იცავს, ივლისის დასაწყისში გაუგზავნა წერილი FIDE-ს აღმასრულებელ დირექტორ **დევიდ ჯარეტს**, რომელშიც ეჭვს გამოთქვამს ილუმჟინოვის კანდიდატურის წამოყენების ლეგიტიმურობაზე. იურისტები მიუთითებენ იმაზე, რომ რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ერთპიროვნულად დაამტკიცა ილუმჟინოვის კანდიდატურა, არადა, ვალდებული იყო თავის ორგანიზაციაში შესაბამისი კენჭისყრა ჩაეტარებინა. White & Case-ს სხვა პრეტენზიებიც აქვს ილუმჟინოვის საარჩევნო შტაბთან.

თავის მხრივ, ილუმჟინოვის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კარპოვის სარჩელი საარჩევნო კამპანიის გადარჩენის მცდელობაა, რადგან საჭადრაკო სამყაროში ყველასთვის ცხადია, რომ დიდოსტატს გამარჯვების შანსი არ აქვს.

ახალი პრეზიდენტის არჩევნები 2010 წლის სექტემბერში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი 2010

# არმსტრონგმა ტური წააგო

წლევანდელ ტურ დე ფრანსზე პირველი ნამდვილი სამთო ეტაპი შვეიცარიელმა **ანდი შლეკმა** მოიგო, ლიდერის ყვითელი მაისურა **კეიდელ ევანსმა** მოირგო, მაგრამ მთავარი მოვლენა ლეგენდარული **ლენს არმსტრონგის** კრახი გახდა.

როგორც იქნა, მიმდინარე ტურზე მთავარი ფავორიტები გამოვიდნენ სცენაზე. შემთხვევითი არ იყო მოქმედი ჩემპიონის **ალბერტო კონტადორის** განცხადება იმაზე, რომ ძალთა რეალური თანაფარდობა სწორედ მერვე ეტაპზე გამოჩნდებოდა.

მაყურებელს ყველაზე საინტერესო დისტანციის ბოლო 50 კილომეტრზე ელოდა, კერძოდ პირველი კატეგორიის მთის - ლა რამას ალმართზე, აგრეთვე 10-კილომეტრიან სამთო ფინიშზე. ეტაპი კი რამდენიმე ველომრბოლის დაცემით დაიწყო, რომელშიც ლენს არმსტრონგი, **კეიდელ ევანსი** და „მთის მეფე" **ჟერომ პინოც** მოხვდნენ.

არაფავორიტ მრბოლელებს გაქცევის რამდენიმე მცდელობა ჰქონდათ და ბოლოს ეს შვიდ სპორტსმენს გამოუვიდა - ხუთ ფრანგს **კრისტოფ რიბლონის** მეთაურობით, ჰოლანდიელ **კოს მურენაუტსა** და ბელგიელ **პეტერ არტსს**. მათი უპირატესობა მალე ოთხ წუთამდე გაიზარდა, თუმცა პელოტონის აქტიურობის გამო დაწინაურებულებმა უფრო შორს წასვლა ვერ შეძლეს.

ერთ-ერთ მოსახვევში მეორედ დაეცა ტრასაზე არმსტრონგი და ოდნავ კოჭლობა დაიწყო. მაშინ ამას ყურადღება არავინ მიაქცია, რადგან „რადიოშეკმა" თავის ლიდერს უშველა და პელოტონში დააბრუნა. ამასობაში, ლა რამას ალმართზე თანდათან გამოეთიშნენ ბრძოლას წინა ეტაპის გმირები - ჟერომ პინო, **სებასტიან ფიოკლერი** და **დამიან კუნეგო**. დაწინაურებულთა რიგებშიც მოხვდა ცვლილებები - პირველობისთვის ბრძოლას მხოლოდ სამი მრბოლელი შემორჩა - მურენჰაუტი, არტსი და **ამაელ მუანარი**.

დისტანციის გართულებასთან ერთად პელოტონთან კავშირი დაკარგა ყვითელი მაისურის მფლობელმა **სილვენ შავანელმა**. მაგრამ ყველაზე დიდი კატასტროფა „რადიოშეკმა" განიცადა. ძირითადი ჯგუფიდან ამოვარდა ლენს არმსტრონგი და მისმა ვარსკვლავმა გრეგარებმაც ვერ შეძლეს კიდევ ერთხელ კაპიტნის ძირითად ჯგუფში დაბრუნება. მით უმეტეს, რომ წინ შესანიშნავი ტემპი აკრიფა ყაზახურმა „ასტანამ".

პელოტონის სათავეში ამ გუნდის წევრები - **ალექსანდრ ვინოკუროვი** და **დავიდ ნავარო** ერთმანეთს ცვლიდნენ და სულ უფრო შორდებოდნენ არმსტრონგს. „რადიოშეკიდან" ბრძოლას მხოლოდ **ლევი ლაიპჰაიმერი** და **ანდრეას კლიოდენი** აგრძელებდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ არმსტრონგი მესამედ დაეცა, როცა „ეუსკატელის" რომელიღაც წევრი ჩაუვარდა ბორბლებში.

ფინიშამდე შვიდი კილომეტრით ადრე ცხადი გახდა, რომ გაქცეულები ვერ შეძლებდნენ ლიდერობის შენარჩუნებას. ნამდვილი შეტევა ბოლო სამ კილომეტრზე დაიწყო. კონტადორი მხოლოდ თავს იცავდა - როგორც ჩანს, ესპანელი შემდეგი ეტაპებისთვის ზოგავს ძალებს ან ფორმის პიკზე ჯერ არ არის გასული. ბოლო კილომეტრზე მცირე ჰანდიკაპის შექმნა შეძლეს ანდი შლეკმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **სამუელ სანჩესმა**. ესპანელი საფინიშო სპურტზე პირველი გავიდა, მაგრამ ბოლოს მაინც წააგო ახალგაზრდა მეტოქესთან.

არმსტრონგი 12 წუთის შემდეგ მივიდა ფინიშთან. ახლა ტურის შვიდგზის ჩემპიონს ლევი ლაიპჰაიმერის გრეგარის როლით მოუწევს დაკმაყოფილება.

**VIII ეტაპი**

**სტასიონ დე რუსი-მორზინი (189 კმ)**

1. **ანდი შლეკი** (შვეიც, Team SaxoBank) - 4.54,11; 2. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - იგივე დრო; 3. **რობერტ ჰესინკი** (ლუქს, Rabobank) - +0,10; 4. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Liquigas-Doimo) - იგივე დრო; 5. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - იგივე დრო; 6. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო... 8. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, Radioshack) - იგივე დრო; 9. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - 37.57,09; 2. **ანდი შლეკი** (შვეიც, Team SaxoBank) - +0,20; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - +1,01; 4. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელ, Omega Pharma-Lotto) - +1,03; 5. **დენის მენშოვი** (რუს, Rabobank) - +1,10; 6. **რაიდერ ჰეშედალი** (კან, Garmin) - +1,11; 7. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Liquigas-Doimo) - +1,45; 8. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RadioShack) - +2,14; 9. **სამუელ სანჩესი** (ესპ, Euskaltel) - +2,15; 10. **მაიკლ როჯერსი** (ავსტრა, HTC – Columbia) - +2,31; 11. **რობერტ ჰესინკი** (ლუქს, Rabobank) - +2,37; 12. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +2,40; 13. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +2,41; 14. **ბრედლი ვიგინსი** (ბრიტ, Sky) - +2,45; 15. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - +3,05... 39. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - +13,26...

რალი

მსოფლიოს ჩემპიონატი

# მეშვიდე ტიტულისკენ

**სებასტიან ლოებმა** ისევ გაიმარჯვა და ეს შედეგი არავის გაკვირვებია - ასფალტის საფარზე ფრანგის შესაძლებლობების შესახებ ბევრი დაწერილა, ასე რომ, შეიძლება ასეთ ეტაპებზე ლოებს პირდაპირ 25 ქულა მიენიჭოს და ბრძოლა მხოლოდ მეორე ადგილისთვის გაიმართოს. რა თქმა უნდა, არსებობდა მსოფლიოს ჩემპიონის შეცდომის ან რაიმე ტექნიკური გაუმართაობის ალბათობა, მაგრამ ასეთი რამ არ მოხდა. ამის იმედად მყოფი კონკურენტები ვერასოდეს ჩამოართმევენ ტიტულს ფრანგ რალისტს.

ბულგარეთის რალის პირველივე დღეს ლოებმა კომფორტული უპირატესობა მოიპოვა მეტოქეებზე და ამის შემდეგ ყოველგვარი ზეწოლის გარეშე შეძლო ამ ჰანდიკაპის რეალიზება.

საშინლად გამოვიდნენ გასულ უქმეებზე „ფორდის" პილოტები. რაზეა ლაპარაკი, როცა ლოების მთავარი კონკურენტი **მიკო ჰირვონენი** გარკვეულ სპეცმონაკვეთებზე **კიმი რაიკონენზე** უარეს დროს აჩვენებდა. ამ სეზონში ერთადერთი გამარჯვება „ფორდმა" ზამთარში შვედეთში მოიპოვა, როცა ლოები საბურავების შერჩევისას შეცდა. ახლა კი ჰირვონენის ჩამორჩენა ფრანგთან 65 ქულას შეადგენს.

ამ ჩემპიონატს „ფორდი" აშკარად აგებს და თავისი ამბიციები შემდეგი სეზონისთვის უნდა გადადოს, როცა ახალი რეგლამენტი შევა ძალაში. სხვათა შორის, ამ გუნდის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს **სებასტიან ოჟიესთან**, რომელიც ლოების გამო „სიტროენში" ჩრდილშია მოქცეული და მინიმუმ ორი წელი ვერ მიიღებს ფრანგულ გუნდში პირველი ნომრის სტატუსს. „ფორდში" კი სულ სხვა სიტუაცია იქნება - აქ გამოეთხოვებიან **იარი-მატი ლატვალას** და ახალგაზრდა ფრანგსა და ჰირვონენს თანაბარი სტატუსი ექნებათ.




ბულგარეთში საინტერესო ბრძოლა იყო მეორე ადგილისთვის. დანიელ სორდო ყოველთვის კარგად გამოდიოდა ასფალტზე და შარშან ძალიან ახლოს იყო ესპანეთის რალის მოგებასთან. ასე რომ, მისი წარმატებული გამოსვლა არავის გაკვირვებია. ესპანელის კონკურენტი კი მოულოდნელად **პეტერ სოლბერგი** გახდა, რასაც არავინ ელოდა. ნორვეგიელმა შტურმანი შეიცვალა და ამან სწრაფად მოიტანა შედეგი.

ეტაპის ერთ-ერთი გმირი გახდა კიმი რაიკონენი. მისგან ელოდნენ ასფალტზე შედეგის გაუმჯობესებას, მაგრამ ყველაფერი კიდევ უფრო კარგად განვითარდა. ფინელმა შესანიშნავად გაიარა რამდენიმე მონაკვეთი და ზოგიერთ ადგილას ლოებსაც კი აჯობა. ეს იმ დროს, როცა კიმის დებიუტი ჰქონდა ასფალტზე.

სამი კვირის შემდეგ ფინეთის რალი გაიმართება. „ფორდს" აქვს წარმატების შანსი და მან ის უნდა გამოიყენოს, რადგან შემდეგ მოდის ისევ ასფალტი, ღორღი იაპონიაში და ტალახი წვიმიან ბრიტანეთში. საბოლოოდ კი ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ლოები მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი გახდება.

**VII ეტაპი. ბულგარეთის რალი**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 3:02.39,2; 2. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - +29,50; 3. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - +36,30; 4. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - +1.55,00; 5. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - +3.17,80; 6. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - +4.28,50; 7. **პერ-გუნარ ანდერსონი** (შვედეთი, „შკოდა") - 5.25,20. 8. **ფრიდის ტურანი** (უნგრეთი, „პეჟო") - 7.04,00; 9. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სიტროენი") - +9.28,60; 10. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - +13.06,00...

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 151 ქულა; 2. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 100; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - 86; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - 80; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 78; 6. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - 67; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სიტროენი") - 40; 8. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - 26; 9. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 25; 10. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 15.

ოლიმპიზმი

# პრემიერ-მინისტრზე მდიდრები

საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა ბრიტანულმა გაზეთმა „ინდეპენდენტმა". როგორც გაირკვა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ **დევიდ კემერონს** გაცილებით ნაკლები წლიური შემოსავალი აქვს, ვიდრე ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ბევრ წევრს.

კემერონის მიერ შევსებული საგადასახადო დეკლარაციის თანხმად, პრემიერ-მინისტრის ხელფასმა ერთ წელიწადში 142.5 ათასი ფუნტი შეადგინა. შედარებისთვის, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორის **დევიდ ჰიგინსის** ხელფასი 390 ათასს შეადგენს, სპორტული ობიექტების მშენებლობაზე პასუხისმგებელი **ჰოვარდ შილი** 290 ათასს გამოიმუშავებს, მთავარი ფინანსისტი **დენის ჰოუნი** - 265 ათასს. გარდა ამისა, კომიტეტის ბევრი წევრი ბონუსის სახით 70 ათას ფუნტს იღებს.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| ოდ გრენლანდი-ვოლერენგა | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დეგერფორსი-სირიანსკა | 0:0 |
| ჰამარბიუ-ფალკენბერგი | 0:0 |
| ვასბი-ლანდსკრონა | 1:1 |
| იონჩოპინგი-იორგრიტე | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-იუვასკილა | 1:2 |
| კუოპიო-მარიეჰამნი | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტ. პოლტენი-ადმირა | 1:4 |
| **ისლანდიის თასი** | |
| ფრამი-ვალური | 3:1 |
| რეიკიავიკი-ტროტური | 3:2 |
| ვიკინგური-სტიარნანი | 2:2 ძ.დ. |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ბაშტადი** | |
| სერა-სტარაჩე | 2:6, 2:6 |
| ლუჩაკი-რიბა | 6:4, 2:6, 6:7 |
| ბრანდსი-ვინსიგერა | 6:7, 7:6, 4:6 |
| ფონინი-პრპიჩი | 6:7, 6:3, 6:4 |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| ჰანესკუ-ჩიუდინელი | 6:7, 3:6 |
| სტახოვსკი-ზვერევი | 4:6, 3:6 |
| **WTA. პალერმო** | |
| ამანმურადოვა-კრეიბასი | 6:7, 5:7 |
| დუკე მარინო-კუკოვა | 6:4, 6:0 |
| კანეპი-დე ლოს რიოსი | 7:5, 6:4 |
| პირონკოვა-ფლორისი | 6:4, 7:6 |
| **WTA. პრაღა** | |
| რიბარიკოვა-ტატიშვილი | 6:0, 5:7, 5:7 |
| ჰერცოგი-მალეკი | 6:4, 6:2 |
| ლარსონი-პლიშკოვა | 6:4, 6:4 |

TV პროგრამა

**13 ივლისი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ.
**08:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სტანდარდი-ალკმაარი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** 90 წუთი - სპეციალური გამოშვება.
**14:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-მანჩესტერ იუნ.
**16:00** ახალი ამბები.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ევერტონი-სპორტინგი.
**18:05** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
**19:55** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი.
**21:40** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
**23:25** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ფიორენტინა.
**01:10** 90 წუთი - სპეციალური გამოშვება.
**02:55** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ფულჰემი-შახტარი.
**04:40** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ინტერი.

**EUROSPORT**

**10:35** მულტისპორტი.
**10:45** ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. ლუცერნი. შვეიცარია.
**12:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი. სტასიონ ლე რუსი-მორზინ ავორიაზი.
**13:25** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**13:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი. მორზინ ავორიაზი-სენ ჟან დე მორიენი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-კოსტა რიკა. გერმანია.
**21:00** ევროგოლი- საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი. მორზინ ავორიაზი-სენ ჟან დე მორიენი.
**22:00** პროფესიული კრივი.
**23:00** პროფესიული კრივი. ტურნირი Super Six World Classic. საშუალო წონა. არტურ აბრაჰამი (გერმანია)-ანდრე დირელი (აშშ). აშშ.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**00:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**01:05** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II ცდა. ბრნო. ჩეხეთი.
**02:00** ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**03:25** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.

ამბები

კალათბურთი

## სამი ტრანსფერი

„ოლიმპიაკოსის" შემტევი მცველი **ჯოშ ჩილდრესი** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ბრუნდება. ამერიკელმა ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა „ფინიქს სანზთან". 27 წლის კალათბურთელის ხელფასი ერთ სეზონში 6.8 მილიონი დოლარი იქნება.

ჩილდრესი 2004-08 წლებში NBA-ში „ატლანტა ჰოქსის" ღირსებას იცავდა.

„ბოსტონ სელტიქსის" მცველი ტონი ალენი „მემფის გრიზლისში გააგრძელებს კარიერას. სამწლიანი კონტრაქტის თანახმად NBA-ის 2008 წლის ჩემპიონი ჯამში 10 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

გასულ სეზონში ალენი „ბოსტონის" შემადგენლობაში 6.1 ქულას აგროვებდა.

„ნიუ ჯერსი ნეტსმა" ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **ჯორდან ფარმარი** გადაიბირა. კალათბურთელი უახლოეს დღეებში გაივლის სამედიცინო შემოწმებას და კონტრაქტს გააფორმებს ახალ კლუბთან. ხელშეკრულების დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

წინა სეზონში ფარმარის შედეგიანობა 7.2 ქულას უდრიდა.

## მაიამის კონტურები იკვეთება

თითქმის გადაწყვეტილია „მაიამი ჰიტში" **მაიკ მილერის** გადასვლა. 30 მილიონად შეფასებული ხუთწლიანი კონტრაქტი - ასეთია „ვაშინგტონიდან" ამ შემტევი მცველის ტრანსფერის ფასი.

გასულ სეზონში მილერი მოედანზე 33 წუთს ატარებდა და საშუალოდ 13.7 ქულასა და 5.1 მოხსნას აგროვებდა. მაიკს ცხრა სეზონი აქვს გატარებული ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში.

## დიდი ბენი დეტროიტში დარჩა

ბენ უოლასი დეტროიტში აპირებს კარიერის დასრულებას. 35 წლის ვეტერანი დათანხმდა მშობლიურ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს. „ბიგ ბენის" წლიური ხელფასი 1.9 მილიონი დოლარი იქნება.

ამ ზაფხულს „დეტროიტის" პრეზიდენტმა **ჯო დუმარსმა** განაცხადა, რომ კლუბის მთავარი პრიორიტეტი უოლასისა და **უილ ბინუმის** შენარჩუნება იქნება. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „დეტროიტი" 2001 წლიდან მოყოლებული პირველად ვერ მოხვდა პლეი ოფში.

## მარბერი ისრაელში?

NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა **სტეფონ მარბერიმ** იერუსალიმის „ჰაპოელისგან" მიიღო წინადადება. 33 წლის მცველმა ისრაელელებს ამ კვირას უნდა მისცეს საბოლოო პასუხი.

საინტერესოა, რომ გასულ წელს მარბერის შეეძლო თელ-ავივის „მაკაბის" წევრი გამხდარიყო, მაგრამ ამის სანაცვლოდ ჩინეთში გაემგზავრა სათამაშოდ, სადაც კლუბ „შანქსის" რიგებში საშუალოდ 22.9 ქულასა და 9.5 პასს აგროვებდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა









9 ივლისიდან




რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...

ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- მილიონერების მფრინავი სათამაშოები
- ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
- როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
- ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის





